2016 წლის 14 ნოემბერი

UNHCR-ის პოზიცია ერაყში დაბრუნებასთან დაკავშირებით

შესავალი..... 2
ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევა 6
მოპყრობა სამოქალაქო პირთა მიმართ, რომლებიც ISIS-ის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიებიდან ერაყის სხვა რეგიონებში გარბიან..... 16
სამოქალაქო პირთა მიმართ მოპყრობა ადრე ISIS-ის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე 23
მოპყრობა სამოქალაქო პირთა მიმართ, რომლებიც არიან რეგიონებიდან, რომლებიც ადრე იყო ან ამჟამად არის ISIS-ის ხელში, რომლებიც არის ცენტრალური ხელისუფლების ან ქურთისტანის რეგიონული მთავრობის კონტროლის ქვეშ 27
მსხვერპლი სამოქალაქო პირთა შორის..... 36
მოქალაქეთა გადაადგილება ქვეყნის შიგნით და მის გარეთ.....38
იძულებით გადადგილებულ პირთა დაბრუნება და დაბრუნება საზღვარგარეთიდან ... 41
ჰუმანიტარული სიტუაცია 45
UNHCR-ის პოზიცია დაბრუნებასთან დაკავშირებით..... 50

შესავალი

1. ამ დოკუმენტით ხდება ერაყში დაბრუნებასთან დაკავშირებით *UNHCR*-ის 2014 წლის პოზიციის ჩანაცვლება.[1]

2. ეს პოზიცია ძირითადად ფოკუსირებულია რისკებზე, რომლის წინაშეც დგას სამოქალაქო მოსახლეობა მიმდინარე არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად, ერთი მხრივ, ერაყის უსაფრთხოების ძალებსა (ISF) და

[1] გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი (*UNHCR*), *UNHCR-ის პოზიცია ერაყში დაბრუნებასთან დაკავშირებით, 2014 წლის 27 ოქტომბერი,* http://www.refworld.org/docid/544e4b3c4.html.

მთავრობის მხარდამჭერ ძალებს[2] და, მეორე მხრივ - ეგრეთ წოდებულ „ერაყისა და ალ-შამის სახელმწიფოს“ (ISIS) შორის.[3]

3. 2014 წელს ერაყის ჩრდილოეთისა და ცენტრალური ნაწილის მრავალ რაიონში ISIS-მა სწრაფად წაიწია წინ, რამაც კონფლიქტისა და ძალადობის ახალი ესკალაცია გამოიწვია.[4] 2015 წლიდან, საერთაშორისო კოალიციის მხარდაჭერით, ერაყის უსაფრთხოების ძალებმა და მთავრობის მხარდამჭერმა ძალებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს, კერძოდ, ISIS-ს დაატოვებინეს ალ-ანბარი, ბაბელი, დიალა, ერბილი, ნინევა და სალაჰ-ად-დინი.[5] 2016 წლის 17 ოქტომბერს, ერაყის პრემიერ მინისტრმა ალ-აბადიმ, ოფიციალურად გამოაცხადა სამხედრო შეტევის დაწყების შესახებ, რომელიც მიზნად ისახავდა ერაყის სიდიდით მეორე ქალაქის - მოსულის გათავასუფლებას, რომელიც 2014 წლის ივნისიდან ISIS-ის კონტროლის ქვეშ იყო.[6]

4. განახლებული კონფლიქტისა და ძალადობის შედეგად ათი ათასობით სამოქალაქო პირი იქნა მოკლული და დაჭრილი, 3,18 მილიონამდე ადამიანი ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებული გახდა, ხოლო 10 მილიონამდე ადამიანს ჰუმანიტარული დახმარება ესაჭიროება.[7] 2014-2015 წლებში ISIS-ის ინტენსიურმა სვლამ, რასაც ISIS-ის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციები მოჰყვა, ფართო მასშტაბური ადგილმონაცვლეობა გამოიწვია, ხოლო მოსულზე მიმდინარე შეტევების გამო ადგილმონაცვლეობის რისკი კიდევ ათასობით ერაყელს ემუქრება.[8]

5. ერაყის ცენტრალურ და ჩრდილოეთ ნაწილში უსაფრთხოების სიტუაცია კვლავ უკიდურესად არასტაბილური და არაპროგნოზირებადია, რაც გამოწვეულია მიმდინარე სამხედრო შეტევებითა და კონტრშეტევებით.[9] ჩრდილოეთი და ცენტრალური ერაყის ზოგიერთი ტერიტორია კვლავ ISIS-ის *დე ფაქტო* კონტროლის ქვეშ რჩება, ამავდროულად, არსებული ინფორმაციის თანახმად, ISIS-ი ამ ტერიტორიებზე

---

[2] “მხარდამჭერი ძალები” მოიცავს შეიარაღებულ ფორმირებებს და ტომების (შიიტების, სუნიტების და სხვა) ძალებს, სახალხო მობილიზაციის დაჯგუფებებს და ერაყის ქურთისტანის რეგიონის სამხედრო ძალებს (‘პეშმერგა’).

[3] თვითგამოცხადებული ‘ერაყისა და ალ-შამის ისლამური სახელმწიფო’ (ISIS) (არაბულად:*Ad-Dawlah Al-ʾIslāmiyyah fi Al Iraq wa Al-Sham*), იგი (ფორმალურად) ასევე ცნობილია სახელწოდებით „ერაყის ისლამური სახელმწიფო“ (ISI) ან „ერაყის და ლევანტის ისლამური სახელმწიფო“ (ISIL), ასევე უწოდებენ „ისლამურ სახელმწიფოს“ (IS), ხოლო არაბული აკრონიმით - „დაეში“.

[4] 2016 წელს, მშვიდობის გლობალური ინდექსის მიხედვით, ერაყი მესამე ადგილზე იყო ყველაზე არამშვიდობიან ქვეყნებს შორის - სირიისა და სამხრეთი სუდანის შემდეგ; ეკონომიკისა და მშვიდობის ინსტიტუტი, *მშვიდობის გლობალური ინდექსი* 2016, 2016 წლის ივნისი, http://bit.ly/1UCZDV1, გვ. 11.

[5] გაეროს უშიშროების საბჭო (გაეროს უშიშროების საბჭო), *გენერალური მდივნის მოხსენება წარმოდგენილი 2299 (2016)* რეზოლუციის შესაბამისად, *2016 წლის 25 ოქტომბერი,* S/2016/897, http://www.refworld.org/docid/5821ca0f4.html (შემდგომში:*გენერალური მდივნის მოხსენება 2299 (2016)* რეზოლუციის შესაბამისად, *2016 წლის 25 ოქტომბერი* http://www.refworld.org/docid/5821ca0f4.html), პარ. 14; BBC, *IS-ი სირიასა და ერაყში კარგავს მისი ტერიტორიის მეოთხედზე მეტს, 2016 წლის 9 ოქტომბერი,* http://bbc.in/2e45mdP; IHS კონფლიქტის მონიტორი, *2016 წელს ისლამური სახელმწიფოს ხალიფატი კიდევ 12 პროცენტით შემცირდა, განაცხადა IHS-მა,* 2016 წლის 10 ივლისი, http://bit.ly/2e5abTt.

[6] ალ-ჯაზირა, *ერაყი: ჰაიდერ ალ-აბადი იწყებს მოსულის ოპერაციას,* 2016 წლის 17 ოქტომბერი, http://aje.io/3jy9.

[7] იხ. ქვემოთ „გადაადგილება ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ“ და „ჰუმანიტარული სიტუაცია“.

[8] იხ. ქვემოთ, „გადაადგილება ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ“.

[9] გაეროს უშიშროების საბჭო, *გენერალური მდივნის მოხსენება წარმოდგენილი 2299 (2016)* რეზოლუციის შესაბამისად, *2016 წლის 25 ოქტომბერი* http://www.refworld.org/docid/5821ca0f4.html, პარ. 15

მუდმივად და მასშტაბურად არღვევს მოსახლეობის ადამიანის უფლებებს.[10] სამხედრო ოპერაციების დროს ISIS-ი სამოქალაქო მოსახლეობას „ცოცხალი ფარის“ სახით იყენებს; მათ საფრთხე ასევე ემუქრებათ ჯვარედინი ცეცხლის დროს, სნაიპერების მხრიდან და დაბომბვების შედეგად.[11] მათ, ვინც თავის დაღწევას გაქცევით ცდილობს, ISIS-ის ხელში მოხვედრის შემთხვევაში სასჯელი ემუქრებათ.[12] გარდა ამისა, ადამიანებს საფრთხეს უქმნის საშიში მარშრუტები, რომლითაც ისინი საფრთხისაგან თავის დაღწევას ცდილობენ, მათ შორის, ომის ფეთქებადი ნარჩენები (ERW) და იმპროვიზებული ასაფეთქებელი მოწყობილობები (IED).[13] არსებული ინფორმაციის თანახმად, ადამიანები იღუპებიან დეჰიდრატაციის შედეგად, როდესაც იძულებულნი არიან უმძიმეს გზას გაუდგნენ, რათა თავი დააღწიონ ISIS-ის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებს.[14] მათთვის, ვინც გაქცევით ცდილობს თავი დააღწიოს ISIS-ის ხელში მყოფი ჩრდილოეთი და ცენტალური ერაყის ტერიტორიებს, საკმაოდ რთულია შედარებით უსაფრთხო ტერიტორიებზე მოხვედრა ქვეყნის სხვა რეგიონებში, რადგან ამ ტერიტორიებზე შესვლა და ცხოვრება მკაცრად არის შეზღუდული, მათ შორის, სხვა პირობებთან ერთად - სპონსორის მოთხოვნით; ასეთი შეზღუდვები ხშირად დისკრიმინაციულ კრიტერიუმებს ეფუძნება, როგორიცაა, ISIS-თან შესაძლო კავშირი, რაც ივარაუდება პირის ეთნიკური,

---

[10] სამხედრო კვლევების ინსტიტუტი (ISW), *ერაყის ტერიტორიის კონტროლი:2016 წლის 7 ოქტომბერი,* 2016 წლის 7 ოქტომბერი, http://bit.ly/2dhYCZd. იხ. ქვემოთ „საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა სამართლის დარღვევები“..

[11] ‘ამნესტი ინტერნეიშენალ’, *ერაყი: შიში სამოქალაქო პირთა უსაფრთხოების გამო, რომლებიც ჯვარედინ ცეცხლში არიან მოქცეულნი და რომლებსაც ისლამური სახელმწიფო ცოცხალ ფარად იყენებს,* 2016 წლის 27 ოქტომბერი, http://www.refworld.org/docid/581c92474.html; ჰუმანიტარულ საქმეთა კოორდინაციის სამსახური (OCHA), *მოსულის ოპერაციის განამვლობაში, არაფერია სამოქალაქო პირთა დაცვაზე უფრო მნიშვნელოვანი,* 2016 წლის 21 სექტემბერი, http://bit.ly/2duw3sO; დაცვაზე პასუხისმგებელი გლობალური ცენტრი (Global Centre R2P), *R2P Monitor*, 29-ე გამოცემა, 2016 წლის 15 სექტემბერი, http://bit.ly/2cJaAK4, გვ. 4; ჰუმან რაითს უოჩ (HRW), *ერაყი: ISIS-ის მმართველობა ხასიათდება დასჯითა და სისასტიკით,* 2016 წლის 10 ივლისი, http://www.refworld.org/docid/57836a324.html; ‘ამნესტი იტნერნეიშენალ’, *ფალუჯადან გაქცევა,* 2016 წლის 28 მაისი, http://bit.ly/2ejzLoT; ატლანტიკური საბჭო, *მოსულის განთავისუფლება: ISIS-ი და ცოცხალი ფარი,* 2016 წლის 16 მარტი, http://bit.ly/1PonMMa; გაეროს დახმარების მისია ერაყისთვის (UNAMI), *მოხსენება ერაყში შეიარაღებულ კონფლიქტებში სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ: 2015 წლის 1 მაისი - 31 ოქტომბერი,* 2016 წლის 11 იანვარი, http://www.refworld.org/docid/56a09a304.html (შემდგომში, UNAMI, *მოხსენება ერაყში შეიარაღებულ კონფლიქტებში სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ,* 2016 წლის 11 იანვარი, http://www.refworld.org/docid/56a09a304.html), გვ. 14, 23.

[12] იხ .ქვემოთ “სამოქალაქო პირთა მიმართ მოპყრობა ადრე ISIS-ის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებზე“

[13] OCHA, *ჰუმანიტარული ბიულეტენი, ერაყი, 2016 წლის ივლისი-აგვისტო,* 2016 წლის 29 აგვისტო, http://bit.ly/2dUNwdp, გვ. 2; *UNHCR, კიდევ ათასობით ერაყელი გახდა იძულებით გადადგილებული პირი მოსულის გარშემო გამართული ბრძოლების გამო,* 2016 წლის 14 ივნისი, http://bit.ly/2enylbW

[14] Save The Children, *ბავშვები კვდებიან უწყლობით და იღუპებიან ნაღმებზე, როდესაც ცდილობენ გაქცევით დააღწიონ თავი მოსულზე მოსალოდნელ თავდასხმას,* 2016 წლის 13 ოქტომბერი, http://bit.ly/2dkB3d7; გაეროს უშიშროების საბჭო, გენერალური მდივნის მეოთხე მოხსენება *2233 (2015) რეზოლუციის შესაბამისად,* 2015 წლის 5 ივლისი, S/2016/592, http://www.refworld.org/docid/5784de404.html (შემდგომში:გენერალური მდივნის მეოთხე მოხსენება *2233 (2015) რეზოლუციის შესაბამისად,* 2015 წლის 5 ივლისი, http://www.refworld.org/docid/5784de404.html), პარ. 37; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, *სპეციალური მომხსენებლის მოხსენება ერაყში მისი მისიის დროს იძულებით გადაადგილებულ პირთა ადამიანის უფლებათა შესახებ,* 2016 წლის 5 აპრილი, A/HRC/32/35/Add.1, http://www.refworld.org/docid/575fb7e14.html (შემდგომში: გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, *სპეციალური მომხსენებლის მოხსენება ერაყში იძულებით გადაადგილებულ პირთა ადამიანის უფლებათა შესახებ,* 2016 წლის 5 აპრილი, http://www.refworld.org/docid/575fb7e14.html), პარ. 40.

რელიგიური და/ან ტომობრივი კუთვნილების ან მისი წარმოშობის ადგილის საფუძველზე.[15]

6. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მოსახლეობას, რომელიც ISIS-ის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებზე არის დარჩენილი, მუდმივად მიიჩნევენ ISIS-ის მხარდამჭერებად, რის გამოც მათ წინააღმდეგ სხვადასხვა სუბიექტები თავდასხმას ახორციელებენ.[16] გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რაიონებს, საიდანაც ერაყის უსაფრთხოების ძალებისა და მთავრობის მხარდამჭერი ძალების მიერ განდევნილი იქნა ISIS-ი, კვლავ ემუქრება დივერსიის, კონტრშეტევისა და ტერორისტული აქტების საფრთხე ISIS-ის მხრიდან.[17] სრული და ეფექტური ძალაუფლების დამყარებაში ერაყის მთავრობა მრავალი გამოწვევის წინაშე დგას, ხოლო სახელმწიფოსა და მისი ინსტიტუტების შესაძლებლობა კვლავ სუსტია იმისათვის, რომ კანონის აღსრულება და მოქალაქეთა დაცვა უზრუნველყოს.[18] არსებული ინფორმაციის თანახმად, სხვადასხვა სუბიექტები იბრძვიან ძალაუფლების მოსაპოვებლად იმ ტერიტორიებზე, რომლებიც ISIS-სგან გაათავისუფლეს, განსაკუთრებით იმ ტერიტორიებზე, რომლებიც სადავოა

---

[15] იხ. ქვემოთ „მოპყრობა სამოქალაქო პირთა მიმართ, რომლებიც ISIS-ის მიერ კონტროლირებული ტერიტორიებიდან ერაყის სხვა რეგიონებში გარბიან.

[16] იხ. ქვემოთ "სამოქალაქო პირთა მიმართ მოპყრობა ადრე ISIS-ის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებზე"

[17] "*უსაფრთხოების სიტუაცია ISIL-გან განთავისუფლებულ ტერიტორიებზე კვლავ პრობლემურია ტერორისტების, კონფესიათაშორისი, თემთაშორისი და კრიმინალური ძალადობის გამო";* გაეროს უშიშროების საბჭო, *გენერალური მდივნის მესამე მოხსენება 2233 (2015) რეზოლუციის მე-7 პარაგრაფის შესაბამისად,* 2016 წლის 27 აპრილი, S/2016/396, http://www.refworld.org/docid/5731a1a14.html (შემდგომში: გაეროს უშიშროების საბჭო, *გენერალური მდივნის მესამე მოხსენება 2233 (2015) რეზოლუციის მე-7 პარაგრაფის შესაბამისად (2015),* 2016 წლის 27 აპრილი, http://www.refworld.org/docid/5731a1a14.html), პარ. 20. იხ. აგრეთვე, ახლო აღმოსავლეთის მონიტორი, *დაეში იბრუნებს ტერიტორიას ერაყში,* 2016 წლის 8 ოქტომბერი, http://bit.ly/2dDoah2; 'გარდიანი, *ერაყელმა მებრძოლებმა გამანადგურებელი შეტევა განახორციელეს ტიკრიტზე,* 2016 წლის 24 სექტემბერი, http://bit.ly/2dTIlr9; ინტერნეტ-გამოცემა „Middle East Eye", *ისლამური სახელმწიფოს დამარცხება სრულიად ახალ საფრთხეებს ქმნის,* 2016 წლის 22 ივნისი, https://shar.es/1EgccU; ფრანს-პრესის სააგენტო(AFP), *ISIS-ის შეტევის შედეგად ერაყში უშიშროების ძალების 15 წევრი დაიღუპა,* 2016 წლის 17 ივნისი, http://ara.tv/5pxqm; 'ვაშინგტონ პოსტი', *მდგომარეობის გამწვავების ფონზე ისლამურ სახელმწიფოს ბრძოლები ბაღდადის ქუჩებში გადააქვს,* 2016 წლის 18 მაისი, http://wpo.st/3y542; უმცირესობათა უფლებების საერთაშორისო ჯგუფი (MRGI), *გადაადგილებით გამოწვეული კრიზისი ერაყში: უსაფრთხოება და დაცვა,* 2016 წლის მარტი, http://www.refworld.org/docid/573592d24.html (შემდგომში: MRGI, *გადაადგილებით გამოწვეული კრიზისი ერაყში,* 2016 წლის მარტი, http://www.refworld.org/docid/573592d24.html), გვ. 22

[18] "*ისლამური სახელმწიფოს უკანდახევის შემდეგ, სასამართლოებისა და სახელმწიფო სტრუქტურების არარსებობის ფონზე, რომლებიც დაადგენდნენ კანონის დარღვევებს ან გამოიტანდნენ სასჯელს, ადამიანები მიმართავენ ტომის სამართალს, რომელიც არის კოდექსების სისტემა და ტანდემში მოქმედებს სახელმწიფო სასამართლო ხელისუფლებასთან, ან ახდენს მის ჩანაცვლებას";* ლოს-ანჯელეს თაიმსი, *ერაყში გათვალისწინებულია სასჯელი ისლამურ სახელმწიფოსთან ოჯახური კავშირისთვის და ძალადობის მსხვერპლთა კომპენსაცია,* 2016 წლის 9 ოქტომბერი, http://fw.to/GRpniPT. „დღეს შეიარაღებული ძალები დაუსჯელად მოქმედებენ, რადგან, მრავალ რაიონში, კანონის უზენაესობა აღარ არსებობს. გადაადგილებისაგან გამოწვეული კრიზისის გამო, პროვინციის ხელისუფლება - კერძოდ, პროვინციის საბჭოები, გუბერნატორები, მერები და სხვა ინსტიტუტები - ან დისტანციურ რეჟიმში მუშაობენ, ან საერთოდ აღარ მუშაობენ. ეს სხვადასხვა დოზით შეინიშნება ანბარის, დიალას, ნინევისა და სალაჰადინის პროვინციებში"; MRGI, *გადაადგილებით გამოწვეული კრიზისი ერაყში,* 2016 წლის მარტი, http://www.refworld.org/docid/573592d24.html, გვ. 6. იხ. აგრეთვე, აშშ ინსტიტუტი მშვიდობისთვის (USIP), ერაყი: მოსულის გათავისუფლება მხოლოდ დასაწყისია, 2016 წლის 17 ოქტომბერი, http://bit.ly/2e5rcOK; ახლო აღმოსავლეთის ინსტიტუტი, *შემდეგი გამოწვევა: განთავისუფლებული ქალაქების მართვა ISIS-ის შემდეგ,* 2016 წლის 28 ივნისი, http://bit.ly/2dJ8l9L

ცენტრალურ ხელისუფლებასა და ქურთისტანის რეგიონულ მთავრობას (KRG) შორის, რომლის სტატუსიც უნდა განისაზღვროს ერაყის კონსტიტუტიის 140-ე მუხლის შესაბამისად ('სადავო შიდა საზღვრები').[19] გარდა ამისა, როგორც ცნობილია, ISIS-ისაგან გათავისუფლებულ ტერიტორიაზე ხშირად ხდებოდა ნგრევა და სახლების, წყალმომარაგების, საკანალიზაციო და ელექტრო სისტემების, საავადმყოფოების, სკოლებისა და სამთავრობო ობიექტების დაზიანება.[20] აღდგენის სამუშაოები მიმდინარეობს, მაგრამ, როგორც იტყობინებიან, სამუშაოთა წარმოებას ხშირად ხელს უშლის კვლავ არსებული საფრთხეები, ინტენსიურად დანაღმული ტერიტორიების და იმპროვიზებული ასაფეთქებელი მოწყობილობების არსებობა და, ასევე, ფინანსების ნაკლებობა.[21]

7. არსებული ინფორმაციის თანახმად, 2014 -2015 წლებში ერაყის ჩრდილოეთ და ცენტრალურ ნაწილში ISIS-ის შესვლითა და, ამის შედეგად, ქვეყნის სხვა კუთხეებში უსაფრთხოების ვაკუუმის შექმნამ გამოიწვია უკანონო შეიარღებული დაჯგუფებებისა და ტომების გაძლიერება, დანაშაულის ზრდა, მთლიანობაში სახელმწიფო ხელისუფლების და კანონის უზენაესობის შესუსტება, დედაქალაქ ბაღდადისა და სამხრეთის გუბერნიების ჩათვლით.[22]

---

[19] ვაშინგტონ პოსტი, *ისლამური რესპუბლიკის მოსულიდან განდევნისთვის ბრძოლამ შეიძლება ქაოსი გამოიწვიოს,* 2016 წლის 12 ოქტომბერი, http://wpo.st/01f52; ასოშიეითედ პრესი, *მოსულისთვის ბრძოლა უკვე ცვლის ჩრდილოეთი ერაყის რუკას,* 2016 წლის 27 აგვისტო, http://apne.ws/2bUrUca; ალ-მონიტორი, *რატომ არ იყო უბრალო ადგილობრივი დაპირისპირება შეტაკებები ტუზ-ხორმატოში,* 2016 წლის 5 მაისი, http://almon.co/2niv; სტარტფორი, *ერაყი: ბრძოლა ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში,* 2016 წლის 25 აპრილი, http://bit.ly/2ekDbDT; ვაშინგტონ პოსტი, *ერაყში იწყება ბრძოლები, მაგრამ ისლამური სახელმწიფო მასში არ მონაწილეობს,* 2016 წლის 24 აპრილი, http://wpo.st/YAsW1; გაეროს უშიშროების საბჭო, გენერალური მდივნის მეორე მოხსენება *2233 (2015) რეზოლუციის მე-7 პარაგრაფის შესაბამისად,* 2016 წლის 26 იანვარი, S/2016/77, http://www.refworld.org/docid/56af0c454.html (შემდგომში: გენერალური მდივნის მეორე მოხსენება *2233 (2015) რეზოლუციის მე-7 პარაგრაფის შესაბამისად,* 2016 წლის 26 იანვარი, http://www.refworld.org/docid/56af0c454.html), პარ. 18; HRW, *ერაყი: ეთნიკურ ნიადაგზე გამართული ბრძოლები საფრთხეს უქმნის სამოქალაქო მოსახლეობას,* 2016 წლის 13 იანვარი, http://www.refworld.org/docid/5696125e4.html; ეკურდ დეილი, *ერაყი სინჯარში დაიწყო შეტაკებები იეზიდ მებრძოლებსა და პეშმერგის ქურთთა ფორმირებას შორის,* 2015 წლის 26 ნოემბერი, http://bit.ly/1KZLzkL.

[20] OCHA, *ჰუმანიტარული ბიულეტენი ერაყის შესახებ - 2016 წლის ივლისი - აგვისტო,* 2016 წლის 29 აგვისტო, http://bit.ly/2duUdAQ, გვ. 2; ABC, *დრონით გადაღებული სურათები ავლენს ნგრევის მასშტაბებს, რომელიც გამოწვეულია ერაყის ბრძოლით ისლამური სახელმწიფოს წინააღდეგ,* 2016 წლის 5 ივლისი, http://ab.co/2d5QngQ; ასოშიეიტედ პრესი, *რამადიდან IS-ის განდევნა ერაყს ძვირი დაუჯდა: ქალაქი დანგრეულია,* 2016 წლის 5 მაისი, http://apne.ws/1YavCPW; ალ-ჯაზირა, *გაერო: რამადიში ნგრევის მასშტაბები უფრო დიდია, ვიდრე ერაყის ნებისმიერ სხვა კუთხეში,* 2016 წლის 3 იანვარი, http://on.wsj.com/1R5PyDE; UNITAR/UNOSAT, *ზიანის შეფასება სინჯარში, სინჯარის რაიონში, ნინევის პროვინციაში - ერაყი,* 2015 წლის 24 დეკემბერი, , http://bit.ly/2dh4rEv; ინტერნეიშენალ ბიზნეს თაიმსი, *რა ხდება სინჯარში: დანგრეული ქალაქის სურათები მეტყველებს იმ უზარმაზარ საფასურზე, რაც ქალაქის ISIS*-სგან განთავისუფლება დაჯდა, 2015 წლის 17 ნოემბერი, http://bit.ly/2dRkZCi; KRG/შინაგან საქმეთა სამინისტრო/კრიზისის ერთობლივი კოორდინაციის ცენტრი, *შინგალში ზიანის სწრაფი შეფასება,* 2015 წლის ნოემბერი, http://bit.ly/1OKtLiA

[21] ინტერნეტ-გამოცემა Musings on Iraq, *ერაყის ფალუჯაში დაბრუნება დაიწყო,* 2016 წლის 29 სექტემბერი, http://bit.ly/2dDdm3R; Musings on Iraq, იძულებით გადაადგილებულ პირთა დუხჭირი მდგომარეობა ერაყის პროვინციაში, ანბარში, 2016 წლის 11 აგვისტო, http://bit.ly/2denBL6; ფაინენშელ თაიმსი, *ერაყის აღდგენის საშუალება საფრთხის წინაშეა სამ ფრონტზე,* 2016 წლის 3 აპრილი, http://on.ft.com/2dMpFtF.

[22] IHS Jane's 360, *ბასრაში იმპროვიზებული ნაღმების აფეთქება უსაფრთხოების სიტუაციის გაუარესებაზე მიუთითებს - რაც ხდება ერაყის მთავრობის უუნარობის ფონზე განაიარაღოს ტომები და ბანდები,* 2016 წლის 23 აგვისტო, http://bit.ly/2fPZFk0; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2015 მოხსენებები მსოფლიოს ქვეყნებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ - ერაყი,* 2016 წლის 13 აპრილი,

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევა

8. ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის საყოველთაო დარღვევები იწვევს იძულებით გადაადგილებას და ადამიანთა მსხვერპლს და, ამასთან ერთად, მძიმე ზემოქმედებას ახდენს მშვიდობიანი მოსახლეობის ცხოვრებაზე. გაეროს ადამიანის უფლებათა ორგანოებს და ადამიანის უფლებათა დამცველ ორგანიზაციებს დოკუმენტურად აქვთ დაფიქსირებული, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ნორმების უხეში დარღვევები ხდება ყველა მხარის მიერ, რომლებიც ერაყში არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტში არიან ჩართულნი.[23]

9. გაეროსა და ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების მოხსენებები მიუთითებს ISIS-ის მონაწილეობაზე ისეთ ქმედებებში, როგორიცაა, მშვიდობიან მოსახლეობაზე შეიარაღებული თავდასხმები, მკვლელობები (მათ შორის, სიკვდილით დასჯა სათანადო პროცესის გარეშე), ადამიანთა გატაცება, წამება, გაუპატიურება და სექსუალური ძალადობის სხვა ფორმები, სექსუალური მონობა, სხვა სარწმუნოების მიღების იძულება და ბავშვთა გაწვევა სამხედრო სამსახურში. ეს ქმედებები შეიძლება დაკვალიფიცირდეს სამხედრო დანაშაულად, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულად, ხოლო გარკვეული თემთან მიმართებით - იეზიდთა რელიგიური თემის ჩათვლით - გენოციდად.[24] ISIS-ის შესვლა რელიგიური და ეთნიკური უმცირესობებით

---

http://www.state.gov/documents/organization/253137.pdf, გვ. 6; MRGI, *გადაადგილებასთან დაკავშირებული კრიზისი ერაყში,* 2016 წლის მარტი, http://www.refworld.org/docid/573592d24.html, გვ. 25; მილიტარი თაიმსი, *ერაყის მთავრობასა და ჯარში გაჩნდა შიში შიიტთა უკანონო შეიარღებული დაჯგუფებების ძლიერების მიმართებით,* 2016 წლის 21 მარტი, http://bit.ly/2e4PrMY; ერაყის ახალი ამბები, *თემთაშორისი დაპირისპირების შედეგად სამხედრო შეტაკებები გააქტიურდა ბასრას ჩრდილოეთით,* 2016 წლის 16 თებერვალი, http://bit.ly/1QTliN7; როიტერი, *ერაყის ძალები შევიდნენ სამხრეთის ნავთობის ქალაქში, რათა განაიარაღონ ტომთა მებრძოლები,* 2016 წლის 15 იანვარი, http://reut.rs/1UUhx7p; ასოშიეტედ პრესი, *ერაყის ქალაქ ბასრაში მკვეთრად იმატა კრიმინალმა, მას შემდეგ, რაც ჯარმა დატოვა იგი ISIS-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით,* 2016 წლის 10 იანვარი, http://ind.pn/1RP4Qv3

[23] HRW, *ერაყი: მთავარი პრობლემები მოსულში მოსალოდნელ ბრძოლებთან დაკავშირებით,* 2016 წლის 6 ოქტომბერი, http://www.refworld.org/docid/57f654446.html; გაეროს უშიშროების საბჭო, გენერალური მდივნის მეოთხე მოხსენება *2233 (2015) რეზოლუციის მე-7 პარაგრაფის შესაბამისად,* 2016 წლის 5 ივლისი, http://www.refworld.org/docid/5784de404.html, პარ. 34-46; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2015 მოხსენებები მსოფლიოს ქვეყნებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ - ერაყი,* 2016 წლის 13 აპრილი, http://www.state.gov/documents/organization/253137.pdf, გვ. 1-2; ამნესტი ინტერნეიშენალ, მოხსენება *2015/16 - ერაყი,* 2016 წლის 24 თბერვალი, http://www.refworld.org/docid/56d05b4a9.html; UNAMI, მოხსენება სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ ერაყში შეიარაღებული კონფლიქტის დროს, 2016 წლის 11 იანვარი, http://www.refworld.org/docid/56a09a304.html, გვ. i, ii, 8, 20, 31

[24] UNAMI, *ანგარიშვალდებულებისა და დაცვისაკენ მოწოდება: იეზიდები, რომლებმაც გამოიარეს ISIL-ის სისასტიკე,* 2016 წლის აგვისტო, http://www.refworld.org/docid/57b848814.html, გვ. 4, 5, 7, 18; გაეროს უშიშროების საბჭო, *გენერალური მდივნის მეოთხე მოხსენება 2233 (2015)* რეზოლუციის მე-7 პარაგრაფის შესაბამისად, *2016 წლის 5 ივლისი,* http://www.refworld.org/docid/5784de404.html, პარ. 36; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, „ისინი დასანგრევად მოვიდნენ“: *ISIS-ის დანაშაულები იეზიდთა მიმართ,* 2016 წლის 15 ივნისი, A/HRC/32/CRP.2, http://www.refworld.org/docid/57679c324.html (შემდგომში, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, *ISIS-ის დანაშაულები იეზიდთა მიმართ,* 2016 წლის 15 ივნისი, http://www.refworld.org/docid/57679c324.html), პარ. 202; HRW, *ერაყი: ISIS-ის მიერ დანაღმული ავტომანქანების გამოყენება კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულია,* 2016 წლის 11 მაისი, http://www.refworld.org/docid/573430cf4.html; UNAMI, *მოხსენება ერაყში სამხედრო კონფლიქტის დროს*

ტრადიციულად დასახლებულ ტერიტორიებზე, მოსულისა და ნინევის ველების დიდი ნაწილის ჩათვლით, სისტემატური და საყოველთაო ძალადობის, საყოვლთაო დარღვევებისა და ასი ათასობით ადამიანის უპრეცედენტო გადაადგილების მიზეზი გახდა.[25] მოხსენებებში ნათქვამია, რომ ISIS-ის სამიზნე იყო და კვლავაც რჩება ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების ჯგუფები, რაც მისი საერთო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია, რომელიც მიზნად ისახავს ISIS-ის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებზე ამ თემების სისტემატურ დათრგუნვას, განდევნას ან განადგურებას.[26] არსებული ინფორმაციის თანახმად, ISIS-ის ხელში იეზიდები, ქრისტიანები, კაკაისები, ქურთები და შაბაქები სერიოზულ არასათანადო მოპყრობას ექვემდებარებოდნენ, სიკვდილით დასჯის, მოტაცების, გაუპატიურების, დამონების, იძულებითი ქორწინების, იძულებითი აბორტის და იძულებითი გადაადგილების ჩათვლით.[27] როგორც იტყობინებიან, ISIS-ის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე მოკლეს, მოიტაცეს ან იძულებით გაასახლეს ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების წარმომადგენელთა უმეტესი ნაწილი.[28] არსებული ინფორმაციის თანახმად, ამ დოკუმენტის მომზადების პერიოდისთვის ISIS-ის ტყვეობაში ათასობით ქალი და ბავშვი იმყოფება, ძირითადად - იეზიდი.[29]

10. იტყობინებიან, რომ ISIS-ის მებრძოლები სისტემატურად დევნიან ადამიანებს, ვის მიმართაც აქვთ ეჭვი, რომ ისინი დაკავშირებულნი არიან ან თანამშრომლობენ ერაყის მთავრობასთან, ერაყის უსაფრთხოების ძალებთან ან მთავრობის მხარდამჭერ

სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ, 2016 წლის 11 იანვარი, http://www.refworld.org/docid/56a09a304.html, გვ. i, 8, 32.

[25]MRGI, *გზა შინისაკენ არ არსებობს: ერაყის ეროვნული უმცირესობები გაქრობის საფრთხის წინაშე,* 2016 წლის ივლისი, http://www.refworld.org/docid/578351d04.html, p. 5; გაეროს რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი (CERD), *დასკვნითი შენიშვნები მე15-დან 21-ე პერიოდულ მოხსენებებზე ერაყის შესახებ: რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი,* 2014 წლის 22 სექტემბერი, CERD/C/IRQ/CO/15-21, http://www.refworld.org/docid/56e7b6824.html, განყოფილება D.d.

[26] UNAMI, *მოწოდება პასუხისმგებლობისა და დაცვისაკენ: იეზიდები, რომლებმაც ISIL-ის სისასტიკე გამოიარეს,* 2016 წლის აგვისტო, http://www.refworld.org/docid/57b848814.html, გვ. 5; MRGI, *გზა შინისაკენ არ არსებობს: ერაყის ეროვნული უმცირესობები გაქრობის საფრთხის წინაშე,* 2016 წლის ივლისი, http://www.refworld.org/docid/578351d04.html; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის მოხსენება ერაყში ადამიანის უფლებათა სიტუაციის შესახებ ეგრეთ წოდებული ისლამური რესპუბლიკის მიერ ერაყში ჩადენილი სისასტიკის ფონზე, 2015 წლის 13 მარტი, A/HRC/28/18, http://www.refworld.org/docid/550ad5814.html, პარ. 16-28

[27] აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2015 მოხსენებები მსოფლიოს ქვეყნებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ - ერაყი,* 2016 წლის 13 აპრილი, http://www.state.gov/documents/organization/253137.pdf, გვ. 61; UNAMI, UNAMI, *მოხსენება ერაყში შეიარაღებულ კონფლიქტებში სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ,* 2016 წლის 11 იანვარი, http://www.refworld.org/docid/56a09a304.html, გვ. i-ii, 14-19; გაეროს გენერალური ასამბლეა, *ტექნიკური დახმარება, რომელიც უზრუნველყოფილი იქნა ერაყში ადამიანის უფლებათა ხელშეწყობისა და დაცვისთვის: გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის მოხსენება,* 2015 წლის 27 ივლისი, A/HRC/30/66, http://www.refworld.org/docid/55f7f4c74.html (შემდგომში: გაეროს გენერალური ასამბლეა, *ტექნიკური დახმარება, რომელიც უზრუნველყოფილი იქნა ერაყში ადამიანის უფლებათა ხელშეწყობისა და დაცვისთვის: გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის მოხსენება,* 2015 წლის 27 ივლისი, http://www.refworld.org/docid/55f7f4c74.html), პარ. 48.

[28] UNAMI, *მოხსენება ერაყში შეიარაღებულ კონფლიქტებში სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ,* 2016 წლის 11 იანვარი, http://www.refworld.org/docid/56a09a304.html, გვ. 19.

[29] UNAMI, *ანგარიშვალდებულებისა და დაცვისაკენ მოწოდება: იეზიდები, რომლებმაც გამოიარეს ISIL-ის სისასტიკე,* 2016 წლის აგვისტო, http://www.refworld.org/docid/57b848814.html, გვ. 7; გაეროს ადამიანის უფელებათა საბჭო, *ISIS-ის მიერ იეზიდთა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშულები,* 2016 წლის 15 ივნისი, http://www.refworld.org/docid/57679c324.html, პარ. 205.

ძალებთან.[30] ადამიანებს, რომლებიც ISIS-ის წინააღმდეგ გამოდიან, ან ვინც მათ მოწინააღდეგედ არის მიჩნეული, ან მათ - ვინც არღვევს ISIS-ის წესებს, მკაცრი სასჯელი ემუქრებათ; ამასთანავე, მართლმსაჯულების განხორციელება ხდება შარიათის თვითგამოცხადებული სასამართლოების მიერ, სათანადო სამართლებრივი პროცედურების ყოველგვარი დაცვის გარეშე.[31] ISIS-ზე სამხედრო ზეწოლის გაძლიერების შედეგად, როგორც იტყობინებიან, ამ დაჯგუფებამ ასევე დაიწყო ISF-ის ყოფილი წევრების მოტაცება და სიკვდილით დასჯა, ასევე, მამაკაცებისა და ბიჭების, რომლებსაც ამ ჯგუფის სახელით ბრძოლა არ სურთ.[32] აგრეთვე ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ISIS-ის მებრძოლები ემუქრებიან იმ პირთა ნათესავებს, რომელთა მიმართაც აქვთ ეჭვი, რომ ისინი ერაყის უსაფრთხოების ძალებს (ISF) უჭერენ მხარს.[33] არასრულყოფილი/შეზღუდული მართლმსაჯულების გადაწყვეტილებები, სხვა ზომებთან ერთად, ასევე მოიცავს: დახვრეტას, თავის მოკვეთას, ჩაქოლვას, დაწვას, დახრჩობას, დენით მოკვლას და მაღალი შენობებიდან გადმოგდებას, ასევე - გაროზგვას, ჯვარზე გაკვრას და კიდურების მოკვეთას.[34] მოხსენებებში ნათქვამია, რომ ISIS-ის

---

[30] გაეროს უშიშროების საბჭო, გენერალური მდივნის მოხსენება *2299 (2016) რეზოლუციის შესაბამისად,* 2016 წლის 25 ოქტომბერი; მოსულზე შეტევის გააქტიურებასთან ერთად იზრდება *ISIS-ის მხრიდან ჩადენილი სისასტიკე,* 2015 წლის 15 ოქტომბერი, https://n.pr/2e9ozaf; UNAMI, *მოხსენება ერაყში შეიარაღებულ კონფლიქტებში სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ,* 2016 წლის 11 იანვარი, http://www.refworld.org/docid/56a09a304.html, გვ. 11; UNAMI, *მოხსენება ერაყში შეიარაღებულ კონფლიქტებში სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ: 2014 წლის 11 დეკემბერი - 2015 წლის 30 აპრილი, 2015 წლის 13 ივლისი,* http://www.refworld.org/docid/55a4b83c4.html, გვ. i, 11.

[31] გაეროს უშიშროების საბჭო, გენერალური მდივნის მოხსენება *2299 (2016) რეზოლუციის შესაბამისად,* 2016 წლის 25 ოქტომბერი, http://www.refworld.org/docid/5821ca0f4.html, პარ.44; ფრიდომ ჰაუზი, *თავისუფლება მსოფლიოში 2016 - ერაყი,* 2016 წლის 20 ივნისი, http://www.refworld.org/docid/576be00ac.html; HRW, მოხსენება მსოფლიოს ქვეყნების შესახებ 2016 - ერაყი, 2016 წლის 27 იანვარი, http://www.refworld.org/docid/56bd99386.html; UNAMI, *მოხსენება ერაყში შეიარაღებულ კონფლიქტებში სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ,* 2016 წლის 11 იანვარი, http://www.refworld.org/docid/56a09a304.html, გვ. 11.

[32] ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი (OHCHR), *ზეიდი მოუწოდებს ყურადღება მიაქციონ მსხვერპლის უფლებებს, ერაყში სამოქალაქო მოსახლეობის ტანჯვის „გამაოგნებელი“ მასშტაბების გათვალისწინებით,* 2016 წლის 11 ნოემბერი, https://shar.es/1Iy59i; HRW, *ერაყი: ISIS-ის მიერ 'ცოცხალი ფარის' და სიკვდილით დასჯის გამოყენების საშიშროება,* 2016 წლის 4 ნოემბერი, http://www.refworld.org/docid/5820826b4.html; OHCHR, *მოსულის ბრძოლა: ISIL-ი სახლებიდან აგდებს ათასობით სამოქალაქო პირს და ასობით მათგანს სიკვდილით სჯის,* 2016 წლის 28 ოქტომბერი, http://www.refworld.org/docid/582084b84.html; გაეროს ახალი ამბების ცენტრი, *გაეროს ლტოლვილთა საგენტომ დაიწყო ალყაშემორტყმული ფალუჯადან გამოქცეული ოჯახებისთვის დახმარების მიწოდება,* 2016 წლის 27 მაისი, http://www.refworld.org/docid/574bea4140b.html; Iraqi News, *ISIS-მა 200 ადამიანი დააპატიმრა საომარ მოქმედებებში მონაწილეობაზე უარისთვის, ISIS-ის 25 მებრძოლი სიკვდილით დასაჯეს,* 2016 წლის 5 მაისი, http://bit.ly/1STlJTf.

[33] OHCHR, *პრეს-ბრიფინგის ჩანაწერები ერაყის, სირიისა და საუდის არაბეთის/იემენის შესახებ,* 2016 წლის 1 ნოემბერი, https://shar.es/1I2Nxx.

[34] HRW, ერაყი: *ISIS-ის მმართველობისთვის დამახასიათებელია სიკვდილით დასჯა და სისასტიკე,* 2016 წლის 10 ივლისი, http://www.refworld.org/docid/57836a324.html; UNAMI, მოხსენება შეიარაღებულ კონფლიტში სამოქალაქო პირთა დაცვის შესახებ ერაყში, 2016 წლის 11 იანვარი, http://www.refworld.org/docid/56a09a304.html, გვ. 12; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, საჭიროა დაუყოვნებელი მოქმედება, რათა თავიდან იქნეს აცილებული ადამიანის უფლებათა მასშტაბური დარღვევები *ISIL-ის მიერ – მოუწოდა გაეროს ექსპერტმა უშიშროების საბჭოს სხდომაზე, 2015 წლის 22 ივნისი,* http://bit.ly/1MO2x5z.

ტყვეობაში იმყოფება ადამიანთა დიდი რაოდენობა, ხოლო მის საპყრობილეებში ხდება პატიმართა წამება და მათ მიმართ სასტიკი მოპყრობა.[35]

11. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ISIS-მა პასუხისმგებლობა აიღო სამხედრო და სამოქალაქო სამიზნეთა მრავალრიცხოვან და რეგულარულ თავდასხმებზე, რომლებიც ბაღდადსა[36] და მთავრობის კონტროლის ქვეშ მყოფ სხვა რაიონებში მოხდა, მათ შორის, მანქანების დანაღმვის, თვითმკვლელი ტერორისტების, გზისპირა ნაღმების, ნაღმმტყორცნებისა და ბომბების გამოყენებით.[37] როგორც ამბობენ, ზოგ შემთხვევაში

---

[35] ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი (OHCHR), *ზეიდი მოუწოდებს ყურადღება მიაქციონ მსხვერპლის უფლებებს, ერაყში სამოქალაქო მოსახლეობის ტანჯვის „გამაოგნებელი“ მასშტაბების გათვალისწინებით,* 2016 წლის 11 ნოემბერი, https://shar.es/1Iy59i; HRW, *ISIS-ის მმართველობისთვის დამახასიათებელია სიკვდილით დასჯა და სისასტიკე,* 2016 წლის 10 ივლისი, http://www.refworld.org/docid/57836a324.html; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2015 მოხსენებები მსოფლიოს ქვეყნებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ - ერაყი,* 2016 წლის 13 აპრილი, http://www.state.gov/documents/organization/253137.pdf, გვ. 8, 25; ნიუ-იორკ თაიმსი, *ISIS-ის ტყვეებმა თქვეს, რომ ხსნის იმედი აღარ ჰქონდათ,* 2015 წლის 27 ოქტომბერი, http://nyti.ms/1LX9yRO.

[36] მიუხედავად იმისა, რომ მთავრობამ უსაფრთხოების მკაცრი ზომები მიიღო ISIS-ის შეღწევის თავიდან ასაცილებლად, ბაღდადი - როგორც ქალაქი, ისე მის გარშემო პროვინცია - კვლავ რჩება რეგულარული თავდასხმების ცენტრად, რაც მსხვერპლს იწვევს. ეს თავდასხმები ხშირად - თუმცა არა ყოველთვის - შიიტი სამოქალაქო პირების წინააღმდეგ არის მიმართული. თუმცა ასეთი თავდასხმები ნებისმიერი წარმოშობის სამოქალაქო პირზე მოქმედებს, რადგან ბაღდადში თითქმის არ არის არც-ერთი კუთხე, სადაც ასეთი ძალადობა არ ხდება; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2015 წლის მოხსენებები მსოფლიოს ქვეყნებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ - ერაყი,* 2016 წლის 13 აპრილი, http://www.state.gov/documents/organization/253137.pdf, გვ. 4, 25; ნაციონალი, ISIS-ის ცვალებადი მეამბოხე ბუნების გაშიფვრა, 2016 წლის 7 მარტი, http://bit.ly/1nvvzBc; გაეროს უშიშროების საბჭო, *გენერალური მდივნის მეორე მოხსენება 2233(2015) რეზოლუციის შესაბამისად,* 2016 წლის 26 იანვარი, http://www.refworld.org/docid/56af0c454.html, პარ. 21; UNAMI, *მოხსენება შეიარაღებული კონფლიქტის დროს სამოქალაქო პირთა დაცვის შესახებ ერაყში,* 2016 წლის 11 იანვარი, http://www.refworld.org/docid/56a09a304.html, გვ. 29.

[37] გაეროს უშიშროების საბჭო, *გენერალური მდივნის მოხსენება 2299 (2016) რეზოლუციის შესაბამისად,* 2016 წლის 25 ოქტომბერი, http://www.refworld.org/docid/5821ca0f4.html, პარ. 42, 45. 2016 წლის ივლისის შემდეგ განხორციელებული ძირითადი თავდასხმების შესახებ იხ., BBC, *თვითმკვლელი ტერორისტები ერაყში: ტიკრიტში და სამარაში გამოიყენეს სასწრაფო დახმარების მანქანები,* 2016 წლის 6 ნოემბერი, http://bbc.in/2fQfGWY; PBS, *ბაღდადში ბომბის აფეთქების შედეგად 17 ადამიანი დაიღუპა, რადგან ერაყელი მებრძოლები ცდილობდნენ ISIS-ის განდევნას მოსულიდან,* 2016 წლის 30 ოქტომბერი, http://to.pbs.org/2e5CxgG; როიტერი, *ისლამური სახელმწიფო კირკუკს უტევს, ხოლო ერაყის ძალები - მოსულს,* 2016 წლის 21 ოქტომბერი, http://reut.rs/2edN3DX; როიტერი, *თვითმკვლელი ტერორისტი, სროლების შედეგად 55 ერაყელი დაიღუპა: პოლიცია,* 2016 წლის 15 ოქტომბერი, http://reut.rs/2ehMULm; ასოშიეიტედ პრესი, *ერაყი: ISIS-ის მიერ ბაღდადის დაბომბვისასა სულ მცირე 17 სამოქალაქო დაიღუპა,* 2016 წლის 27 სექტემბერი, http://www.cbc.ca/1.3780289; როიტერი, *ისლამური სახელმწიფოს შეტევის შედეგად ერაყის ჩრდილოეთით, ტიკრიტში, თვრამეტი ადამიანი დაიღუპა, 2016 წლის 24 სექტემბერი,* http://reut.rs/2d7YvOW; როიტერი, ისლამურმა სახელმწიფომ ორი ბომბი ააფეთქა ბაღდადის სავაჭრო ცენტრში - 12 ადამიანი დაიღუპა, 2016 წლის 10 სექტემბერი, http://reut.rs/2cJtNJd; BBC, *დანაღმული მანქანების სამიზნე სავაჭრო ცენტრების ვიზიტორები არიან,* 2016 წლის 6 სექტემბერი, http://bbc.in/2cFZBmn; ალ-ჯაზირა, *ერაყში, ქარბალას მახლობლად, თავდასხმის შედეგად 18 ადამიანი დაიღუპა,* 2016 წლის 29 აგვისტო, http://aje.io/swgb; BBC, *ერაყში დანაღმული მანქანის აფეთქების შედეგად ხალისში 17 ადამიანი დაიღუპა, პასუხისმგებლობა IS-მა აიღო,* 2016 წლის 25 ივლისი, http://bbc.in/2aF8tDG; ასოშიეიტედ პრესი, *პასუხისმგებლობა ISIS-მა აიღო ბაღდადში თვითმკვლელი ტერორისტის აფეთქებაზე, სულ მცირე, 14 ადამიანი დაიღუპა, 2016 წლის 24 ივლისი,* http://fxn.ws/2a9FZVm; CNN, *ბაღდადში თვითმკვლელი ტერორისტის აფეთქების შედეგად 21 ადამიანი დაიღუპა, სულ რამდენიმე კვირა იყო გასული ყველაზე მსხვერპლიანი აფეთქებიდან,* 2016 წლის 21 ივლისი, http://cnn.it/2a27PQP; BBC, თავდასხმა რაკაზე: *IS ათობით ადამიანს კლავს ბაღდადში, 2016 წლის 8 ივლისი,* http://bbc.in/29mdRtj; The

ISIS-მა სამოქალაქო მოსახლეობისა და უშიშროების ძალების შემადგენლობის წინააღდეგ გამოიყენა ჭურვები ქლორისა და მდოგვის გაზით.[38] არსებული ინფორმაციის შესაბამისად, ზოგი შეტევა მიმართული იყო უშიშროების ძალების წინააღმდეგ, მაგრამ, ზოგი შეტევა, როგორც ჩანს, შეგნებულად იყო მიმართული სამოქალაქო ობიექტებზე, მათ შორის, მეჩეთებზე, ბაზრებზე, რესტორნებზე, სათამაშო მოედნებზე, ხშირად - უბნებზე და დასახლებებზე, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას შიიტები შეადგენდნენ.[39] გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ISIS-ი, ტერიტორიების დაკარგვის ფონზე, სულ უფრო ხშირად იყენებს სამოქალაქო მოსახლეობაზე თავდასხმებს იმ ტერიტორიებზე, რომლებსაც მთავრობა ან ქურთისტანის რეგიონული ხელისუფლება აკონტროლებს.[40]

12. გაერომ და ადამიანის უფლებათა დამცველმა ორგანიზაციებმა ასევე დოკუმენტურად დააფიქსირეს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში საერთაშორისო ნორმების შესაძლო დარღვევები, რომლებიც ჩაიდინეს ერაყის უსაფრთხოების ძალების დანაყოფებმა და მათთან დაკავშირებულმა ძალებმა. დამოუკიდებელმა დამკვირვებლებმა აღნიშნეს, რომ სამხედრო ოპერაციების დროს, ასევე ISIS-ის სავარაუდო პოზიციებზე საჰაერო და საარტილერიო შეტევების განხორციელებისას, შესაძლოა დაირღვა განურჩევლობის დაუშვებლობისა და პროპორციულობის პრინციპი, ასევე ძალადობის შედეგებისაგან სამოქალაქო მოსახლეობის დაცვისთვის სიფრთხილის ზომების მიღების ვალდებულება.[41]

Independent, *ბაღდადის დაბომბვა: დანაღმული მანქანის აფეთქებით გამოწვეული მსხვერპლი 300-ს აღწევს, 2016 წლის 8 ივლისი,* http://ind.pn/29u7h8o.

[38] გაეროს უშიშროების საბჭო, *გენერალური მდივნის მეოთხე მოხსენება 2233 (2015) რეზოლუციის მე-7 პარაგრაფის შესაბამისად, 2016 წლის 5 ივლისი,* http://www.refworld.org/docid/5784de404.html, პარ. 38; გაეროს უშიშროების საბჭო, *გენერალური მდივნის მესამე მოხსენება 2233 (2015) რეზოლუციის მე-7 პარაგრაფის შესაბამისად,* 2016 წლის 27 აპრილი, http://www.refworld.org/docid/5731a1a14.html, პარ. 46; Vice News, *რეპორტაჟი ტაზადან, ერაყის ქალაქიდან, სადაც ისლამურმა სახელმწიფომ გაზი გამოიყენა,* 2016 წლის 16 მარტი, http://bit.ly/29BzLec.

[39] გლობალური ცენტრი R2P, *R2P მონიტორი,* გამოცემა 29, 2016 წლის 15 სექტემბერი, http://bit.ly/2cJaAK4, გვ. 5; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2015 მოხსენებები მსოფლიოს ქვეყნებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ - ერაყი,* 2016 წლის 13 აპრილი, http://www.state.gov/documents/organization/253137.pdf, გვ. 4.

[40] მაგალითად, 2016 წლის 21 ოქტომბერს, როგორც იუწყებიან, ISIS-მა მასშტაბური ოპერაციები დაიწყო ქალაქ კირკუკში და დიბისის დასახლებაში (კირკუკის პროვინცია), რათა მოსულიდან ყურადღება გადაეტანა. არსებული ინფორმაციის თანახმად, შეტევის შედეგად 100 ადამიანი დაიღუპა და 200 დაიჭრა; Musings on Iraq, 2016 წლის ოქტომბერში ერაყში 5198 ადამიანი დაიღუპა და დაიჭრა, 2016 წლის 2 ოქტომბერი, http://bit.ly/2fHvA5P; ნიუ-იორკ თაიმსი, *ISIS-ის სტრატეგიის ამოცნობის ძიება გვამებში და მობილურ ტელეფონებში, რომლებიც კირკუკში დარჩა, 2016 წლის 29 ოქტომბერი,* http://nyti.ms/2dYcqU7; ISW, კამპანია მოსულის ასაღებად: *ISIS-ის კონტრშეტევა კირკუკზე, 21 ოქტომბერი, 2016,* http://bit.ly/2eDeJwN. იხ. აგრეთვე, როიტერი, *დანაღმული სასწრაფო დახმარების მანქანის აფეთქების შედეგად ერაყში 21 ადამიანი დაიღუპა: Officials,* 2016 წლის 6 ნოემბერი, http://reut.rs/2eBj0Dm; გაეროს უშიშროების საბჭო, *გაეროს გენერალური მდივნის მოხსენება 2299 (2016) რეზოლუციის შესაბამისად,* 2016 წლის 25 ოქტომბერი, http://www.refworld.org/docid/5821ca0f4.html, პარ. 15; ასოშიეიტედ პრესი, *მოსულში საფრთხის მოლოდინის* გამო ისლამური სახელმწიფო ალტერნატიულ ტაქტიკას იყენებს, 2015 წლის 25 ოქტომბერი, http://fxn.ws/2faRdez; AFP, *ერაყი: მოსულზე შეტევა დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული,* 2016 წლის 23 სექტემბერი, http://bit.ly/2dgR5FW.

[41] აშშ მთავრობა, *სამოქალაქო მოსახლეობის მსხვერპლის შეფასება ერაყსა და სირიაში,* 2016 წლის 9 ნოემბერი, http://bit.ly/2fMy1A3; OHCHR, *პრეს-ბრიფინგის ჩანაწერები ერაყის შესახებ,* 2016 წლის 4 ნოემბერი, https://shar.es/1IcfYo; გაეროს უშიშროების საბჭო, *გაეროს გენერალური მდივნის მოხსენება 2299*

13. სუნიტი არაბი და სუნიტი თურქმენი მოსახლეობის მიმართ დარღვევები ასევე ხდებოდა ერაყის უსაფრთხოების ძალების შენაერთებისა და მთავრობის მხარდამჭერი ფორმირებების მიერ, მათ შორის, იმ სამოქალაქო პირთა მიმართაც, რომლებიც გაქცევით ცდილობდნენ საფრთხისაგან თავის დაღწევას, იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ და დაბრუნებულთა მიმართ, რასაც საფუძვლად ედო ISIS-სთვის ნავარაუდევი ან რეალური მხარდაჭერა ან ამ დაჯგუფებასთან თანამშრომლობა. დაფიქსირებულ დარღვევათა შორის არის თვითნებური დაკავება და მოტაცება, იძულებითი გაუჩინარება, ფიზიკური შეურაცხყოფა, სიკვდილით დასჯა სასამართლო პროცესის გარეშე და იძულებითი გადაადგილება. არსებული ინფორმაციის თანახმად, ISIS-სგან განთავისუფლებულ ტერიტორიებზე შეინიშნებოდა საცხოვრებელი სახლების, მაღაზიებისა და მეჩეთების მაროდიორობა, განზრახ გადაწვა და განადგურება.[42] როგორც იტყობინებიან, ერაყის უსაფრთხოების ძალები აგრეთვე აპატიმრებენ ქალებს, მათი მამაკაცი ნათესავების ტერორისტულ მოქმედებებში სავარაუდო მონაწილეობისათვის.[43]

(2016) რეზოლუციის შესაბამისად, 2016 წლის 25 ოქტომბერი, http://www.refworld.org/docid/5821ca0f4.html, პარ. 48; ამნესტი ინტერნეიშენალ, *ამნესტი ინტერნეიშენალის მოხსენება 2015/16 - ერაყი,* 2016 წლის თებერვალი, http://www.refworld.org/docid/56d05b4a9.html; UNAMI, *მოხსენება შეიარაღებული კონფლიქტის დროს სამოქალაქო პირთა დაცვის შესახებ ერაყში,* 2016 წლის 11 იანვარი, http://www.refworld.org/docid/56a09a304.html, გვ. 23-26; MRGI, *სამოქალაქოთა მსხვერპლი ISIS-ის საწინააღმდეგო დაბომბვის კამპანიების შედეგად 2014–2015,* 2015 წლის ნოემბერი, http://www.refworld.org/docid/57fb90e04.html. რეგისტრირებულ სამოქალაქო მსხვერპლთა შესახებ იხ. Airwars, *სამოქალაქო პირები და 'მეგობრული ცეცხლის' მსხვერპლნი,* ხელმისაწვდომი იყო 2016 წლის 13 ნოემბერს https://airwars.org/civilian-casualty-claims/.

[42] *IS-სგან ტერიტორიების დაბრუნებას თან სდევს სუნიტ თემებზე თავდასხმები შურისძიების მიზნით, რომლებსაც ხშირად მიიჩნევენ IS-ის მხარდამჭერებად ან მათ მოკავშირეებად. PMU-ის უკანონო შეიარღებული დაჯგუფებების მეომრებმა, ხოლო, ზოგ შემთხვევაში - უშიშროების ძალების მებრძოლებმა, მოკლეს, იძლებით გაასახლეს ან აწამეს ათასობით სუნიტი მამაკაცი, სრული დაუსჯელობის ფონზე. ცხადია, რომ ეს ქმედებები იყო შურისძიება იმ სასტიკი დანაშაულებისთვის, რომლებიც IS-მა ჩაიდინა, და ასეთ დანაშაულებს იყენებდნენ სუნიტი თემების იძულებითი გადაადგილების წინაპირობად ან სუნიტ იძულებით გადაადგილებულ პირთა სახლებში დაბრუნების ხელშემშლელ მიზეზად, რომლებიც კონფლიქტის ზონიდან იყვნენ გაქცეული;* ამნესტი ინტერნეიშენალ, *'დაეშის დანაშაულისთვის დასჯილნი - იძულებით გადაადგილებულ ერაყელებს სასტიკად ექცევიან უკანონო შეიარღებული დაჯგუფებების და სამთავრობო ძალების მებრძოლები'.* 2016 წლის 18 ოქტომბერი, http://www.refworld.org/docid/5806051a4.html (შემდგომში: ამნესტი ინტერნეიშენალ, *იგპ ერაყელები, რომლებსაც სასტიკად ექცევიან უკანონო შეიარღებული დაჯგუფებების და სამთავრობო ძალების მებრძოლები,* 2016 წლის 18 ოქტომბერი, http://www.refworld.org/docid/5806051a4.html), გვ. 17. იხ. ქვემოთ "*მოპყრობა სამოქალაქო პირთა მიმართ, რომლებიც ISIS-ის მიერ კონტროლირებული ტერიტორიებიდან ერაყის სხვა რეგიონებში გარბიან", „სამოქალაქო პირთა მიმართ მოპყრობა ადრე ISIS-ის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებზე" და „მოპყრობა სამოქალაქო პირთა მიმართ, რომლებიც არიან რეგიონებიდან, რომლებიც ადრე იყო ან ამჟამად არის ISIS-ის ხელში, რომლებიც არის ცენტრალური ხელისუფლების ან ქურთისტანის რეგიონული მთავრობის მიერ კონტროლირებული. "*

[43] არსებული ინფორმაციის თანახმად, ქალებს, რომლებსაც არ შუძლიათ ან არ სურთ ინფორმაცია მისცენ მათი მამაკაცი ნათესავების შესახებ, აკავებენ 'ტერორისტული აქტების დაფარვისთვის'; გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტი, *დასკვნები ერაყის შესახებ წინასწარ მოხსენებაზე: წამების საწინააღმდეგო კომიტეტი,* 2015 წლის 7 სექტემბერი, CAT/C/IRQ/CO/1, http://www.refworld.org/docid/57a9c1a24.html (შემდგომში: გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტი, *დასკვნები ერაყის შესახებ წინასწარ მოხსენებაზე,* 2015 წლის 7 სექტემბერი, http://www.refworld.org/docid/57a9c1a24.html), პარ. 15; MRGI, *მშველელი არსაიდან არის: ქალთა მიმართ ძალადობა ერაყის კონფლიქტის დროს,* 2015 წლის თებერვალი, http://www.refworld.org/docid/55b610224.html (შემდგომში: MRGI, *ქალთა მიმართ ძალადობა ერაყის კონფლიქტის დროს,* 2015 წლის თებერვალი, http://www.refworld.org/docid/55b610224.html), გვ. 23; HRW,

14. მიმდინარე კონფლიქტის შედეგად საგრძნობლად გაუარესდა ქალთა და გოგონათა მდგომარეობა.[44] იტყობინებოდნენ, რომ ISIS-ის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე ხდება რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალებისა და გოგონების მოტაცება, სექსუალური დამონება, გაუპატიურება, იძულებითი ქორწინება, იძულებითი აბორტები და მკვლელობა, მათ შორის, იეზიდი ქალებისა და გოგონების.[45] გაეროს უშიშროების საბჭომ დაგმო ISIS-ის მიერ სექსუალური ძალადობის გამოყენება „ომის ტაქტიკად".[46] ISIS-ის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე ქალები და გოგონები პრაქტიკულად მთლიანად არიან გამორიცხულნი საზოგადოებრივი ცხოვრებიდან, მათ არ აქვთ უფლება სახლიდან გავიდნენ მამრობითი სქესის მეურვის თანხლების გარეშე, და მათ აიძულებენ დაიცვან ჩაცმულობის მკაცრი სტილი და მკაცრი მორალური ნორმები. დარღვევებისთვის სასჯელის ფორმებია - ჯარიმა, ქალის ან მისი მეურვე მამაკაცის ცემა, წამება და სიკვდილით დასჯა.[47] როგორც იტყობინებიან, ქალები - განსაკუთრებით, განათლებული და პროფესიონალი ქალები, კერძოდ, ექიმები, ადვოკატები და არჩევნებში კანდიდატებად დასახელებლი ქალები - ხშირად ექვემდებარებიან დევნას ISIS-ის მხრიდან, დაპატიმრების, წამებისა და სიკვდილით დასჯის ჩათვლით.[48]

"არავინ არის უსაფრთხოდ" - ქალთა მიმართ ძალადობა ერაყის მართლმსაჯულების სისტემაში, 2014 წლის 6 თებერვალი, http://www.refworld.org/docid/52f4d10a4.html, გვ. 7, 19-20.

[44] *„ქალებს საფრთხე ემუქრება კონფლიქტის ყველა მონაწილე მხარისაგან: შეიარაღებული დაჯგუფებებისაგან, რომლებიც აშინებენ მათ, კლავენ და აუპატიურებენ; შეიარაღებული ძალებისა და პოლიციისაგან - სადაც უმრავლესობა მამაკაცია, და რომლებიც დაცვის ნაცვლად ხშირად ძალადობის თანამონაწილენი არიან; და კრიმინალური ჯგუფებისაგან, რომლებიც სარგებლობენ ქალთა უმწეო მდგომარეობით"*; MRGI, *ქალთა მიმართ ძალადობა ერაყის კონფლიქტის დროს,* 2015 წლის თებერვალი, http://www.refworld.org/docid/55b610224.html, გვ. 5

[45] გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა განაცხადა, რომ ISIS-მა "შექმნა სექსუალური ძალადობის, მონობის, მოტაცების და ადამიანებით ვაჭრობის მოდელი, რომელიც მიმართულია ქალთა და გოგონათა წინააღდეგ, რომლებიც რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების ჯგუფებიდან არიან"; გაეროს წამების საწინააღმდეგო კომისია, *დასკვნები ერაყის შესახებ წინასწარ მოხსენებაზე,* 2015 წლის 7 სექტემბერი, http://www.refworld.org/docid/57a9c1a24.html, პარ. 13. იხ. აგრეთვე, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, *ISIS-ის მიერ იეზიდთა მიმართ ჩადენილი დანაშაულები,* 2016 წლის 15 ივნისი, http://www.refworld.org/docid/57679c324.html, პარ. 42-75; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2016 წლის მოხსენება ადამიანთა ტრაფიკინგის შესახებ-ერაყი,* 2016 წლის 30 ივნისი, http://www.refworld.org/docid/577f95f5e.html; HRW, ერაყი: ქალები იტანჯებიან *ISIS-ის ხელში,* 2016 წლის 5 აპრილი, http://www.refworld.org/docid/5704bb144.html; UNAMI, *მოხსენება სამოქალაქო პირთა დაცვის შესახებ შეიარაღებული კონფლიქტის დროს ერაყში,* 2016 წლის 11 იანვარი, http://www.refworld.org/docid/56a09a304.html, გვ. 17-18.

[46] გაეროს ახალი ამბების ცენტრი, *უშიშროების საბჭო გმობს სექსუალური ძალადობის გამოყენებას 'ომის ტაქტიკად' ერაყსა და სირიაში,* 2015 წლის 28 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/55e4017840c.html

[47] HRW, *ერაყი: ISIS-ის მმართველობისთვის დამახასიათებელია სიკვდილით დასჯა და სისასტიკე,* 2016 წლის 10 ივლისი, http://www.refworld.org/docid/57836a324.html; HRW, *ერაყი: ქალები იტანჯებიან ISIS-ის ხელში,* 2016 წლის 5 აპრილი, http://www.refworld.org/docid/5704bb144.html; ფრიდომ ჰაუზი, *თავისუფლება მსოფლიოში 2016 - ერაყი,* 2016 წლის 20 ივნისი, http://www.refworld.org/docid/576be00ac.html; გაეროს გენერალური ასამბლეა, *გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის მოხსენება,* 2015 წლის 27 ივლისი, http://www.refworld.org/docid/55f7f4c74.html, პარ. 31; MRGI, *ქალთა მიმართ ძალადობა ერაყის კონფლიქტის დროს,* 2015 წლის თებერვალი, http://www.refworld.org/docid/55b610224.html, გვ. 16.

[48] NINA, *ნინევის წყაროები: მოსულის აღების შემდეგ დაეშმა 800-ზე მეტი ქალი სიკვდილით დასაჯა,* 2015 წლის 26 დეკემბერი, http://bit.ly/1VEjaXV; კვინა-ტილ-კვინა, *ქალთა მიმართ ძალადობა ერაყში,* 2015 წლის 21 დეკემბერი, http://bit.ly/1TFlwrw, გვ. 1; UNAMI, *გაეროს მოქმედი წარმომადგენელი მკაცრად გმობს ISIL-ის მიერ მოსულში დეპუტატობის კანდიდატი ქალების სიკვდილით დასჯას,* 2015 წლის 22 აგვისტო, https://shar.es/1vyJLy; გაეროს გენერალური ასამბლეა, ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის მოხსენება, *2015 წლის 27 ივლისი,* http://www.refworld.org/docid/55f7f4c74.html, პარ. 32; MRGI, *ქალთა მიმართ*

15. ერაყი მსოფლიოში ერთ-ერთ სახიფათო ადგილად არის მიჩნეული ბავშვებისთვის.[49] გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მოკვლა და დასახიჩრება აქ ბავშვთა მიმართ ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმებია.[50] ISIS-ი პასუხისმგებელია ბავშვთა მიმართ ძალადობის ფართოდ გავრცელებულ შემთხვევებზე, მოტაცების, ფიზიკური შეურაცხყოფის, სექსუალური ძალადობის, რეკრუტირების, ფიზიკური დასჯის და სიკვდილით დასჯის ჩათვლით.[51] გარდა ამისა, არსებული ინფორმაციის თანახმად, ISIS-ის მოწინააღმდეგე შეიარაღებული ჯგუფები ახდენენ ბავშვთა რეკრუტირებას და მათ გამოყენებას დამხმარე და საბრძოლო ფუნქციების შესასრულებლად, მათ შორის, სახალხო მობილიზაციის ძალების, სუნიტური დაჯგუფებების, ქურთთა მუშათა პარტიის და ქურთთა სხვა შეიარაღებული დაჯგუფებების, ასევე - თურქმენთა და იეზიდთა თავდაცვის რაზმების მიერ.[52] ასევე ცნობილია ბავშვთა დაჭრისა და დაღუპვის შემთხვევები სამხედრო ოპერაციების შედეგად. ამავდროულად, მათზე განსაკუთრებით არათანაზომიერად მოქმედებს ჰუმანიტარული პირობების გაუარესება.[53] გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ინფორმაციის შესაბამისად, ერაყში, სულ მცირე, 3,6 მილიონი ბავშვი - ანუ, ყოველი მეხუთე - სიკვდილის, დასახიჩრების, სექსუალური ძალადობის, მოტაცების და შეიარაღებულ დაჯგუფებაში რეკრუტირების საფრთხის წინაშე დგას.[54] ორგანიზაცია Save the Children იუწყება, რომ ქალაქ მოსულზე შეტევა საფრთხეს წარმოშობს - 600 ათასზე მეტი ბავშვი აღმოჩნდება ცეცხლის ხაზზე,

---

ძალადობა ერაყის კონფლიქტის დროს, 2015 წლის თებერვალი, http://www.refworld.org/docid/55b610224.html, გვ. 17

[49] გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), *ერაყის კრიზისი: მზარდი ძალადობის შედეგად დღეს 3,6 მილიონზე მეტი ბავშვის რისკის წინაშე დგას,* 2016 წლის 30 ივნისი, http://uni.cf/29bp84U

[50] გაეროს უშიშროების საბჭო, *გენერალური მდივნის მოხსენება 2299 (2016)რეზოლუციის შესაბამისად,* 2016 წლის 25 ოქტომბერი, http://www.refworld.org/docid/5821ca0f4.html, პარ. 51; გაეროს გენერალური მდივანი (UNSG), *ბავშვები და შეიარაღებული კონფლიქტი: გენერალური მდივნის მოხსენება,* 2016 წლის 20 აპრილი, A/70/836–S/2016/360, http://www.refworld.org/docid/575535f04.html (შემდგომში: UNSG, ბავშვები და შეიარაღებული კონფლიქტი: გენერალური მდივნის მოხსენება, 2016 წლის 20 აპრილი, http://www.refworld.org/docid/575535f04.html), პარ. 61.

[51] აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2016 წლის მოხსენება ადამიანთა ტრაფიკინგის შესახებ - ერაყი,* 2016 წლის 30 ივნისი, http://www.refworld.org/docid/577f95f5e.html; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, *ISIS-ის დანაშაული იეზიდთა მიმართ,* 2016 წლის 15 ივნისი, http://www.refworld.org/docid/57679c324.html, პარ. 90-97; UNICEF, *ბავშვებისთვის მძიმე ფასად: ერაყში ძალადობა ბავშვებს ბავშვობას ართმევს,* 2016 წლის ივნისი, http://www.refworld.org/docid/577665304.html (შემდგომში: UNICEF, *ერაყში ძალადობა ბავშვებს ბავშვობას ართმევს,* 2016 წლის ივნისი, http://www.refworld.org/docid/577665304.html), გვ. 5; UNSG, *ბავშვები და შეიარაღებული კონფლიქტი: გენერალური მდივნის მოხსენება,* 2016 წლის 20 აპრილი, http://www.refworld.org/docid/575535f04.html, პარ. 59, 65; UNAMI, *მოხსენება სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ შეიარაღებული კონფლიქტის დროს ერაყში,* 2016 წლის 11 იანვარი, http://www.refworld.org/docid/56a09a304.html, გვ. 13, 14, 18-19.

[52] HRW, *ერაყი: უკანონო შეიარღებულ დაჯგუფებებში ბავშვები აჰყავთ,* 2016 წლის 30 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/57c57bdb4.html; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *მოხსენება ადამიანთა ტრაფიკინგის შესახებ - ერაყი,* 2016 წლის 30 ივნისი, http://www.refworld.org/docid/577f95f5e.html; UNSG, *ბავშვები და შეიარაღებული კონფლიქტი: გენერალური მდივნის მოხსენება,* 2016 წლის 20 აპრილი, http://www.refworld.org/docid/575535f04.html, პარ. 59; გაეროს უშიშროების საბჭო, *გენერალური მდივნის მოხსენება ერაყში ბავშვებისა და შეიარაღებული კონფლიქტის შესახებ,* 2015 წლის 9 ნოემბერი, S/2015/852, http://www.refworld.org/docid/565fe2094.html, პარ. 35, 37.

[53] მიაჩნიათ, რომ დაახლოებით 4,7 მილიონ ბავშვს, ანუ ერაყის ბავშვთა ერთ მესამედს, ჰუმანიტარული დახმარება ესაჭიროება; UNICEF, *ერაყში ძალადობა ბავშვებს ბავშვობას ართმევს,* 2016 წლის ივნისი, http://www.refworld.org/docid/577665304.html, გვ. 5.

[54] ეს 1,3 მილიონი ბავშვით მეტია, ვიდრე 2015 წლის დასაწყისში იყო; UNICEF, *ერაყში ძალადობა ბავშვებს ბავშვობას ართმევს,* 2016 წლის ივნისი, http://www.refworld.org/docid/577665304.html, გვ. 5.

თუკი უზრუნველყოფილი არ იქნება მათი გაყვანის უსაფრთხო გზები და მიღებული არ იქნება დაცვის სხვა ზომები.[55]

16. ბავშვთა საგულისხმო რაოდენობა - და, როგორც ამბობენ, ეს რაოდენობა კიდევ უფრო იზრდება - ხდება თვითნებური დაკავების მსხვერპლი და ისინი, გარე სამყაროსთან კავშირის გარეშე, დაპატიმრებულნი არიან ერაყის მთავრობისა და ქურთისტანის რეგიონული მთავრობის ორგანოების საპატიმრო ცენტრებში, პოლიციის განყოფილებებში და რეაბილიტაციის ცენტრებში, შესაბამისად, ზოგჯერ - საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდით.[56] გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბავშვები ასევე დაკავებული არიან მათი ნათესავების ნაცვლად, რომლებიც ტერორისტულ საქმიანობაში არიან ეჭვმიტანილნი.[57]

17. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ერაყის რაიონებში, რომლებიც ISIS-ის *დე ფაქტო* კონტროლის ქვეშ იმყოფება, ეს დაჯგუფება შარიათის კანონებს ახორციელებს მისეული მკაცრი განმარტებით, რომლის მიხედვითაც ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა შორის ორმხრივი თანხმობით განხორციელებული სექსუალური აქტი კანონის დარღვევას წარმოადგენს და სიკვდილით ისჯება.[58] განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის და/ან გენდერული იდენტობის მქონე პირთა მოწყვლადობას კიდევ უფრო ამწვავებს ძალადობის ზრდა და მისი თანმდევი არასახელმწიფო შეიარაღებული სუბიექტების გაძლიერება ერაყის სხვა რეგიონებში. არსებული ინფორმაციის

---

[55] გადავარჩინოთ ბავშვები (Save the Children), *მოსულზე მოსალოდნელი შეტევა საფრთხეში აგდებს 600 ათასი ბავშვის სიცოცხლეს,* 2016 წლის 6 ოქტომბერი.

[56] HRW, *ბავშვთა მიმართ სასტიკი მოპყრობა, რომლებიც დაკავებულნი არიან, როგორც ეროვნული უსაფრთხოებისთვის რისკის შემქმნელნი,* 2016 წლის 28 ივლისი, http://www.refworld.org/docid/57a9af7c4.html; UNSG, *ბავშვები და შეიარაღებული კონფლიქტი: გენერალური მდივნის მოხსენება, 2016 წლის 20 აპრილი,* http://www.refworld.org/docid/575535f04.html, პარ. 60; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2015 მოხსენებები მსოფლიოს ქვეყნებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ - ერაყი,* 2016 წლის 13 აპრილი, http://www.state.gov/documents/organization/253137.pdf, გვ. 59; გაეროს ბავშვთა უფლებების კომიტეტი (CRC), *დასკვნითი შენიშვნები ერაყის შესახებ მეორე-მეოთხე გაერთიანებულ მოხსენებებზე,* 2015 წლის 3 მარტი, CRC/C/IRQ/CO/2-4, http://www.refworld.org/docid/562de4494.html, პარ. 86.

[57] არსებული ინფორმაციის თანახმად, ცენტრალური ხელისუფლების ორგანოები ბავშვებს ადანაშაულებენ „ტერორისტული საქმიანობის დაფარვაში"; HRW,*სასტიკი მოპყრობა ბავშვთა მიმართ, რომლებიც დაკავებულნი არიან, როგორც ეროვნული უსაფრთხოებისთვის რისკის შემქმნელნი,* 2016 წლის 28 ივლისი, http://www.refworld.org/docid/57a9af7c4.html

[58] მამაკაცებს, რომლებსაც ბრალად ედებათ ერთსქესიანი სექსუალური ურთიერთობები, ისეთი სასჯელი, ემუქრებათ, როგორიცაა, ცოცხლად დაწვა, თავის მოკვეთა, ჩაქოლვა, დახვრეტა ან მაღალსართულიანი შენობიდან გადმოგდება; OutRight Action International, *სავარაუდო სოდომის გამო დასჯის გამოქვეყნებული გრაფიკი, რომელსაც ისლამური სახელმწიფოს მეომრები ჩადიოდნენ,* 2016 წლის 9 სექტემბერი, http://bit.ly/1TkMgK7; The Washington Institute, *ისლამური სახელმწიფოს შეხედულება ჰომოსექსუალიზმზე;* 2016 წლის 14 ივნისი, http://bit.ly/28PyQFJ; გაეროს უშიშროების საბჭო, *გაეროს გენერალური მდივნის მეორე მოხსენება 2233 (2015)* რეზოლუციის მე-7 პარაგრაფის შესაბამისად, 2016 წლის 26 იანვარი, http://www.refworld.org/docid/56af0c454.html, პარ. 49; UNAMI, *მოხსენება სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ ერაყში,* 2016 წლის 11 იანვარი, http://www.refworld.org/docid/56a09a304.html; ახლო აღმოსავლეთის მედიის კვლევის ინსტიტუტი (MEMRI), *ისლამური სახელმწიფოს სადამსჯელო კამპანია ჰომოსექსუალთა წინააღმდეგ - ჩაქოლვით, დახვრეტით, სახურავიდან გადმოგდებით, საჯაროდ წამებით: შარიათის კანონების შესაბამისად, როგორც მას განმარტავენ ისლამის გავლენიანი მქადაგებლები და წამყვანი არაბული მასმედიის სწავლულები, ტელეარხ ალ-ჯაზირასა და ტელეარხ ჰამას ალ-აქსას ჩათვლით,* 2015 წლის 10 მარტი, http://bit.ly/1xcVH2O

შესაბამისად, ასეთი პირების მიმართ - მათ შორის, ბავშვების[59] - ხშირად ხდება სხვადასხვა სახის ძალადობრივი ქმედებები სახელმწიფო და არასახელმწიფო სუბიექტების მხრიდან, მათი ახლო და შორეული ნათესავების, ფართო საზოგადოების, სახელმწიფო ორგანოებისა და მთელი რიგი შეიარაღებული დაჯგუფებების ჩათვლით.[60]

მოპყრობა სამოქალაქო პირთა მიმართ, რომლებიც ISIS-ის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიებიდან ერაყის სხვა რეგიონებში გარბიან

18. ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები და დამკვირვებლები ღრმა შეშფოთებას გამოხატავენ იმ სამოქალაქო პირთა მიმართ მოპყრობის გამო, რომლებიც გარბიან მოსულიდან და ISIS-ის მიერ კონტროლირებადი სხვა ტერიტორიებიდან, რადგან ერაყის უსაფრთხოების ძალები და მთავრობის მხარდამჭერი ფორმირებები წინ მიიწევენ ISIS-ის მიერ დაკავებული ტერიტორიების უკან დაბრუნების მიზნით.[61] შეტყობინებებზე დაყრდნობით, ISIS-ის მებრძოლები ხვრეტენ ან ატყვევებენ და სიკვდილით სჯიან სამოქალაქო პირებს, რომლებიც მათი კონტროლის ქვეშ მყოფი ტერიტორიებიდან გაქცევას ცდილობენ; ზოგი მათგანი იღუპება იმპროვიზებულ ასაფეთქებელ მოწყობილობებზე, რომლითაც ISIS-მა გასაქცევი გზები დანაღმა.[62]

---

[59] Haaretz, *ვებგვერდი თავშესაფარს სთავაზობს ერაყის დევნილ ლგბტ საზოგადოებას,* 2015 წლის 28 სექტემბერი, http://bit.ly/1jALD2L; CRC, *დასკვნითი შენიშვნები ერაყის შესახებ მეორე-მეოთხე გაერთიანებულ მოხსენებებზე,* 2015 წლის 3 მარტი, CRC/C/IRQ/CO/2-4, http://www.refworld.org/docid/562de4494.html, პარ. 27.

[60] "*თავდასხმები* (…) *ლესბოსელ, გეი, ტრანსგენდერ და ინტერსექსუალ პირებზე ხდება შეიარაღებული ჯგუფების მიერ, 'მორალური წმენდის' მიზნით;* UNSG, *კონფლიქტთან დაკავშირებული სექსუალური ძალადობები: გენერალური მდივნის მოხსენება, 2015 წლის 23 მარტი,* S/2015/203, http://www.refworld.org/docid/5536100a4.html, პარ. 30. იხ. აგრეთვე, Washington Blade, *ბოევიკები სოციალურ მედიას იყენებენ ერაყელი გეი მამაკაცების მისატყუებლად და მოსაკლავად,* 2016 წლის 24 სექტემბერი, http://bit.ly/2dEOMSw; კაბუ (Caabu), *კაბუში ჩატარდა შეხვედრა ამირ ამურთან, ერაყის პირველი ლგბტ საზოგადოების - „ LGBTQ+Movement IraQueer"-ის დამაარსებელთან,* 2016 წლის 28 ივნისი, http://bit.ly/29eT5vL.

[61] ამნესტი ინტერნეიშენალ, *ერაყი: მოსულისთვის ბრძოლის განმავლობაში შეშფოთებას იწვევს სამოქალაქოთა მდგომარეობა,* 2016 წლის 17 ოქტომბერი, http://bit.ly/2dxlMZQ; ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო (NRC), *მოსულზე შეტევა დაიწყო; ამჟამად 1,2 მილიონი ერაყელი არის საფრთხეში,* 2016 წლის 17 ოქტომბერი, http://bit.ly/2dXP6JT; OCHA, *გენერალური მდივნის მოადგილე ჰუმანიტარულ საქმეებში და გადაუდებელი დახმარების კოორდინატორი სტეფან ო'ბრაიენი - განცხადება ერაყის შესახებ,* 2016 წლის 16 ოქტომბერი, http://bit.ly/2edLSQc; HRW, *ერაყი: ძირითადი საფრთხეები მოსულში მოახლოებულ ბრძოლასთან დაკავშირებით,* 2016 წლის 6 ოქტომბერი, http://www.refworld.org/docid/57f654446.html; ცენტრი ერაყში 'განათლება მშვიდობისთვის', *დავიწყებული ფრონტის ხაზი ჰავიჯაში,* 2016 წლის 30 სექტემბერი, http://bit.ly/2e43bIe; გლობალური ცენტრი R2P, *R2Pმონიტორი,* 29-ე გამოშვება, 2016 წლის 15 სექტემბერი, http://bit.ly/2cJaAK4, გვ. 5.

[62] ალ-არაბია, *ISIS-ის ნაღმის აფეთქებამ 12 ერაყელი სამოქალაქო პირი იმსხვერპლა, მათ შორის, ბავშვები, რომლებიც ჰავიჯადან გარბოდნენ,* 2016 წლის 6 ნოემბერი, http://ara.tv/v8hgk; გაეროს უშიშროების საბჭო, *გენერალური მდივნის მოხსენება 2299 (2016) რეზოლუციის შესაბამისად,* 2016 წლის 25 ოქტომბერი, http://www.refworld.org/docid/5821ca0f4.html, პარ. 44; HRW, *ერაყი: ISIS საფრთხეს უქმნის მოსულის და ჰავიჯას სამოქალაქო მოსახლეობას,* 2016 წლის 23 ოქტომბერი, http://www.refworld.org/docid/582084b84.html; გარდიანი, *მოსულის სამოქალაქო მოსახლეობა შტურმისთვის ემზადება, რადგან ერაყის ძალები აპირებენ ISIS-სგან გაათავისუფლონ იგი,* 2016 წლის 15 ოქტომბერი, http://bit.ly/2eerJOi; UNHCR, *მოსულზე შეტევა ერაყში იძულებით გადაადგილებას გამოიწვევს,* 2016 წლის 21 სექტემბერი, http://www.refworld.org/docid/57e2b29219.html; ერაყის ადამიანის უფლებათა ობსერვატორია (Iraqi Observatory for Human Rights), *ერაყის მთავრობა კვლავ სდუმს ჰავიჯას ჰუმანიტარული კრიზისის შესახებ,* 2016 წლის 19 სექტემბერი, http://bit.ly/2d9cDs9; AFP, *IS ხოცავს ადამიანებს, რომლებიც ერაყის ქალაქის დატოვებას ცდილობენ,* 2016 წლის 5 აგვისტო, http://bit.ly/2dUmP6b; ამნესტი ინტერნეიშენალ, *ფალუჯადან გაქცევა,*

მოხსენებებში აღნიშნულია, რომ ISIS-მა მოსულში და მის შემოგარენში იძულებით გადაასახლა ათასობით სამოქალაქო პირი, სადაც მათ „ცოცხალ ფარად“ გამოყენების საფრთხე ემუქრება.[63]

19. მამაკაცებსა და 14 წლის ზემოთ ბიჭებს, რომლებიც ტოვებენ ISIS-ის მიერ დაკავებულ ტერიტორიებს, როგორც წესი, მათ ოჯახებს აშორებენ და სავალდებულო მკაცრ შემოწმებას უტარებენ, რომელსაც უშიშროების საკონტროლო პუნქტებში ახორციელებენ ერაყის უსაფრთხოების ძალების წარმომადგენლები და მთავრობის მხარდამჭერი ძალები. ეს პუნქტები განლაგებულია შეკრების ადგილებში, ფრონტის ხაზთან, საკონტროლო-გამშვებ პუნქტებთან, ამისთვის დროებით გამოყოფილ ობიექტებზე - როგორიცაა სკოლები და ქარხნები, ან მიმღებ და ტრანზიტის სპეციალურ ცენტრებში. არსებული ინფორმაციის თანახმად, შემოწმების პროცედურა ხშირად სათანადო სასამართლო ზედამხედველობის გარეშე ტარდება.[64] შემოწმების პუნქტებში

2016 წლის 28 მაისი, http://bit.ly/2ejzLoT; UNAMI, *მოხსენება სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ ერაყის კონფლიქტის დროს,* 2016 წლის 11 იანვარი, http://www.refworld.org/docid/56a09a304.html, გვ. 9, 20.

[63] OHCHR, *ზეიდი მოუწოდებს ყურადღება მიაქციონ მსხვერპლის უფლებებს, ერაყში სამოქალაქო მოსახლეობის ტანჯვის „გამაოგნებელი“ მასშტაბების გათვალისწინებით,* 2016 წლის 11 ნოემბერი, https://shar.es/1Iy59i; HRW, *ერაყი: შიში, რომ ISIS-ი გამოიყენებს 'ცოცხალ ფარს' და სიკვდილით დასჯას,* 2016 წლის 4 ნოემბერი, http://www.refworld.org/docid/5820826b4.html; OHCHR, *პრეს-ბრიფინგის ჩანაწერები ერაყის შესახებ,* 2016 წლის 4 ნოემბერი, https://shar.es/1IcfYo; გაეროს გენერალური მდივანი, *გენოციდის პრევენციის საკითხში გენერალური მდივნის სპეციალური მრჩეველის, ადამა დიენის განცხადება მოსულის გარშემო არსებული სიტუაციის შესახებ (ერაყი),* 2016 წლის 1 ნოემბერი, http://bit.ly/2fyur1q; OHCHR, *ბრძოლა მოსულისთვის: ISIL-ი ათასობით ადამიანს აიძულებს დატოვონ თავიანთი სახლები, ხოლო ასობით ადამიანს სიკვდილით სჯის,* 2016 წლის 28 ოქტომბერი, http://www.refworld.org/docid/582084b84.html.

[64] *"უსაფრთხოების შემოწმება პრინციპში გონივრული და გამართლებულია მოსახლეობის უსაფრთხოებისა და დაცვისთვის, იძულებით გადაადგილებულ პირთა ჩათვლით. მაგრამ ასეთი პროცესის ორგანიზების ფორმა მთელ რიგ პრობლემებსა და რისკებს ქმნის იგპ-თა დაცვის თვალსაზრისით, გაუჩინარების, ოჯახების განცალკევების, ხანგრძლივი პერიოდით დაპატიმრების, ექსპლუატაციისა და ძალადობის ჩათვლით";* UNHCR, *ყოველკვირეული ინფორმაცია დაცვის შესახებ, მოსული,* 2016 წლის 29 ოქტომბერი - 4 ნოემბერი, http://bit.ly/2fsroVl. *"მამაკაცები და ბიჭები, რომლებიც ISIS-ის მიერ კონტროლირებული ტერიტორიებიდან გარბიან ქურთისტანის რეგიონული მთავრობის (KRG) მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებზე, გაურკვეველი ვადით არიან დაპატიმრებულნი, მას შემდეგაც კი, რაც KRG ჩვეულ შემოწმებას ჩაატარებს მათი ISIS-თან შესაძლო კავშირების თვალსაზრისით. მათ არა აქვთ ადვოკატებთან დაკავშირების უფლება და პატიმრობაში იმყოფებიან ზოგჯერ რამდენიმე კვირის განმავლობაში, და მაშინაც კი, თუ ისინი პირადად არ არიან ეჭვმიტანილნი დანაშაულის ჩადენაში - ვიდრე KRG-ის ხელისუფლების ორგანოები დამატებით შემოწმებას ატარებენ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, პატიმრობის ერთადერთი სამართლებრივი საფუძველი შეიძლება იყოს ინდივიდუალური ეჭვი რომ პირმა დანაშაული ჩაიდინა, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსით არის გათვალისწინებული, ხოლო პირი პატიმრობაში უნდა იმყოფებოდეს მხოლოდ სისხლის სამართლის მართლმსაჯულებით გათვალისწინებული ნორმების დაცვით";* HRW, *KRG: მამაკაცები და ბიჭები, რომლებიც ბრძოლებს გაურბიან, თვითნებურად არიან დაპატიმრებულნი, 2016 წლის 27 ოქტომბერი,* http://www.refworld.org/docid/582083564.html. იხ. აგრეთვე, IRIN, *ერაყში ტარდება შემოწმებები ისლამურ სახელმწიფოსთან კავშირის გამოსავლენად: არაზუსტი მეცნიერება,* 2016 წლის 10 ნოემბერი, http://www.refworld.org/docid/582973ed4.html; HRW, *ერაყი: დაკავებულია 10 მამაკაცი, რომლებიც გაურბოდნენ საომარ მოქმედებებს,* 2016 წლის 10 ნოემბერი, http://www.refworld.org/docid/5825fb8f4.html; ამნესტი ინტერნეიშენალ, *იძულებით გადაადგილებულ ერაყელებს სასტიკად ექცევიან უკანონო შეიარღებული დაჯგუფებების და სამთავრობო ძალების მეომრები,* 2016 წლის 18 ოქტომბერი, http://www.refworld.org/docid/5806051a4.html, გვ. 32-36; OCHA, *ჰუმანიტარული ბიულეტენი ერაყის შესახებ, 2016 წლის ივლისი-აგვისტო, 2016 წლის 29 აგვისტო,* http://bit.ly/2duUdAQ, გვ. 2; ამნესტი ინტერნეიშენალ, ერაყი: ასობით ათას ადამიანს ემუქრება იძულებითი გადაადგილება, რაც ჰუმანტიარულ კრიზისს გამოიწვევს, 2016 წლის 16 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/57b86e874.html; OCHA, *საგანგებო*

ძალზე შეზღუდულია თავშესაფარზე, საჩრდილობელზე, საკვებზე, წყალზე, სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებზე და სამედიცინო დახმარებაზე ხელმისაწვდომობა,[65] და ხშირად ისინი განლაგებულია უშუალოდ ფრონტის წინა ხაზთან.[66] ზოგ მათგანს რამდენიმე დღეში ათავისუფლებენ, ხოლო ზოგიერთი - როგორც ცნობილია - რამდენიმე კვირის ან თვის განმავლობაში ჰყავთ დაკავებული, ვიდრე მათ საბოლოოდ გაანთავისუფლებდნენ ან შესაბამისი უშიშროების დაწესებულების საპატიმროში გადაიყვანდნენ.[67]

20. გაერომ და ადამიანის უფლებათა დამცველმა ორგანიზაციებმა დააფიქსირეს ინტენსიური დარღვევები, რომელიც სახალხო მობილიზაციის დაჯგუფებებმა, ხოლო, ზოგ შემთხვევაში - ერაყის უსაფრთხოების ძალებმა ჩაიდინეს იმ სამოქალაქო პირთა მიმართ, ვინც გაქცევით ცდილობდა თავის გადარჩენას. ეს განსაკუთრებით შეეხო სუნიტ არაბ მამაკაცებსა და ბიჭებს, რომლებსაც ზოგადად მიჩნევენ ISIS-ის მხარდამჭერებად, იმის მიუხედავად, არსებობს თუ არა ISIS-თან მათი კავშირის შესახებ რაიმე მტკიცებულება. გავრცელდა ინფორმაცია ისეთი დანაშაულის შესახებ, როგორიცაა, თვითნებური დაკავება, მოტაცება, ფიზიკური ძალადობა, ადამიანთა გაუჩინარება, სასამართლო პროცესის გარეშე სიკვდილით დასჯა და გვამების დამახინჯება,[68] მათ შორის, მაგალითად, ISIS-გან ქალაქ ფალუჯას (ალ-ანბარის

მოწოდება მოსულთან დაკავშირებით, 2016 წლის 20 ივლისი, http://bit.ly/2d9dZTv, გვ. 2, 3; NRC/შიდა გადაადგილების მონიტორინგის ცენტრი (IDMC), *ერაყი - უსაფრთხოების ძიებაში,* 2016 წლის ივლისი, http://www.refworld.org/docid/582098104.html, გვ. 8, 11.

[65] ამნესტი ინტერნეიშენალ, *გადაადგილებულ ერაყელებს შეურაცხყოფას აყენებენ უკანონო შეიარღებული დაჯგუფებებისა და სამთავრობო ძალების მეომრები,* 2016 წლის 18 ოქტომბერი, http://www.refworld.org/docid/5806051a4.html, გვ. 8, 33, 35-36; OCHA, *ჰუმანიტარული ბიულეტენი ერაყის შესახებ, 2016 წლის ივლისი-აგვისტო, 2016 წლის 29 აგვისტო,* http://bit.ly/2duUdAQ, გვ. 2; UNHCR, *ერაყი:საგანგებო განახლებული გამოშვება,* 2016 წლის 8 აგვისტო, http://bit.ly/2dN3K5K, გვ. 2; NRC/IDMC, *ერაყი - უსაფრთხოების ძიებაში,* 2016 წლის ივლისი, http://www.refworld.org/docid/582098104.html, გვ. 11.

[66] მაგალითად, 2016 წლის 18 აგვისტოს, ბაჯის ჩრდილოეთით მდებარე სასუქების ფაბრიკა, რომელსაც შემოწმების ობიექტად იყენებდნენ, არტილერიის ცეცხლის ქვეშ მოხვდა, რის შედეგადაც 14 ადამიანი დაიღუპა და 35 დაიჭრა, მათ შორის, 20 იძულებით გადაადგილებული პირი. ინციდენტის შემდეგ ეს ობიექტი დროებით დახურეს, მაგრამ ამ დოკუმენტზე მუშაობის მომენტისთვის მას კვლავ იყენებდნენ; UNHCR-ის ინფორმაცია, 2016 წლის ნოემბერი; გაეროს უშიშროების საბჭო, *გენერალური მდივნის მოხსენება 2299 (2016) რეზოლუციის შესაბამისად,* 2016 წლის 25 ოქტომბერი, http://www.refworld.org/docid/5821ca0f4.html, პარ. 57. იხ. აგრეთვე, NRC/IDMC, *ერაყი - უსაფრთხოების ძიებაში,* 2016 წლის ივლისი, http://www.refworld.org/docid/582098104.html, გვ. 11.

[67] HRW შესაბამისად, მამაკაცებს და ბიჭებს, რომლებიც მოსულიდან და ჰავიჯადან (კირკუკი) გარბიან KRG-ის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებზე, არსებული ინფორმაციის თანახმად, თვითნებურად აპატიმრებენ ქურთთა უშიშროების ძალები - იდენტიფიცირებისთვის საჭირო პერიოდით, მაშინაც კი, როდესაც მათ პირველადი შემოწმება უკვე გავლილი აქვთ; HRW, *KRG: მამაკაცებს, ბიჭებს რომლებიც ბრძოლებს გაურბიან, თვითნებურად აპატიმრებენ,* 2016 წლის 27 ოქტომბერი, http://www.refworld.org/docid/582083564.html. იხ. აგრეთვე, *ერაყი: მამაკაცებს, რომლებიც ბრძოლებს გაურბიან, აპატიმრებენ,* 2016 წლის 10 ნოემბერი, http://www.refworld.org/docid/5825fb8f4.html; ამნესტი ინტერნეიშენალ, *იძულებით გადაადგილებულ ერაყელებს დევნიან უკანონო შეიარღებული დაჯგუფებებისა და სამთავრობო ძალების მეომრები,* 2016 წლის 18 ოქტომბერი, http://www.refworld.org/docid/5806051a4.html, გვ. 8, 33, 36. ანტიტერორისტული კანონის საფუძველზე დაკავებულ პირთა მიმართ მოპყრობის შესახებ იხ. ქვემოთ, თავი 28.

[68] Amnesty International, *საჭიროა ჩატარდეს გამოძიება მოხსენებებისა, სადაც მიუთითებენ ერაყის ძალების მიერ მოსულის მახლობლად სოფლის მოსახლეობის „გულგრილი“ წამებისა და დახოცვის შესახებ* , 2016 წლის 10 ნოემბერი, http://www.refworld.org/docid/5825cd834.html; HRW, *ერაყი: 37 მამაკაცი, რომლებიც ბრძოლებს გაურბოდნენ, დაკავებულნი არიან,* 2016 წლის 10 ნოემბერი, http://www.refworld.org/docid/5825fb8f4.html; ასოშიეიტედ პრესი, *ერაყელები სავარაუდო ბოევიკების*

პროვინცია) განთავისუფლებისას განხორციელებული სამხედრო ოპერაციების დროს - 2016 წლის მაის-ივნისში. არსებული ინფორმაციის თანახმად, ასობით მამაკაცი და ბიჭი, კვლავ ითვლება დაკარგულად, მას შემდეგ, რაც ისინი დატყვევებული ჰყავდათ სახალხო მობილიზაციასთან დაკავშირებულ ჯგუფებს.[69] გარდა ამისა, მასმედია იტყობინებოდა გადაწვისა და ძარცვის ფაქტების შესახებ მას შემდეგ, რაც ფალუჯა დაიკავეს სახალხო მობილიზაციის ძალებმა.[70] მიუხედავად იმისა, რომ ერაყის ხელისუფლებამ საჯაროდ გამოაცხადა იმ პირთა პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც დაკავშირებულნი იყვნენ სამოქალაქო პირთა მიმართ ძალადობასთან, ხშირ

წინააღდეგ ახორციელებენ მართლმსაჯულებას, როგორც ისინი ეძახიან ამ პროცესს, 2016 წლის 26 ოქტომბერი, http://apne.ws/2fQhjnp; ამნესტი ინტერნეიშენალ, *იძულებით გადაადგილებულ ერაყელებს დევნიან უკანონო შეიარღებული დაჯგუფებებისა და სამთავრობო ძალების მეომრები,* 2016 წლის 18 ოქტომბერი, http://www.refworld.org/docid/5806051a4.html; HRW, *ერაყი: უკანონო შეიარღებული დაჯგუფებებისა მოძალადე მეომრები არ უნდა იქნენ დაშვებულნი მოსულის ოპერაციებში,* 2016 წლის 30 ივლისი, http://www.refworld.org/docid/57a05c064.html; ამნესტი ინტერნეიშენალ, *ერაყი: ხელისუფლებამ უნდა მოთოკოს ძალები, რომლებსაც, სავარაუდოდ, ბრალი ედებათ პატიმართა წამებასა და სიკვდილში,* 2016 წლის 8 ივნისი, http://www.refworld.org/docid/57590c6c4.html; გაეროს უშიშროების საბჭო, *გენერალური მდივნის მეორე მოხსენება 2233 (2015) რეზოლუციის მე-7 პარაგრაფის შესაბამისად,* 2016 წლის 26 იანვარი, http://www.refworld.org/docid/56af0c454.html, პარ. 51

[69] არსებული ინფორმაციის თანახმად, მამაკაცებისა და ბიჭების რაოდენობა, რომლებიც კვლავ უგზო-უკვლოდ არიან დაკარგულები და/ან მოკლულნი, კვლავ არ არის ცნობილი და HRW იძლევა გაფრთხილებას, რომ "*ფალუჯაში ოპერაციის დაწყების დღიდან ალ-აბადის მთავრობა უარს ამბობს რაიმე ინფორმაციის გამოცხადებაზე ოპერაციის დროს და მის შემდეგ მოკლულთა და დაკავებულთა რაოდენობის შესახებ, HRW მხრიდან მრავალჯერადი მოთხოვნის მიუხედავად;* HRW, *ერაყი: მთავარი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია მოახლოებულ ბრძოლებთან მოსულისთვის, 2016 წლის 6 ოქტომბერი,* http://www.refworld.org/docid/57f654446.html. იხ. აგრეთვე, ამნესტი იტნერნეიშენალ, *იგპ ერაყელები, რომლებსაც სასტიკად ექცევიან უკანონო შეიარღებული დაჯგუფებებისა და სამთავრობო ძალების მებრძოლები* , 2016 წლის 18 ოქტომბერი, http://www.refworld.org/docid/5806051a4.html; HRW, *ერაყი:ფალუჯაში ჩადენილ ბოროტმოქმედებათა გამოძიება საიდუმლოებით არის მოცული,* 2016 წლის 7 ივლისი, http://www.refworld.org/docid/577e2e304.html. მიუხედავად ამისა, გაერო და უფლებადამცველი ორგანიზაციები იუწყებოდნენ, რომ რაოდენობა რამდენიმე ასეულს აღწევს. ალ-ანბარის გუბერნატორის მიერ შექმნილმა კომიტეტმა და ალ-ანბარის პროვინციის საბჭომ, დაადგინა, რომ მოკლული არის 49 ადამიანი, ხოლო 634 მამაკაცი უგზოუკვლოდ არის დაკარგული, მას შემდეგ, რაც ისინი გაქცევით ცდილობდნენ ფალუჯის ბრძოლებისაგან თავის დაღწევას და PMU-ს ჩაბარდნენ. კომიტეტმა ასევე დაადგინა, რომ დაკავებულების მიმართ ფართოდ იყო გამოყენებული წამება; UN News, *ერაყი: უსაფრთხოების რეფორმა, შეიარაღებულ ჯგუფებზე სახელმწიფო კონტროლი - 'მნიშვნელოვანი გარდატეხის მომენტის' პრიორიტეტი, ამბობს გაეროს წარმომადგენელი,* 2016 წლის 15 ივლისი, http://www.refworld.org/docid/578cd2b440c.html; გაეროს უშიშროების საბჭო, *გენერალური მდივნის მეოთხე მოხსენება 2233 (2015) რეზოლუციის მე-7 პარაგრაფის შესაბამისად,* 2016 წლის 5 ივლისი, http://www.refworld.org/docid/5784de404.html, პარ. 39; OHCHR, *ზეიდი გმობს ისლამური სახელმწიფოს მიერ ჩადენილ სისასტიკეს და მოუწოდებს გაანთავისუფლონ ასობით ადამიანი, რომლებიც ფალუჯადან გაქცევის შემდეგ მოიტაცეს,* 2016 წლის 5 ივლისი, https://shar.es/1ZOEzW. იხ. აგრეთვე, როიტერი, *სპეციალური მოხსენება: მოხსენებები ხოცვა-ჟლეტის შესახებ მიუთითებს, რომ აშშ-ს არ შესწევს უნარი მოთოკოს ერაყის უკანონო შეიარღებული დაჯგუფებების მეომრები,* 2016 წლის 23 აგვისტო, http://reut.rs/2bDkQTE; ალ-ჯაზირა, ფალუჯას სამოქალაქო მოსახლეობა: „უკანონო შეიარღებული დაჯგუფებების მეომრები რიგრიგობით გვაწამებენ". 2016 წლის 16 ივნისი, http://aje.io/34ph.

[70] როიტერი, *შიიტი უკანონო შეიარღებული დაჯგუფებების მებრძოლები შეშფოთებას იწვევენ ფალუჯელ სუნიტებში,* 2016 წლის 3 ივლისი, http://reut.rs/29gTmAp; ასოშიეიტედ პრესი, *სახლები დამწვარი და განადგურებულია ერაყის ქალაქში მებრძოლების დამარცხების შემდეგ,* 2016 წლის 27 ივნისი, http://apne.ws/2e7UcoF.

შემთხვევაში ჯერ კიდევ უცნობია ჩატარდა თუ არა გამოძიება და დაიწყო თუ არა სისხლისსამართლებრივი დევნა.[71]

21. 2014 წლიდან მოყოლებული, კონფლიქტის ზონებიდან ქვეყნის შედარებით უსაფრთხო რეგიონებში მოსახლეობის მასშტაბური გადაადგილებისა და ამ რეგიონებში შექმნილი მაღალი ჰუმანიტარული საჭიროებების გამო, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები სულ უფრო მკაცრ შეზღუდვებს აწესებენ ტერიტორიაზე შესვლასა და ცხოვრებაზე, სპონსორის მოთხოვნის ჩათვლით.[72] სხვადასხვა პროვინციაში შესვლისა და ცხოვრების განსხვავებული მოთხოვნებია დაწესებული. უფრო მეტიც, ერთსა და იმავე დროს, ერთი და იმავე პროვინციის რაიონებში (ქვერაიონებში) შეიძლება სხვადასხვა მოთხოვნა მოქმედებდეს. ამ დოკუმენტის მომზადების პერიოდში, არსებული ინფორმაციის თანახმად, ზოგიერთი პროვინციის ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები პრაქტიკულად სრულად კრძალავენ მათ ტერიტორიებზე იმ პირთა შესვლას, რომლებმაც კონფლიქტის ზონები დატოვეს, კერძოდ, ბაღდადის, ბაბელისა და ქერბალას პროვინციები. სხვა პროვინციათა უმრავლესობა იძულებით გადაადგილებულ პირებს მათ ტერიტორიაზე შესვლისა და ცხოვრების უფლებას აძლევენ გარკვეული პირობების დაცვით, რომლებიც სულ უფრო და უფრო მკაცრი ხდება. ყოველ რაიონს თავისი მოთხოვნები აქვს, თუმცა, უმრავლეს შემთხვევაში, ეს არის სპონსორის არსებობა, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში რეგისტრაცია

---

[71] გაეროს უშიშროების საბჭო, *გენერალური მდივნის მოხსენება 2299 (2016) რეზოლუციის შესაბამისად,* 2016 წლის 25 ოქტომბერი, http://www.refworld.org/docid/5821ca0f4.html, პარ. 46; ამნესტი ინტერნეიშენალ, *იგპ ერაყელები, რომლებსაც სასტიკად ექცევიან უკანონო შეიარღებული დაჯგუფებების და სამთავრობო ძალების მებრძოლები*, 2016 წლის 18 ოქტომბერი, http://www.refworld.org/docid/5806051a4.html, გვ. 7-8, 24-25, 27; HRW, *ერაყი: მთავარი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია მოახლოვებულ ბრძოლებთან მოსულისთვის, 2016 წლის 6 ოქტომბერი,* http://www.refworld.org/docid/57f654446.html; HRW, *ერაყი: ფალუჯაში ჩადენილ ბოროტმოქმედებათა გამოძიება საიდუმლოებით არის მოცული,* 2016 წლის 7 ივლისი, http://www.refworld.org/docid/577e2e304.html; ამნესტი ინტერნეიშენალ, *ერაყი: ხელისუფლებამ უნდა მოთოკოს ძალები, რომლებსაც, სავარაუდოდ, ბრალი ედებათ პატიმართა წამებასა და სიკვდილში,* 2016 წლის 8 ივნისი, http://www.refworld.org/docid/57590c6c4.html.

[72] "*სპეციალურმა მომხსენებელმა მიიღო შემაშფოთებელი ანგარიშები იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ, რომლებსაც შეზღუდული აქვთ გადაადგილება და უსაფრთხო ადგილებში შესვლის უფლებას არ აძლევენ, მათი ეთნიკური ან რელიგიური წარმოშობის, ან წარმოშობის ადგილის გამო. (...) ზოგმა პროვინციამ უარი თქვა იძულებით გადაადგილებულ პირთა შეშვებაზე, ხოლო ზოგმა პროვინციამ მხოლოდ ტრანზიტით გავლის უფლება მისცა მათ.*" გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, *იძულებით გადაადგილებულ პირთა ადამიანის უფლებათა საკითხში სპეციალური მომხსენებლის ანგარიში,* 2016 წლის 5 აპრილი, http://www.refworld.org/docid/575fb7e14.html პარ. 40. "*შესვლის პროცედურებზე გადაწყვეტილების მიღება მთავრობის დონეზე ხდება, რის გამოც იძულებით გადაადგილებული პირები ცდილობენ თავშესაფარი იპოვონ სხვა პროვინციებში, და არა თავიანთი წარმოშობის ადგილებზე, რადგან ეშინიათ, რომ მათ ან დააკავებენ საკონტროლო პუნქტებზე, ან შესვლაზე უარს ეტყვიან პროვინციაში შეცვლილი პოლიტიკის გამო. ბოლო 18 წლის განმავლობაში პროვინციები გაურკვევლად რეაგირებდნენ მათი საზღვრების ფარგლებში იძულებით გადაადგილებულ პირთა მოძრაობაზე";* MRGI, *იძულებითი გადაადგილების კრიზისი ერაყში,* 2016 წლის მარტი, http://www.refworld.org/docid/573592d24.html, გვ. 19. "*იძულებით გადაადგულებულ პირთათვის უსაფრთხო ადგილზე ხელმისაწვდომობა კვლავ პრობლემურია. ერაყის მრავალ პროვინციაში შესვლა კვლავ სპონსორის ყოლაზე არის დამოკიდებული, რის გამოც მრავალ ოჯახს არ შეუძლია საკონტროლო პუნქტის გავლა და პროვინციის საზღვართან იყრიან თავს";* UNHCR, *ერაყი: UNHCR-ის ოპერატიული ინფორმაცია იგპ-თა შესახებ, 2015 წლის 1-3 ნოემბერი,* 2015 წლის 30 ნოემბერი, http://bit.ly/1kIlhMB, გვ. 2. იხ. აგრეთვე, NRC/IDMC, *ერაყი - უსაფრთხოების ძიებაში,* 2016 წლის ივლისი, http://www.refworld.org/docid/582098104.html; UNAMI, *მოხსენება სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ ერაყში კონფლიქტის დროს,* 2016 წლის 11 იანვარი, http://www.refworld.org/docid/56a09a304.html, გვ. 20.

და საშვი, რომელსაც უშიშროების სხვადასხვა ორგანოები გასცემენ.[73] ეს წესები ძირითადად სუნიტ არაბებსა და სუნიტ თურქმენებს ეხება, რომლებიც ISIS-ის მიერ კონტროლირებული ტერიტორიებიდან გარბიან და მიჩნეულნი არიან უსაფრთხოებისთვის რისკის შემქმნელებად. არსებული ინფორმაციის თანახმად, სწორედ მათ ხშირად უარს ეუბნებიან შედარებით უსაფრთხო რაიონებში შესვლაზე და იქ ცხოვრებაზე სხვადასხვა დისკრიმინაციული კრიტერიუმების მოშველიებით.[74] როგორც იტყობინებიან, გამშვებ პუნქტებზე შესვლაზე დაწესებული შეზღუდვები ყოველთვის მკაფიოდ არ არის ფორმულირებული და/ან მათი შესრულების წესი განსხვავებულია, ან შეიძლება მოულოდნელად შეიცვალოს - რაც ძირითადად დამოკიდებულია უსაფრთხოების სიტუაციაზე. ერაყში სპონსორობის მოთხოვნა ზოგადად კანონით არ არის დადგენილი, და არც ოფიციალურად არის გამოცხადებული. ისინი ხშირად ექვემდებარება ცვლილებებს, მათ შორის - თვითნებურს, რაც უარყოფითად მოქმედებს იძულებით გადაადგილებულ პირთა თავისუფალ გადაადგილებაზე და მათ შესვლაზე შედარებით უსაფრთხო რაიონებში. სპონსორობის მოთხოვნა სხვადასხვა საკონტროლო პუნქტზე განსხვავებულად ხდება, ასევე განსხვავებულად მოითხოვენ მას სხვადასხვა მუშაკები. პირის შედარებით უსაფრთხო რეგიონში შესვლა მაშინაც კი არ არის გარანტირებული, როდესაც იგი მოთხოვნილ პირობებს აკმაყოფილებს. შესვლაზე უარი თვით ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მქონე პირებსაც კი უთხრეს. კერძოდ, ტერიტორიაზე შესვლის ნებართვის გაცემა ან უარის თქმა შეიძლება დამოკიდებული იყოს ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა, ეთნიკური და კონფესიური კუთვნილება. სპონსორის მოთხოვნამ და მისი ფარგლებისა და გამოყენების პროცედურების ბუნდოვანებამ შეიძლება ექსპლუატაციისა და ძალადობის საფრთხის წინაშე დააყენოს იძულებით გადაადგილებული პირები, სექსუალური და გენდერულ საფუძველზე განხორციელებული ძალადობის ჩათვლით, რადგან ზოგიერთმა სპონსორმა - იმისათვის, რომ გარანტორად დაუდგეს იგპ-ს - შეიძლება მას თანხა ან რაიმე „სერვისის“ მიწოდება მოსთხოვოს.[75] მოხსენებების

---

[73] UNHCR-ის ინფორმაცია, 2016 წლის ნოემბერი. ინფორმაცია ბაღდადში შესვლისა და ცხოვრების შესახებ სუნიტი არაბებისთვის, რომლებიც არიან რეგიონებიდან, რომლებიც ადრე ან ამჟამად არიან ისლამური სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ, იხ. UNHCR, *აქტუალური COI (ინფორმაცია წარმოშობის ქვეყნის შესახებ), რათა მოხდეს ბაღდადში შიდა გადაადგილების ან განსახლების ალტერნატივის შესაძლებლობის შეფასება (IFA/IRA) სუნიტი არაბებისთვის, რომლებიც არიან ISIS-ის მიერ კონტროლირებული ტერიტორიებიდან,* 2016 წლის მაისი, http://www.refworld.org/docid/575537dd4.html, გვ. 11-12. დამატებითი COI ერაყის სხვადასხვა რეგიონებში შესვლისა და ცხოვრებისთვის მოთხოვნების შესახებ ხელმისაწვდომი იქნება Refworld-ის ვებგვერდზე, www.refworld.org.

[74]“*მაშინ, როდესაც იძულებით გადაადგილებულთა შორის არიან ერაყის ყველა ეთნიკური და რელიგიური თემის წარმომადგენლები, შეზღუდვები ძირითადად დაწესებულია მხოლოდ დევნილ სუნიტ არაბებზე ერაყის უსაფრთხოების ძალებისა და უკანონო შეიარღებული დაჯგუფებების ძალების მიერ ცენტრალურ ერაყში, ხოლო ქურთთა ხელისუფლების ორგანოების მიერ დევნა ხორციელდება ერაყის ქურთისტანში და სადავო ტერიტორიებზე, ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში.* (…) [ასეთი შეზღუდვები] ზოგადად ვრცელდება სუნიტ არაბებზე, რომლებიც, როგორც ჩანს, კოლექტიურად მიიჩნევიან ისლამური სახელმწიფოს მხარდამჭერებად“; ამნესტი ინტერნეიშენალ, *იგპ ერაყელები, რომლებსაც სასტიკად ექცევიან უკანონო შეიარღებული დაჯგუფებების და სამთავრობო ძალების მებრძოლები, 2016 წლის 18 ოქტომბერი,* http://www.refworld.org/docid/5806051a4.html, გვ. 55. იხ. აგრეთვე, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2015 მოხსენებები მსოფლიოს ქვეყნებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ - ერაყი,* 2016 წლის 13 აპრილი, http://www.state.gov/documents/organization/253137.pdf, გვ. 38; OHCHR, *ერაყმა და საერთაშორისო თანამეგობრობამ უნდა გააძლიეროს იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვა, რადგან კრიზისი ღრმავდება - განაცხადა გაეროს ექსპერტმა,* 2015 წლის 19 მაისი, https://shar.es/1Y48hM.

[75] UNHCR-ის ინფორმაცია, 2016 წლის ნოემბერი. “*საკონტროლო-გამშვებ პუნქტებზე პროცედურები ხშირად ატარებს წინასწარი რეგირების ხასიათს, კერძოდ, ხდება მათი გამკაცრება გადაადგილებულთა*

თანახმად, ადამიანებს, რომლებიც უსაფრთხოებას ეძებენ, შეიძლება ძირითად სერვისებზეც კი არ ექნეთ ხელმისაწვდომობა, რადგან შესაძლოა საკონტროლო პუნქტი იყოს დაკეტილი, ან ვერ მიიღონ კონკრეტულ ტერიტორიაზე შესვლის უფლება.[76]

22. იძულებით გადადგილებულ პირებს (იგპ) სულ უფრო ხშირად უკრძალავენ ურბანულ ადგილებში დასახლებას, ხოლო ზოგჯერ, იძულებითაც კი გადაჰყავთ იგპ-სთვის განკუთვნილ ბანაკებში, სადაც მათ მიმართ გამოყენებული გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის ხარისხი აშკარად არაპროპორციულია ნებისმიერი ლეგიტიმური საფრთხისა, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საფრთხეების ჩათვლით.[77] ამის შედეგად, ადამიანები, რომლებიც თავის გადარჩენას გაქცევით ცდილობენ, ხშირად იძულებულნი არიან დარჩნენ კონფლიქტის რაიონებში ან ასეთი

ახალი ტალღის მიმართ, რაიმე ინციდენტების შემდეგ. ერთ დღეს ოჯახისთვის შესვლის უფლების მისაცემად შეიძლება საკმარისი იყოს მხოლოდ ერთი წევრის დოკუმენტები, ხოლო მეორე დღეს შეიძლება მთელი ოჯახი არ შეუშვან, თუკი მხოლოდ ერთ წევრს არა აქვს სათანადო დოკუმენტაცია. გარემოებას ისიც ართულებს, რომ საკონტროლ-გამშვები პუნქტების თანამშრომლებს შეუძლიათ შემოწმების სხვადასხვა პროცედურები გამოიყენონ. შესაბამისად, იგპ-თა შესვლა მოცემულ ტერიტორიაზე შეიძლება უბრალო გამართლებაზე იყოს დამოკიდებული"; MRGI, *იძულებითი გადაადგილების კრიზისი ერაყში,* 2016 წლის მარტი, http://www.refworld.org/docid/573592d24.html, გვ. 19. იხ. აგრეთვე, UNHCR, *ყოველკვირეული ინფორმაცია დაცვის შესახებ, მოსული, 2016 წლის 29 ოქტომბერი - 4 ნოემბერი,* 2016 წლის 4 ნოემბერი, http://bit.ly/2fsroVl; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2015 მოხსენებები მსოფლიოს ქვეყნებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ - ერაყი,* 2016 წლის 13 აპრილი, http://www.state.gov/documents/organization/253137.pdf, გვ. 38.

[76] გაეროს უშიშროების საბჭო, *გენერალური მდივნის მესამე მოხსენება 2233 (2015) რეზოლუციის მე-7 პარაგრაფის შესაბამისად,* 2016 წლის 27 აპრილი, http://www.refworld.org/docid/5731a1a14.html, პარ. 58; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, *სპეციალური მომხსენებლის მოხსენება ერაყში იძულებით გადაადგილებულ პირთა ადამიანის უფლებათა შესახებ, 2016 წლის 5 აპრილი,* http://www.refworld.org/docid/575fb7e14.html, პარ. 41, 43.

[77] გადაადგილების შეზღუდვის გამო, იგპ-თა ხელმისაწვდომობა ძირითად სერვისებზე და ეკონომიკურ შესაძლებლობებზე, მკაცრად არის შეზღუდული. "*კერძოდ, სუნიტი არაბი იძულებით გადაადგილებული პირებისთვის თვითნებური და დისკრიმინაციული შეზღუდვებია დაწესებული მათ თავისუფალ გადაადგილებაზე, როგორც ცენტრალურ ერაყში, ისე ერაყის ქურთისტანის რეგიონებში. ბანაკიდან ქალაქში გამგზავრებისთვის, მათ მთელი რიგი ბიუროკრატიული პროცედურები უნდა გაიარონ, რომლებიც თავისებურია თითოეულ პროვინციაში, და, როგორც ჩანს, საკონტროლო გამშვებ პუნქტზე მყოფი ჩინოვნიკებისა და შეიარაღებული პირების სურვილის მიხედვით იცვლება. ზოგ მათგანს სპეციალური ნებართვა სჭირდება მხოლოდ იმისათვის, რომ ბანაკის ტერიტორია დატოვოს აუცილებელი სამკურნალო პროცედურების გასავლელად";* ამნესტი იტნერნეიშენალ, *ერაყელებს, რომლებიც IS-ის მმართველობას გაურბიან, სახიფათო მომავალი ელოდება,* 2016 წლის 19 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/57b867294.html. იხ. აგრეთვე, *UNHCR, ყოველკვირეული ინფორმაცია დაცვის შესახებ, მოსული, 2016 წლის 29 ოქტომბერი - 4 ოქტომბერი,* 2016 წლის 4 ნოემბერი, http://bit.ly/2fsroVl; ამნესტი ინტერნეიშენალ, *ერაყი: შიში სამოქალაქო პირთა უსაფრთხოების გამო, რომლებიც ჯვარედინ ცეცხლში არიან მოქცეულნი და რომლებსაც ისლამური სახელმწიფო ცოცხალ ფარად იყენებს,* 2016 წლის 27 ოქტომბერი, http://www.refworld.org/docid/581c92474.html; ამნესტი ინტერნეიშენალ, *იგპ ერაყელები, რომლებსაც სასტიკად ექცევიან უკანონო შეიარღებული დაჯგუფებების და სამთავრობო ძალების მებრძოლები* , 2016 წლის 18 ოქტომბერი, http://www.refworld.org/docid/5806051a4.html, გვ. 8-9, 59; UNHCR, ერაყი: *ყოველკვირეული განახლებული ინფორმაცია ბოლო პერიოდის მოვლენათა შესახებ,* 2016 წლის 2 ივნისი, http://bit.ly/2el3ngo, გვ. 2; გაეროს უშიშროების საბჭო, *გენერალური მდივნის მესამე მოხსენება 2233 (2015) რეზოლუციის მე-7 პარაგრაფის შესაბამისად,* 2016 წლის 27 აპრილი, http://www.refworld.org/docid/5731a1a14.html, პარ. 55; IRIN, *ერაყელები ისლამური სახელმწიფოდან გარბიან მხოლოდ იმისთვის, რომ გისოსებში აღმოჩდნენ,* 2016 წლის 27 აპრილი, http://www.refworld.org/docid/5731837a4.html; UNHCR, *UNHCR შეშფოთებულია შეზღუდვების გამო, რომლებიც დაწესებულია იძულებით გადაადგილებულ ერაყელებზე ბანაკებში, 2016 წლის 11 მარტი,* http://www.refworld.org/docid/56e66c924.html.

რაიონების მომიჯნავე ტერიტორიებზე.[78] არსებული ინფორმაციის თანახმად, ქურთთა უშიშროების ძალებმა სუნიტი არაბების ოჯახები იძულებით გადაასახლეს მათი მშობლიური ქალაქებიდან და სოფლებიდან, თითქოს-და მათივე უსაფრთხოებისთვის, რადგან ისინი საბრძოლო მოქმედებებთან უშუალო სიახლოვეს იყვნენ.[79]

სამოქალაქო პირთა მიმართ მოპყრობა ადრე ISIS-ის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებზე

23. არსებული ინფორმაციის თანახმად, ISIS-სგან განთავისუფლებულ ტერიტორიებზე, სახალხო მობილიზაციის ძალების შემადგენლობაში მყოფი დაჯგუფებები, გარკვეული ტომების მიერ შექმნილი ჯგუფები და ქურთთა უშიშროების ძალები მასობრივ ძალადობას მიმართავენ სუნიტი არაბების, თურქმენი მოსახლეობისა და დაბრუნებულთა წინააღმდეგ - მათ მიერ ISIS-სთვის რეალური ან სავარაუდო დახმარების გაწევის ან მასთან კავშირის გამო.[80] არსებული ინფორმაციის თანახმად, ხდებოდა ისეთი დანაშაულები, როგორიცაა, თვითნებური დაკავება და მოტაცება, იძულებითი გაუჩინარება, სიკვდილით დასჯა სასამართლო პროცესის გარეშე, იძულებითი გადაადგილება და სახლების, მაღაზიებისა და მეჩეთების განზრახ გადაწვა

---

[78] გაეროს უშიშროების საბჭო, *გენერალური მდივნის მეოთხე მოხსენება 2233 (2015 რეზოლუციის მე-7 პარაგრაფის შესაბამისად), 2016 წლის 5 ივლისი,* http://www.refworld.org/docid/5784de404.html, პარ.s 49-50; გაეროს უშიშროების საბჭო, *გენერალური მდივნის მეორე მოხსენება 2233 (2015) რეზოლუციის მე-7 პარაგრაფის შესაბამისად,* 2016 წლის 26 იანვარი, http://www.refworld.org/docid/56af0c454.html, პარ. 64.

[79] ამნესტი იტნერნეიშენალ, *იგპ ერაყელები, რომლებსაც სასტიკად ექცევიან უკანონო შეიარღებული დაჯგუფებების და სამთავრობო ძალების მებრძოლები,* 2016 წლის 18 ოქტომბერი, http://www.refworld.org/docid/5806051a4.html, გვ. 61; UNHCR, *ერაყი:ყოველკვირეული ოპერატიული ინფორმაცია, მოსული,* 2016 წლის 11 ოქტომბერი, http://bit.ly/2dkj0sz; UNHCR, *ერაყი:ყოველკვირეული ოპერატიული ინფორმაცია,* 2016 წლის 9 ივნისი, http://bit.ly/2eigAvO; UNHCR, *UNHCR შეშფოთებულია შეზღუდვების გამო,* http://www.refworld.org/docid/56e66c924.html.

[80] ამნესტი ინტერნეიშენალის მკვლევარები „ესაუბრნენ ადგილობრივ ჩინოვნიკებს და თვითმხილველებს, სოფლის მოსახლეობის ჩათვლით, რომლებმაც აღწერეს, თუ როგორ ახორციელებდა სადამსჯელო შურისძიების თავდასხმებს საბავის ტომის მობილიზებული შეიარაღებული დაჯგუფება (ჰაშდ ალ-აშერი). ლითონის ჯოხით სცემდნენ და ელექტროშოკს იყენებდნენ მოქალაქეების წინააღმდეგ, რომელთა მიმართაც არსებობდა ეჭვი, რომ მათ კავშირი ჰქონდათ ისლამურ სახელმწიფოსთან. ზოგ მათგანს მანქანის ძარაზე აბამდნენ და ქუჩებში ათრევდნენ, ან გალიებში სვამდნენ“; ამნესტი ინტერნეიშენალ, *ერაყი: მოსულზე შეტევის დროს ტომების უკანონო შეიარღებული დაჯგუფებების მებრძოლები აწამებდნენ დაკავებულებს შურისძიების ნიშნად,* 2016 წლის 2 ნოემბერი, http://www.refworld.org/docid/582084064.html. *“ქურთისტანის რეგიონული მთავრობის ’პეშმერგას’ ძალებმა და ქურთთა უკანონო შეიარღებული დაჯგუფებების მებრძოლებმა, ჩრდილოეთ ერაყში ბულდოზერებით გადაუარეს, ააფეთქეს და გადაწვეს ათასობით სახლი, რითაც ცდილობდნენ ამოეძირკვათ არაბული თემები, რომლებიც ისლამური სახელმწიფოს მხარდამჭერებად მიაჩნდათ“;* Amnesty International, *ჩრდილოეთი ერაყი: სატელიტური გადაღებები ადასტურებს, რომ პეშმერგას მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებზე წინასწარი განზრახვით მასობრივად გაანადგურეს არაბული სოფლები,* 2016 წლის 20 იანვარი, http://bit.ly/2dUayOT. “*მას შემდეგ, რაც ISF-ის და PMU-ის ძალებმა ისლამურ სახელმწიფოს გამოსტაცეს ბაიჯის რაიონი (სალაჰ-ედ-დინის პროვინცია), PMU-ის ძალებმა დაანგრიეს და გადაწვეს სახელმწიფო და კერძო ობიექტები. (...) არსებული ინფორმაციის თანახმად, ისინი აგრძელებდნენ იმ მოქალაქეთა სახლების განადგურებას, რომლებიც ისლამურ სახელმწიფოსთან კავშირში იყვნენ ეჭვმიტანილნი“;* UNAMI, *მოხსენება სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ ერაყში კონფლიქტის დროს,* 2016 წლის 11 იანვარი, http://www.refworld.org/docid/56a09a304.html, გვ. 26-27. იხ. აგრეთვე, OCHA, *2016 ჰუმანიტარული საჭიროების მიმოხილვა,* 2015 წლის ნოემბერი, http://bit.ly/1RoAqvO, გვ. 7, და იხ. ქვემოთ „*იგპ-თა დაბრუნება და საზღვარგარეთიდან დაბრუნება*“.

და ნგრევა, ხოლო, ზოგ შემთხვევაში - მთელი სოფლების განზრახ განადგურება.[81] როგორც ცნობილია, სინჯარის რაიონში (ნინევას პროვინცია), სუნიტ არაბულ მოსახლეობაზე - ქალებისა და ბავშვების ჩათვლით - შურისძიების მიზნით განხორციელებულ თავდასხმებში იეზიდთა თავდაცვის ჯგუფებიც იყვნენ ჩართულნი.[82]

24. არსებული ინფორმაციის თანახმად, ISIS-სგან განთავისუფლებულ ტერიტორიებზე, ზოგიერთ სუნიტ არაბთა ტომებში ხდება ძალადობრივი დაპირისპირება, როგორც ერთი ტომის შიგნით, ისე ტომებს შორის, რადგან ზოგიერთი სუნიტი არაბული ტომი ან მათი გარკვეული ნაწილი შეიძლება იყო ISIS-ის მომხრე, ხოლო სხვები განზე იდგნენ ან ამ დაჯგუფების წინააღმდეგ გამოდიოდნენ.[83] სუნიტი არაბების ოჯახის წევრებს ან

---

[81] "*ათასზე მეტი ადამიანი, მათ შორის, 15 წლამდე ასაკის პირები, ბრალის წაყენების გარეშე არიან დაპატიმრებულნი უმძიმეს პირობებში, ანბარის პროვინციის (დასავლეთი ბაღდადი) დაკავების ცენტრებში* (…). *დაპატიმრებულებს პირდაპირ ქუჩებში იჭერდნენ, ან სახლებიდან გაჰყავდათ, როდესაც ერაყის ძალები მათ მშობლიურ ქალაქებში შედიოდნენ; მათ მიმართ არსებობდა ეჭვი, რომ კავშირი ჰქონდათ შეიარაღებულ დაჯგუფებებთან, რომლებიც თავიანთ თავს ისლამურ სახელმწიფოს უწოდებდნენ; მათ ზოგჯერ მხოლოდ იმიტომ აკავებდნენ, რომ IS-ის მიერ კონტროლირებულ ქალაქებსა და სოფლებში დარჩნენ*"; ამნესტი ინტერნეიშენალ, *ერაყი: 1000-ზე მეტი პატიმარი იმყოფება შოკისმომგვრელ პირობებში ანბარის პროვინციის ანტიტერორისტულ ცენტრებში,* 2016 წლის 3 მაისი, http://www.refworld.org/docid/582099c54.html. "*მოხსენებები ადასტურებს, რომ ერაყის უსაფრთხოების ძალები, ქურთთა უშიშროების ძალები და მათთან დაკავშირებული უკანონო შეიარღებული დაჯგუფებების რაზმები პასუხისმგებელნი არიან ძარცვასა და ქონების განადგურებაზე, რომელიც სუნიტი არაბების თემებს ეკუთვნოდა, ასევე, იძულებით გასახლებაზე, მოტაცებაზე, უკანონო დაკავებაზე, ხოლო, ზოგ შემთხვევაში, სასამართლოს გარეშე სიკვდილით დასჯაზე*", OHCHR, *ბოლო პერიოდის პრეს-ბრიფინგი თემაზე: ერაყი/დისკრიმინაცია და ძალადობა,* 2015 წლის 4 დეკემბერი, https://shar.es/1G10WJ. იხ. აგრეთვე, HRW, *ერაყი: უკანონო შეიარღებული დაჯგუფებების მოძალადე მეომრები არ უნდა იქნენ დაშვებულნი მოსულის ოპერაციებში,* 2016 წლის 30 ივლისი, http://www.refworld.org/docid/57a05c064.html; ამნესტი ინტერნეიშენალ, *გაძევებულნი და გაძარცულნი: იძულებითი გადაადგილება და ქონების განზრახ განადგურება ჩრდილოეთ ერაყში,* 2016 წლის 20 იანვარი, http://www.refworld.org/docid/56a0800f4.html); გაეროს ახალი ამბების ცენტრი, *ISIL-მა შესაძლოა ჩაიდინა გენოციდის დანაშაული და სამხედრო დანაშაული ერაყში, ნათქვამია გაეროს ადამიანის უფლებათა მოხსენებაში,* 2015 წლის 20 მარტი, http://www.refworld.org/docid/550c12104.html; გაეროს უშიშროების საბჭო, *გენერალური მდივნის მეორე მოხსენება 2233 (2015) რეზოლუციის მე-7 პარაგრაფის შესაბამისად,* http://www.refworld.org/docid/56af0c454.html, პარ. 51; HRW, *დამანგრეველი შედეგები: უკანონო შეიარაღებული დაჯგუფებების მიერ ჩადენილი დარღვევები ტიკრიტზე ერაყის მიერ კონტროლის აღდგენის შემდეგ,* 2015 წლის 20 სექტემბერი, http://www.refworld.org/docid/55ffdbd64.html; HRW, *განთავისუფლებას ნგრევა მოჰყვა: ერაყის უკანონო შეიარღებული დაჯგუფებების და შედეგები ამერლიში,* 2015 წლის 18 მარტი, http://www.refworld.org/docid/550c33b84.html.

[82] გაეროს უშიშროების საბჭო, *გაეროს გენერალური მდივნის მოხსენება 2233 (2015) რეზოლუციის მე-7 პარაგრაფის შესაბამისად,* 2016 წლის 26 იანვარი, http://www.refworld.org/docid/56af0c454.html, პარ. 54; ამნესტი ინტერნეიშენალ, *იძულებითი გადაადგილება და ქონების განზრახ განადგურება ჩრდილოეთ ერაყში,* 2016 წლის 20 იანვარი, http://www.refworld.org/docid/56a0800f4.html, გვ. 21-30; OHCHR, *ბოლო პერიოდის პრეს-ბრიფინგი: ერაყი/დისკრიმინაცია და ძალადობა,* 2015 წლის 4 დეკემბერი, https://shar.es/1G10WJ; Niqash, *ნგრევა, გადაწვა, სისხლისღვრა: იეზიდი უკანონო შეიარღებული დაჯგუფებების მეომრები აღიარებენ ერაყში არაბული სოფლების განზრახ განადგურების ფაქტებს,* 2015 წლის 30 ივლისი, www.niqash.org/+qnppn.

[83] ნიუ-იორკ თაიმსი, *ძმათა ომი ერაყში: 'მე მას ჩემი ხელით მოვკლავ',* 2016 წლის 18 ივნისი, http://nyti.ms/1WUui6I; კარნეგის ახლო აღმოსავლეთის ცენტრი, *სუნიტების მძიმე მდგომარეობა ერაყში,* 2016 წლის 3 მარტი, http://ceip.org/1njaN7R; Niqash, *ექსტრემისტები ტოვებენ სალაჰადინს, ხოლო ერაყის ტომები სამართლიანობას ითხოვენ,* 2015 წლის 22 ოქტომბერი, www.niqash.org/+05803; ISW, *მოხსენება ერაყში სიტუაციის შესახებ: 28-30 ივლისი,* 2015 წლის 30 ივლისი, http://bit.ly/1Y459Ec; Niqash, *ერაყის ტომებს შორის არ არის ერთობა ექსტრემისტებთან მიმართებით - და როგორც ჩანს, ტომის სისხლიანი მართლმსაჯულება გაიმარჯვებს,* 2014 წლის 6 ნოემბერი, www.niqash.org/+j5ob0.

ტომებს, რომლებიც ცნობილი იყვნენ ISIS-თან თანამშრომლობით, ან მათ მიმართ არსებობდა ასეთი თანამშრომლობის ეჭვი, როგორც ამბობენ, სასამართლოს გარეშე სასჯელის სხვადასხვა ფორმით სჯიდნენ ის ტომები და ოჯახები, რომლებიც ISIS-ის წინააღმდეგ გამოდიოდნენ.[84]

25. ანგარიშების მიხედვით, ადგილობრივი ხელისუფლება, უშიშროების ძალები და ტომები ზოგიერთ რაიონებში გასცემდნენ ბრძანებებს ადამიანთა გასახლების შესახებ მათი მშობლიური ადგილებიდან, რასაც ასაბუთებდნენ ISIS-თან მათი ან მათი ოჯახის წევრების რეალური ან სავარაუდო კავშირით.[85] გარდა ამისა, ცალკეულ პირებს, ოჯახებს

---

[84] ტომები, ჩვეულებრივ, დავებს ტომის ჩვეულებათა შესაბამისად გადაწყვეტენ. როგორც წესი, თავდაპირველად ისინი ცდილობენ დავა გადაჭრან მომრიგებელი მოსამართლის მეშვეობით, ან, თუ ადგილი ჰქონდა მკვლელობას, ფიზიკურ დასახიჩრებას და საკუთრების დაზიანებას ან განადგურებას - მსხვერპლის ოჯახისთვის ფინანსური კომპენსაციის გადახდის მეშვეობით - „სისხლიანი ფული“ ('ფასლი' ან 'დიია'). დაზარალებული მხარე, თავის მხრივ, უარს ამბობს შურისძიების უფლებაზე. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ტომები ვერ ახერხებენ მშვიდობიანი გზით მორიგებას, ასეთი კონფლიქტები სისხლიან მტრობაში გადადის, რასაც შეიძლება თან მოჰყვეს ძალადობისა და შურისძიების გრძელი ციკლი. როგორც იტყობინებიან, მართლმსაჯულების ეს ტრადიციული ფორმები ძლიერი წნეხის ქვეშ ექცევა მასშტაბური და მძიმე დანაშაულთა ფონზე, რომლებსაც ISIS-თან დაკავშირებული პირები ჩადიან. ერაყში გაეროს ჰუმანიტარული კოორდინატორის, ლისე გრანდეს ინფორმაციით, „უმეტესი მექანიზმი, რომლებსაც ტომები იყენებენ სოციალური დაძაბულობის შესამსუბუქებლად და შერიგების ხელშესაწყობად, საკმაოდ გადატვირთულია“. ამის შედეგად, მხარეებს შეუძლიათ რიგრიგობით მიმართონ ძალადობას მათ მიმართ, ვისაც ისინი ისლამური სახელმწიფოს მხარდამჭერებად მიიჩნევენ; Los Angeles Times, *ერაყში სასჯელი არის გათვალისწინებული ისლამურ სახელმწიფოსთან ნათესაური კავშირებისთვის და კომპენსაცია - ძალადობის მსხვერპლთათვის,* 2016 წლის 9 ოქტომბერი. http://fw.to/GRpniPT. ტომებში დავების გადაწყვეტის სხვა ფორმების შესახებ იხ. ჰაიდერ ალა ჰამუდი, ვასფი ალ-შარაა და აქელ ალ-დაჰანი, *დავების გადაწყვეტა სახელმწიფო და სათემო სამართალში ერაყის სამხრეთ ნაწილში: პლურალიზმის მოდელი თანამშრომლობის საფუძველზე,* პიტსბურგის უნივერსიტეტი, სამართლის კვლევის სერიული გამოცემა, სამუშაო დოკუმენტი No. 2015-09, 2015 წლის 30 მარტი, http://bit.ly/2fHBmVT; ახლო აღმოსავლეთის ინსტიტუტი, *ტომის სამართალი და მორიგება ახალ ერაყში,* ტომი 65, 2011 წლის ზამთარი, http://bit.ly/1Ot7eTM, გვ. 14-17.

[85] არსებული ინფორმაციის თანახმად, 2016 წლის სექტემბერში, ჰიტის რაიონის (ალ-ანბარის პროვინცია) ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებმა, ISIS-თან კავშირში ეჭვმიტანილ ოჯახებს უბრძანეს 72 საათში დაეტოვებინათ რაიონი. თავდასხმები განხორციელდა სახლებზე, რომელთა პატრონებმაც რაიონი არ დატოვეს, ხოლო მიტოვებული სახლები დაანგრიეს ან ISIS-ის მიერ დაზარალებულებს მისცეს კომპენსაციის სახით. არსებული ინფორმაციის შესაბამისად, გამოსახლებული ოჯახები ალ-ანბარის პროვინციაში გადაადგილდნენ, ალ-ქაიმას რაიონის ჩათვლით, რომელიც ISIS-ის კონტროლის ქვეშ რჩება, ხოლო ზოგი მათგანი, რომლებსაც ერაყში შურისძიების შიში ჰქონდათ, სირიაში გადავიდნენ; UNHCR-ის ინფორმაცია, 2016 წლის ნოემბერი, UNHCR, *ერაყი: ოპერატიული ინფორმაცია,* 2016 წლის 1 სექტემბერი, http://bit.ly/2dG2GkQ, გვ. 2. "*მაგალითად, 26 ივლისს, ბაბილის პროვინციის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება იმ პირთა სახლების აღების თაობაზე, რომლებიც მსჯავრდებულნი იყვნენ ISIL-თან კავშირისთვის და მათი ოჯახის წევრების პროვინციიდან იძულებითი გასახლების შესახებ. 30 აგვისტოს, სალაჰ-ედ-დინის პროვინციის საბჭომ, მიიღო გადაწყვეტილება ყველა პირის პროვინციიდან 10 წლის ვადით იძულებითი გასახლების შესახებ, რომლებიც ეჭვმიტანილნი იყვნენ ISIL-თან კავშირში, ხოლო პროვინციის გარეთ მცხოვრებ ოჯახებს, სადაც ერთი წევრი მაინც არის ასეთი ეჭვმიტანილი, პროვინციაში დაბრუნება აეკრძალათ".* გაეროს უშიშროების საბჭო, *გენერალური მდივნის მოხსენება 2299 (2016) რეზოლუციის შესაბამისად,* 2016 წლის 25 ოქტომბერი, http://www.refworld.org/docid/5821ca0f4.html, პარ. 47. იხ. აგრეთვე, ლოს-ანჯელეს თაიმსი, *ერაყში გათვალისწინებულია სასჯელი ისლამურ სახელმწიფოსთან ნათესაური კავშირისთვის და ძალადობის მსხვერპლთა კომპენსაცია,* 2016 წლის 9 ოქტომბერი, http://fw.to/GRpniPT; ადამიანის უფლებათა ობსერვატორია ერაყში, *სალაჰ ალ-დინის პროვინციაში იძულებით გადაადგილებულ პირებს იძულებით ასახლებენ ან უკრძალავენ მათ თავიანთ ქალაქში დაბრუნებას,* 2016 წლის 2 ოქტომბერი, http://bit.ly/2dwtof1; ვებგვერდი The New Arab, *ერაყის უკანონო შეიარღებული დაჯგუფებებს ქალაქის მოსახლეობის განადგურებაში ადანაშაულებენ, რომელიც IS-გან გაანთავისუფლეს,* 2016 წლის 13 აგვისტო, http://bit.ly/2dTEgTW; ვებგვერდი Niqash, *ექსტრემისტები მიდიან სალაჰადინიდან,*

და ტომებს, რომლებიც ეჭვიტანილნი იყვნენ ISIS-თან კავშირში, თავიანთ მშობლიურ ადგილებში დაბრუნების ნებართვას არ აძლევდნენ.[86] ზოგ შემთხვევაში, სუნიტი არაბებისა და სუნიტი თურქმენების სოფლების განზრახ განადგურებაში ბრალი ასევე ედებოდათ ქურთთა უშიშროების ძალებს და სახალხო მობილიზაციის შემადგენლობაში მყოფ დაჯგუფებებს, რასაც ისინი აკეთებდნენ შურისძიების და/ან დაბრუნების თავიდან აცილების მიზნით, რათა ამ ტერიტორიებზე თავიანთი კონტროლი განემტკიცებინათ.[87] მაგალითად, არსებული ინფორმაციის თანახმად, ერაყის უსაფრთხოების ძალებმა და სახალხო მობილიზაციის ძალებთან დაკავშირებულმა ჯგუფებმა სუნიტ არაბთა დასახლების ჯურფა ალ-საჰარის (ბაბილის პროვინცია) მთელ მოსახლეობას - რომლის რაოდენობა 70-80 ათასს აღწევდა - დაბრუნება აუკრძალა. გარდა ამისა, არსებული ინფორმაციის თანახმად, 2014 წლის ოქტომბრის ბოლოს, ISIS-სგან განთავისუფლების შემდეგ, სახალხო მობილიზაციის ჯგუფები აქ წვავდნენ საცხოვრებელ სახლებს.[88] იტყობინებიან, რომ ადგილობრივი ხელისუფლება და ტომები უკრძალავდნენ დაბრუნებას ოჯახებსა და ტომებს, რომლებიც, როგორც დადგინდა, ISIS-ის მხარდამჭერები იყვნენ.[89]

ხოლო ერაყის ტომები სამართლიანობას მოითხოვენ, 2015 წლის 22 ოქტომბერი, www.niqash.org/+05803; Niqash, *'ჩემი ვაჟი ისლამურ რესპუბლიკაში გაიქცა და ახლა ჩემი ცხოვრება ჯოჯოხეთს დაემსგავსა',* 2015 წლის 10 სექტემბერი, www.niqash.org/+akof0.

[86] ზოგ შემთხვევაში, მთელი სოფლები და დასახლებები არიან ეჭვმიტანილნი ISIS-თან კავშირში; ამნესტი ინტერნეიშენალ, *იძულებითი გადაადგილება და ქონების განზრახ განადგურება,* 2016 წლის 20 იანვარი, http://www.refworld.org/docid/56a0800f4.html, გვ. 6-7. იხ. აგრეთვე, Niqash, *ერაყის ანბარის პროვინციის პოლიციელები: ერაყსა და რთულ ადგილს შორის,* 2016 წლის 1 ნოემბერი, http://bit.ly/2eNT6tX; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2015 წლის მოხსენება რელიგიის საერთაშორისო თავისუფლების შესახებ - ერაყი, 2016 წლის 10 აგვისტო,* http://www.refworld.org/docid/57add86b59.html; ალ-მონიტორი, *ერაყელი იძულებით გადაადგილებული პირები კვლავ დაბრუნებას ელოდებიან,* 2015 წლის 24 ივნისი, http://almon.co/2ghm.

[87] ამნესტი იტნერნეიშენალ, *იგპ ერაყელები, რომლებსაც სასტიკად ექცევიან უკანონო შეიარღებული დაჯგუფებების და სამთავრობო ძალების მებრძოლები,* 2016 წლის 18 ოქტომბერი, http://www.refworld.org/docid/5806051a4.html, გვ. 9, 17, 18, 58-59, 61; გაეროს უშიშროების საბჭო, *გენერალური მდივნის მესამე მოხსენება 2233 (2015) რეზოლუციის მე-7 პარაგრაფის შესაბამისად,* 2016 წლის 27 აპრილი, http://www.refworld.org/docid/5731a1a14.html, პარ. 48; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, *იძულებით გადაადგილებულ პირთა ადამიანის უფლებათა სპეციალური მომხსენებლის ანგარიში,* 2016 წლის 5 აპრილი, http://www.refworld.org/docid/575fb7e14.html, პარ. 48, 49; MRGI, *გადაადგილებით გამოწვეული კრიზისი ერაყში,* 2016 წლის მარტი, http://www.refworld.org/docid/573592d24.html, გვ. 22; ამნესტი ინტერნეიშენალ, *იძულებითი გადაადგილება და ქონების განზრახ განადგურება ერაყში,* 2016 წლის 20 იანვარი, http://www.refworld.org/docid/56a0800f4.html, გვ. 5; HRW, *ერაყის ქურთისტანი: ხდება არაბთა გადაადგილება, ალყის შემორტყმა და დაკავება,* 2015 წლის 26 თებერვალი, http://www.refworld.org/docid/54f046494.html. იხ. აგრეთვე ზემოთ, "*სამოქალაქო პირთა მიმართ მოპყრობა ადრე ISIS-ის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებზე".*

[88] ქალაქი ჯურფ ალ-სახრი (რომელსაც განთავისუფლების შემდეგ ჯურფ ალ-ნასრი დაარქვეს) ISIS-ის კონტროლის ქვეშ იყო 2014 წლის ივნისიდან გვიან ოქტომბრამდე. იხ. Musings on Iraq, *დაბრუნებულთა რიცხვის ზრდამ ერაყში გადაადგილებულთა რაოდენობის უმნიშვნელო კლება გამოიწვია,* 2016 წლის 20 სექტემბერი, http://bit.ly/2e32daD; MRGI, *გადაადგილებით გამოწვეული კრიზისი ერაყში: უსაფრთხოება და დაცვა,* 2016 წლის მარტი, http://www.refworld.org/docid/573592d24.html, გვ. 12; Musings on Iraq, *ჯურფ ალ-სახრის განთავისუფლება (ბაბილის პროვინცია) და მისი ზემოქმედება,* 2015 წლის 15 იანვარი, http://bit.ly/2dZueUk; როიტერი, *სპეციალური მომხსენებელი: ერაყის „ცეცხლის ზონები",* 2014 წლის 17 დეკემბერი, http://reut.rs/1uS4Knd; ნიუ-იორკ თაიმსი, *სუნიტები შიშობენ, რომ მათ ერაყის ქალაქიდან სამუდამო გაძევება ემუქრებათ,* 2014 წლის 5 დეეკემბერი, http://nyti.ms/1G1r6ux.

[89] მაგალითად, "*ტიკრიტის მახლობლად, რომელიც ერაყის უსაფრთხოების ძალებმა ISIS-სგან გაანთავისუფლეს, ჯუბირის ტომი ალამადა - რომელიც ISIS-ის წინააღმდეგ იბრძოდა - ცდილობს ხელი შეუშალოს ალბუ აჯილის ტომის სუნიტებს თავიანთ სახლებში დაბრუნებას, რის საფუძვლადაც იყენებს მათ დადანაშაულებას ISIS-თან კავშირში";* ISW, *მოხსენება ერაყში სიტუაციის შესახებ: 28-30 ივლისი,*

მოპყრობა სამოქალაქო პირთა მიმართ, რომლებიც არიან რეგიონებიდან, რომლებიც ადრე იყო ან ამჟამად არის ISIS-ის ხელში, რომლებიც არის ცენტრალური ხელისუფლების ან ქურთისტანის რეგიონული მთავრობის მიერ კონტროლირებული

26. დიდი რაოდენობის სუნიტი არაბების იძულებითი გადაადგილების შედეგად გამწვავდა თემთა შორის დაპირისპირება იმ ტერიტორიებზე, რომლებიც მათ მასპინძლობას უწევენ[90] და სულ უფრო მეტად იზრდება ეჭვი, რომ მათ ან კავშირი აქვთ ISIS-თან, ან უთანაგრძნობენ მას.[91] არსებული ინფორმაციის თანახმად, ზოგი პოლიტიკოსი და უშიშროების ძალების მაღალჩინოსანი არაერთხელ ამტკიცებდა, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა შორის იყვნენ ISIS-ის მებრძოლები და/ან რომ არსებობს კავშირი იძულებით გადაადგილებულ პირთა ნაკადის გააქტიურებასა და უსაფრთხოების დარღვევების ზრდას შორის, ეს კი ხელს უწყობს იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ ისედაც უარყოფითი დამოკიდებულების გაუარესებას.[92] გავრცელებული ინფორმაციის შესაბამისად, ალ-ანბარში, ბაღდადში, ბაბელში, დიალაში, კირკუკში და სხვა ტერიტორიებზე ადგილი აქვს სუნიტი არაბების შეურაცხყოფის, დაშინების, მოტაცების, თვითნებური დაპატიმრების, გასახლებისა და

2015 წლის ივლისი, http://bit.ly/1Y459Ec. იხ. აგრეთვე, Niqash, *'ჩემი ვაჟი ისლამურ რესპუბლიკაში გაიქცა და ახლა ჩემი ცხოვრება ჯოჯოხეთს დაემსგავსა',* 2015 წლის 10 სექტემბერი, www.niqash.org/+akof0; Al-Monitor, *იძულებით გადაადგილებული ერაყელები კვლავ შინ დაბრუნებას ელოდებიან,* 2015 წლის 24 ივნისი, http://almon.co/2ghm.

[90] ACAPS, *თემატური მოხსენება: იძულებითი გადაადგილება ერაყის ქურთისტანში,* 2016 წლის 24 აგვისტო, http://bit.ly/2e9P52l, გვ. 3, 4-5; MRGI, *გადაადგილებით გამოწვეული კრიზისი ერაყში,* 2016 წლის მარტი, http://www.refworld.org/docid/573592d24.html, გვ. 25; OCHA, *ერაყის ჰუმანიტარული რეაგირების გეგმა - 2016,* 2015 წლის დეკემბერი, http://bit.ly/1U3LFAI, გვ. 29.

[91] "(…) *იძულებით გადაადგილებული პირები ანბარის პროვინციიდან დევნასა და დისკრიმინაციას განიცდიან მათი სუნიტური წარმოშობის გამო (აქედან გამომდინარე, მათ მიმართ არსებობს prima facie ეჭვი ISIS-ის მხარდაჭერასთან დაკავშირებით)*"; *გადაადგილებით გამოწვეული კრიზისი ერაყში,* 2016 წლის მარტი, http://www.refworld.org/docid/573592d24.html, გვ. 11. „თუმცა ახალმოსულები ანბარიდან სისხლისღვრას მხოლოდ იმიტომ გაურბოდნენ, რომ უნდობლობისა და მტრულ გარემოში მოხვედრილიყვნენ. (...) გადაადგილებული პირები ჩივიან, რომ მათ მიმართ ხორციელდება დევნა უშიშროების ძალებისა და გავლენიანი შიიტი უკანონო შეიარაღებული დაჯგუფებების წევრთა მხრიდან, რომლებიც შიშობენ, რომ ბაღდადში შემოსული პირები შეიძლება დაკავშირებულნი იყვნენ სუნიტ ექსტრემისტებთან ისლამურ სახელმწიფოში"; ვაშინგტონ პოსტი, Washington Post, *ერაყელი სუნიტები ანბარადან გარბიან, რათა ახალი საფრთხის წინაშე აღმოჩდნენ ბაღდადში,* 2015 წლის 17 მაისი, http://wpo.st/kN6Q1. იხ. აგრეთვე, UNAMI, *სამოქალაქო მოსახლეობის დაცვა შეიარაღებული კონფლიქტის დროს ერაყში; 2014 წლის 11 დეკემბერი - 2015 წლის 30 აპრილი,* 2015 წლის 13 ივლისი, http://www.refworld.org/docid/55a4b83c4.html, გვ. 8.

[92] ნიუ-იორკ თაიმსი, *ერაყში ISIS-ის მეომრებმა შეტევა განახორციელეს კირკუკზე, რითაც ყურადღება გადაიტანეს მოსულიდან,* 2016 წლის 21 ოქტომბერი, http://nyti.ms/2eqkDSh; Newsweek, *ISIS-ის მეომრები უტევენ კირკუკს ჩრდილოეთ ერაყში, ხოლო ძალები აშშ-ის მხარდაჭერით აგრძელებენ მოსულზე იერიშს,* 2016 წლის 21 ოქტომბერი, http://bit.ly/2fsD5Lo; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, *იძულებით გადაადგილებულ პირთა ადამიანის უფლებათა საკითხებში სპეციალური მომხსენებლის ანგარიში,* 2016 წლის 5 აპრილი, http://www.refworld.org/docid/575fb7e14.html, პარ. 44; IRIN, *გაეროს მაკონტროლებელი ორგანო აკრიტიკებს ერაყს იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ მოპყრობისთვის,* 2015 წლის 19 მაისი, http://www.refworld.org/docid/555f1a6e4.html; ასოშიეიტედ პრესი, *ბაღდადის ოფიციალური პირები იძულებით გადაადგილებულ სუნიტებს ადანაშაულებენ აფეთქებათა ტალღის განხორციელებაში,* 2015 წლის 2 მაისი, http://bit.ly/1UriuYk; Al-Monitor, *ანბარიდან გამოქცეული იძულებით გადაადგილებული პირები კონფესიათაშორისი დაპირისპირებისაგან დაცულნი არ არიან,* 2015 წლის 1 მაისი, http://bit.ly/1pXVxj4.

მოკვლის ფაქტებს - როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო სუბიექტების მხრიდან.[93] როგორც იტყობინებიან, ბაღდადში იძულებით გადაადგილებულ სუნიტებზე ახდენდნენ ზეწოლას, რათა მათ დაეტოვებინათ შიიტური ან შერეული შიიტურ-სუნიტური უბნები.[94] თავდასხმები ხდებოდა იძულებით გადაადგილებულ პირთა ბანაკებზე.[95] როგორც იტყობინებიან, მამაკაცები და 15 წლის ზემოთ ბიჭები, ასევე განიცდიდნენ გარკვეულ ზეწოლას, რათა ისინი გამხდარიყვნენ ტომთა დაჯგუფებების

---

[93]"*ამნესტი ინტერნეიშენალმა დააფიქსირა საკონტროლო-გამშვებ პუქნტებზე და საკონტროლო ობიექტებზე, ასევე არაოფიციალურ საპატიმროებში, უკანონო შეიარაღებული დაჯგუფებების მიერ დაკავებული იძულებით გადაადგილებულ პირთა წამების ფაქტები; გარდა ამისა, წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტები დაფიქსირებულია თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტრო მიერ კონტროლირებულ ობიექტებზე ანბარის, ბაღდადის, დიალას და სალაჰ ალ-დინის პროვინციებში.* (...) *მოწმეთა ჩვენებები ადასტურებს, რომ წამება გამოიყენება ეჭვმიტანილისაგან 'აღიარების' ან IS-ის ან სხვა შეიარაღებული დაჯგუფებების შესახებ ინფორმაციის მისაღებად, ასევე, დაკავებულთა დამცირებისთვის და დასასჯელად IS-ის მიერ ჩადენილი დანაშაულისთვის"; ამნესტი ინტერნეიშენალ, იგპ ერაყელები, რომლებსაც სასტიკად ექცევიან უკანონო შეიარღებული დაჯგუფებების და სამთავრობო ძალების მებრძოლები* , 2016 წლის 18 ოქტომბერი, http://www.refworld.org/docid/5806051a4.html, გვ. 8. "*იგპ ხშირად უკანონოდ არიან დაკავებული, თვეების განმავლობაში, მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გარეშე (...) განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ფიზიკური ძალადობის გავრცელება, რაზედაც საუბრობენ დაკავებული იძულებით გადადგილებული პირები და მოწმეები. დაკავებულებს სჯიან ელექტროშოკით, კიდებენ ხელებით ან ფეხებით და ცემენ, ასხამენ მდუღარე წყალს და არ აძლევენ საკვებს. ბევრი მათგანი, ვისაც ისლამურ სახელმწიფოსთან კავშირში ედება ბრალი, რამდენიმე თვის განმავლობაში იმყოფება პატიმრობაში, ზოგჯერ - უფრო ხანგრძლივი პერიოდითაც, ყოველგვარი მართლმსაჯულების გარეშე. ოჯახის წევრებმა, რომლებსაც მათი მონახულების უფლება მისცეს, წამების დამადასტურებელი ნიშნები ნახეს (...);* MRGI, *გადაადგილებით გამოწვეული კრიზისი ერაყში,* 2016 წლის მარტი, http://www.refworld.org/docid/573592d24.html, გვ. 20. იხ. აგრეთვე, იგივე მოხსენება, გვ. 11-12, 15. იხ. აგრეთვე, The Atlantic, *ჯოჯოხეთი ISIS-ის შემდეგ,* 2016 წლის მაისი, http://theatln.tc/1NaRaLC; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2015 მოხსენებები მსოფლიოს ქვეყნებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ - ერაყი,* 2016 წლის 13 აპრილი, http://www.state.gov/documents/organization/253137.pdf, გვ. 13; გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, *სპეციალური მომხსენებლის ანგარიში იძულებით გადაადგილებულ პირთა ადამიანის უფლებათა შესახებ,* 2016 წლის 5 აპრილი, http://www.refworld.org/docid/575fb7e14.html, პარ. 45, 47; UNAMI, *მოხსენება ერაყში შეიარაღებულ კონფლიქტებში სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ,* 2016 წლის 11 იანვარი, http://www.refworld.org/docid/56a09a304.html, გვ. 20, 21, 22, 28, 31; Refugees International, *გადაადგილებული პირები ერაყში: უმნიშვნელო დახმარება და ცოტა არჩევანი,* 2015 წლის 2 ნოემბერი, http://www.refworld.org/docid/563868d14.html; HRW, *ერაყი: შეზღუდვები საფრთხეში აგდებს ომის შედეგად გადაადგილებულ პირებს,* 2015 წლის 30 მაისი, http://www.refworld.org/docid/556d6a344.html.

[94] "*მათ მიმართ* [იგპ - ალ-ნბარიდან ბაღდადში გადაადგილებულები] მიმართ მუდმივად არსებობს ეჭვი, რომ ისინი კეთილგანწყობით არიან *ISIS-ის მიმართ, უბრალოდ მათი წარმოშობის ადგილიდან გამომდინარე და, არსებული ინფორმაციის თანახმად, მათ აძევებენ ადგილობრივები შიიტური რეგიონებიდან. ამრიგად, ამჟამად ისინი მეორეჯერ განიცდიან გადაადგილებას",* Refugees International, *გადაადგილებული პირები ერაყში: უმნიშვნელო დახმარება და ცოტა არჩევანი,* 2015 წლის 2 ნოემბერი, http://www.refworld.org/docid/563868d14.html, გვ. 7. იხ. აგრეთვე, UNAMI, *ერაყში შეიარაღებულ კონფლიქტებში სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ: 2014 წლის 11 დეკემბერი - 2015 წლის 30 აპრილი,* 2015 წლის 13 ივლისი, http://www.refworld.org/docid/55a4b83c4.html; ვაშინგტონ პოსტი, *ერაყელი სუნიტები ანბარადან გარბიან, რათა ახალი საფრთხის წინაშე აღმოჩდნენ ბაღდადში,* 2015 წლის 17 მაისი, http://wpo.st/kN6Q1; The Atlantic, *ჯოჯოხეთი ISIS-ის შემდეგ,* 2016 წლის მაისი, http://theatln.tc/1NaRaLC.

[95] მაგალითად, სამი თვის განმავლობაში, ალ-სალამის იგპ-თა ბანაკზე სამჯერ მოხდა შეტევა, რამაც იგპ-თა შორის მსხვერპლი გამოიწვია; გაეროს უშიშროების საბჭო, *გენერალური მდივნის მოხსენება 2299 (2016) რეზოლუციის შესაბამისად,* 2016 წლის 25 ოქტომბერი, http://www.refworld.org/docid/5821ca0f4.html, პარ. 16; UNAMI, *შეტევა იძულებით გადაადგილებული ოჯახების ბანაკზე ალ-სალამში,* 2016 წლის 27 ივლისი, http://bit.ly/2annlbp; UNHCR, *UNHCR განცხადება შეტევის შესახებ იძულებით გადაადგილებული ოჯახების ბანაკზე ალ- სალამში,* 2016 წლის 5 ივლისი, http://bit.ly/2aTJqNa.

წევრები, რომლებიც იბრძოლებდნენ ISIS-ის წინააღდეგ, რათა ისინი აღარ მიეჩნიათ ISIS-ის მხარდამჭერებად.[96]

27. ერაყის ქურთისტანის რეგიონში (KR-I) და ქურთისტანის რეგიონული მთავრობის მიერ *დე ფაქტო* კონტროლირებულ ტერიტორიებზე, ქურთთა უშიშროების ძალებს ადანაშაულებენ სუნიტი არაბი იძულებით გადაადგილებული პირების თვითნებურ დაპატიმრებაში, რომლებიც ეჭვმიტანილნი არიან ISIS-თან კავშირში. ზოგჯერ ეს დაკავება ხდება ხანგრძლივი პერიოდით და ყოველგვარი სასამართლო პროცესის გარეშე. დაკავებულთა ოჯახებმა ხშირად არაფერი იციან მათი ადგილსამყოფელის შესახებ.[97] არსებული ინფორმაციის შესაბამისად, არის დაკავებულთა მიმართ წამებისა და სასტიკი მოპყრობის შემთხვევები.[98] როგორც იტყობინებიან, დაკავებიდან გათავისუფლების შემდეგ მათ აიძულებენ დატოვონ რეგიონი, ზოგ შემთხვევაში - ოჯახის წევრებთან ერთად, რაც იწვევს შეშფოთებას, რომ მათ კვლავ კონფლიქტის ზონებში დააბრუნებენ.[99] როგორც იტყობინებიან, ზოგიერთი მათგანი ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებს გადასცეს, მიუხედავად იმისა, რომ არსებული ინფორმაციის შესაბამისად, სამთავრობო დაკავების ადგილებში ფართოდ გამოიყენება წამების პრაქტიკა.[100]

28. ერაყის ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით გადაადგილებულ პირთა არსებობა და ფართოდ გავრცელებული ვარაუდი, რომ სუნიტი არაბები ISIS-თან კავშირში არიან, ასევე იწვევს ბაღდადში და მთავრობის მიერ კონტროლირებულ სხვა ტერიტორიებზე

---

[96] არსებული ინფორმაციის თანახმად, ჰავიჯადან (კირკუკი) იძულებით გადაადგილებული მრავალი პირი ტომების რაზმებს შეუერთდა, რითაც ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ ისინი არ უჭერენ მხარს ისლამურ სახელმწიფოს, ჰავიჯას მოსახლეობის მიმართ ზოგადად არსებული შეხედულების საწინააღმდეგოდ. ამ რაიონს ISIS-ი აკონტროლებდა 2014 წლის ივნისიდან. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, იგპ-თა შორის, რომლებიც ამ რაზმებს შეუერთდნენ, 15 წელზე ნაკლები ასაკის ბიჭებიც იყვნენ; UNHCR-ის ინფორმაცია, 2016 წლის ნოემბერი. იხ. აგრეთვე, OCHA, *ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რათა ერაყში შეწყდეს ბავშვთა რეკრუტირება და დაცული იქნეს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი,* 2016 წლის 31 აგვისტო, http://bit.ly/2ejX564.

[97] ამნესტი ინტერნეიშენალ, *იგპ ერაყელები, რომლებსაც სასტიკად ექცევიან უკანონო შეიარღებული დაჯგუფებების და სამთავრობო ძალების მებრძოლები,* 2016 წლის 18 ოქტომბერი, http://www.refworld.org/docid/5806051a4.html, გვ. 38-40, 42-43. იხ. აგრეთვე, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2015 მოხსენებები მსოფლიოს ქვეყნებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ - ერაყი,* 2016 წლის 13 აპრილი, http://www.state.gov/documents/organization/253137.pdf, გვ. 16, 18, 20; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, *სპეციალური მომხსენებლის ანგარიში იძულებით გადაადგილებულ პირთა ადამიანის უფლებების შესახებ,* 2016 წლის 5 პარილი, http://www.refworld.org/docid/575fb7e14.html, პარ. 45, 66; HRW, *ერაყის ქურთისტანი: ხდება არაბთა გადაადგილება, ალყის შემორტყმა და დაკავება,* 2015 წლის 26 თებერვალი, http://www.refworld.org/docid/54f046494.html.

[98] ამნესტი ინტერნეიშენალ, *იგპ ერაყელები, რომლებსაც სასტიკად ექცევიან უკანონო შეიარღებული დაჯგუფებების და სამთავრობო ძალების მებრძოლები, 2016 წლის 18 ოქტომბერი,* http://www.refworld.org/docid/5806051a4.html, გვ. 8, 47-48; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2015 მოხსენებები მსოფლიოს ქვეყნებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ - ერაყი,* 2016 წლის 13 აპრილი, http://www.state.gov/documents/organization/253137.pdf, გვ. 8, 9; HRW, *ერაყის ქურთისტანი: ერაყის ქურთისტანი: ხდება არაბთა გადაადგილება, ალყის შემორტყმა და დაკავება,* 2015 წლის 26 თებერვალი, http://www.refworld.org/docid/54f046494.html.

[99] UNHCR-ის ინფორმაცია, 2016 წლის ნოემბერი, იხ. *ჰეშმერგას ძალებმა მოახდინეს 15 არაბი ოჯახის დეპორტაცია ნაღმის აფეთქების გამო,* 2016 წლის 6 სექტემბერი, http://bit.ly/2ev4SwJ.

[100] ამნესტი ინტერნეიშენალ, *იგპ ერაყელები, რომლებსაც სასტიკად ექცევიან უკანონო შეიარღებული დაჯგუფებების და სამთავრობო ძალების მებრძოლები, 2016 წლის 18 ოქტომბერი,* http://www.refworld.org/docid/5806051a4.html, გვ. 47-48

მცხოვრები სუნიტი არაბებისა და სუნიტი თურქმენების დაკავების შემთხვევათა ზრდას, რაც ხდება 2005 წლის ანტიტერორისტული კანონის (2005 წლის კანონი No. 13) საფუძველზე.[101] ანგარიშებში მითითებულია, რომ ზემოაღნიშნული კანონის საფუძველზე დაკავებული პირები ხშირად ხანგრძლივი პერიოდით ჰყავთ წინასწარი დაკავების ცენტრებში - ადვოკატზე, სამედიცინო დახმარებაზე ან ოჯახთან კავშირზე ხელმისაწვდომობის გარეშე.[102] ანტიტერორისტული კანონის საფუძველზე დაკავებულ პირთა საპატიმრო პირობები განსაკუთრებით მკაცრია.[103] ფართოდ იყენებენ წამებას და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმებს, როგორც იტყობინებიან, ძირითადად, აღიარების მისაღებად - დაკავების დროს და შინაგან საქმეთა სამინისტროსა და თავდაცვის სამინისტროში წინასწარი დაკავების განმავლობაში.[104] არსებული

---

[101] გაერომ და ადამიანის უფლებათა ორგანიზაციებმა შეშფოთება გამოხატეს კანონში ტერორიზმის ფართო განმარტებასთან დაკავშირებით, ასევე იმის გამო, რომ სიკვდილით დასჯა ფაქტობრივად აუცილებელი სასჯელია ქმედებებისთვის, რომლებიც 'ტერორისტულ აქტებად' არის განსაზღვრული; გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, დასკვნები მეხუთე პერიოდულ მოხსენებაზე ერაყის შესახებ, 2015 წლის 6 ნოემბერი, CCPR/CO/IRQ/5, http://www.refworld.org/docid/5669387c4.html (შემდგომში, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, დასკვნები მეხუთე პერიოდულ მოხსენებაზე ერაყის შესახებ, 2015 წლის 6 ნოემბერი, http://www.refworld.org/docid/5669387c4.html), პარ. 9, 27; გაეროს გენერალური ასამბლეა, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის მოხსენება, 2015 წლის 27 ივლისი, http://www.refworld.org/docid/55f7f4c74.html, პარ. 78.

[102] "*პატიმრები, **განსაკუთრებით ტერორიზმში ეჭვმიტანილები,** რამდენიმე კვირის ან თვის განმავლობაში ჰყავდათ დაკავებული კომუნიკაციის უფლების გარეშე, ხშირად ისეთ პირობებში, რომელიც იძულებითი გაუჩინარების ტოლფასი იყო, და ისინი დაკავებულნი ჰყავდათ საიდუმლო სატუსაღოებში, რომლებსაც აკონტროლებდნენ შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროები, და რომლებიც დახურული იყო პროკურატურისთვის და ნებისმიერი სხვა მონიტორინგის ორგანოსთვის" (ხაზგასმა დამატებულია);* ამნესტი ინტერნეიშენალ, *ამნესტი ინტერნეიშენალის მოხსენება 2015/16 - ერაყი,* 2016 წლის 24 თებერვალი, http://www.refworld.org/docid/56d05b4a9.html. იხ. აგრეთვე, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2015 მოხსენებები მსოფლიოს ქვეყნებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ - ერაყი,* 2016 წლის 13 აპრილი, http://www.state.gov/documents/organization/253137.pdf, გვ. 16-18; MRGI, *გადაადგილებით გამოწვეული კრიზისი ერაყში,* 2016 წლის მარტი, http://www.refworld.org/docid/573592d24.html, გვ. 20; გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, დასკვნები მეხუთე პერიოდულ მოხსენებაზე ერაყის შესახებ, 2015 წლის 6 ნოემბერი, http://www.refworld.org/docid/5669387c4.html, პარ. 33; გაეროს წამების საწინააღდეგო კომიტეტი, დასკვნები ერაყის შესახებ თავდაპირველ მოხსენებაზე, 2015 წლის 7 სექტემბერი, http://www.refworld.org/docid/57a9c1a24.html, პარ. 14; UNAMI, *მოხსენება ერაყში სიკვდილით დასჯის შესახებ,* 2014 წლის ოქტომბერი, http://www.refworld.org/docid/5445189a4.html, გვ. 2, 13.

[103] აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის მიხედვით, ანტიტერორისტული კანონის საფუძველზე დაპატიმრებული პირები განცალკევებულნი არიან სხვა პატიმრებისაგან და „დიდი ალბათობით, ისინი მოთავსებულნი არიან შინაგან საქმეთა სამინისტროს დაწესებულებებში, უფრო მკაცრ პირობებში"; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2015 მოხსენებები მსოფლიოს ქვეყნებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ - ერაყი,* 2016 წლის 13 აპრილი, http://www.state.gov/documents/organization/253137.pdf, გვ. 10.

[104] "*ადამიანის უფლებათა სამინისტრომ დაადასტურა, რომ განცხადებები წამებისა და სისტემატური ძალადობის შესახებ საპატიმრო დაწესებულებებში საყოველთაო ხასიათს ატარებს. საერთაშორისო უფლებათა დამცველი ორგანიზაციების მიერ შეგროვებულია სანდო მონაცემები შინაგან საქმეთა სამინისტროს დაწესებულებებში წამებისა და სასტიკი მოპყრობის შესახებ, ნაკლები ხარისხით - იუსტიციისა და თავდაცვის სამინისტროების დაწესებულებებში (...)".* აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2015 მოხსენებები მსოფლიოს ქვეყნებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ - ერაყი,* 2016 წლის 13 აპრილი, http://www.state.gov/documents/organization/253137.pdf, გვ. 8. იხ. აგრეთვე იამვე მოხსენების გვ. 3, 9, 15 და 25 და ამნესტი ინტერნეიშენალის მოხსენება *2015/16 - ერაყი,* 2016 წლის 24 თებერვალი, http://www.refworld.org/docid/56d05b4a9.html; გაეროს წამების საწინააღდეგო კომიტეტი, *დასკვნები ერაყის შესახებ პირველადი მოხსენების შესახებ,* 2015 წლის 7 სექტემბერი, http://www.refworld.org/docid/57a9c1a24.html, პარ. 15; UNAMI, *მოხსენება სიკვდილით დასჯის შესახებ ერაყში, 2014 წლის ოქტომბერი,* http://www.refworld.org/docid/5445189a4.html, გვ. 13, 24-25.

ინფორმაციის შესაბამისად, დაკავებულებს ხშირად ამყოფებენ არაფორმალურ ადგილებში, მათ შორის, ბავშვებს, სადაც ისინი შეიძლება კიდევ უფრო დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩდნენ.[105] ცნობილი გახდა სუნიტი მამაკაცების წამების შედეგად დაღუპვის შემთხვევები.[106] არსებული აღწერების შესაბამისად, საპატიმრო დაწესებულებებსა და ციხეებში არსებული პირობები არის „მკაცრი და სიცოცხლისათვის სახიფათო", რაც გამოწვეულია საკვების ნაკლებობით, საპატიმროთა გადატვირთვით, სანიტარულ კვანძებზე და სამედიცინო დახმარებაზე არასაკმარისი ხელმისაწვდომობით, ასევე, წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმების ფართო გამოყენებით.[107] არსებული ინფორმაციის შესაბამისად, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემისთვის სერიოზული ხარვეზები არის დამახასიათებელი - ხშირად ირღვევა ბრალდებულთა სამართლიანი სასამართლოს უფლება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პირებს ბრალი წაყენებული აქვთ ანტიტერორისტული კანონის საფუძველზე.[108] ბრალდებულთა მსჯავრდება ხშირად ხდება სადავო აღიარებების საფუძველზე, გრძელვადიანი პერიოდით პატიმრობის ან სიკვდილით დასჯის განაჩენთა ჩათვლით.[109]

---

[105] გაეროს უშიშროების საბჭო, *გენერალური მდივნის მოხსენება ბავშვებისა და შეიარაღებული კონფლიქტის შესახებ ერაყში,* 2015 წლის 9 ნოემბერი, S/2015/852, http://www.refworld.org/docid/565fe2094.html პარ. 39; გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, დასკვნები მეხუთე პერიოდულ მოხსენებაზე ერაყის შესახებ, 2015 წლის 6 ნოემბერი, http://www.refworld.org/docid/5669387c4.html, პარ. 33; გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტი, *დასკვნები ერაყის შესახებ პირველადი მოხსენების შესახებ,* 2015 წლის 7 სექტემბერი, http://www.refworld.org/docid/57a9c1a24.html, პარ. 16; ამნესტი ინტერნეიშენალ, *ერაყი: მოხსენება გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტს,* 2015 წლის 9 ივნისი, http://www.refworld.org/docid/5667dd314.htm, გვ. 5, 7, 9.

[106] აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2015 წლის მოხსენება რელიგიის საერთაშორისო თავისუფლების შესახებ - ერაყი, 2016 წლის 10 აგვისტო,* http://www.refworld.org/docid/57add86b59.html; გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტი, *დასკვნები ერაყის შესახებ პირველადი მოხსენების შესახებ,* 2015 წლის 7 სექტემბერი, http://www.refworld.org/docid/57a9c1a24.html, პარ. 19.

[107] აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2015 წლის მოხსენებები მსოფლიოს ქვეყნებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ - ერაყი,* 2016 წლის 13 აპრილი, http://www.state.gov/documents/organization/253137.pdf, გვ. 9-10. იხ. აგრეთვე, HRW, *"არავინ არის უსაფრთხოდ" - ქალთა მიმართ ძალადობა ერაყის მართლმსაჯულების სისტემაში,* 2014 წლის 6 თებერვალი, http://www.refworld.org/docid/52f4d10a4.html, გვ. 67-71. ISIS-ის მიერ საპატიმრო დაწესებულბათა დაკავების გამო, დარჩენილი ციხეები მძიმედ არის გადატვირთული - იუწყებიან არასამთავრობო ორგანიზაციები; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2015 მოხსენებები მსოფლიოს ქვეყნებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ - ერაყი,* 2016 წლის 13 აპრილი, http://www.state.gov/documents/organization/253137.pdf, გვ. 10.

[108] "*სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა ერაყში უკიდურესად არასრულყოფილია, სასამართლო პროცესები - განსაკუთრებით იმ ბრალდებულთა მიმართ, რომლებსაც ბრალი ანტიტერორისტული კანონის საფუძველზე აქვთ წაყენებული და შეიძლება სიკვდილით დასჯა მიესაჯოთ - ხშირად აშკარად უსამართლოა, რადგან სასამართლოები ხშირად დასაშვებად მიიჩნევენ წამების გამოყენებით მიღებულ მტკიცებულებებს, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ბრალდებული სასამართლოში უარს ამბობს მის მიერ მიცემულ 'აღიარებაზე';* ამნესტი ინტერნეიშენალ, *ერაყი: სიკვდილით დასჯა ვერ შეაჩერებს შემდგომ გამანადგურებელ შეტევებს,* 2016 წლის 5 ივლისი, http://www.refworld.org/docid/577fc3e24.html. იხ. აგრეთვე, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2015 მოხსენებები მსოფლიოს ქვეყნებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ - ერაყი,* 2016 წლის 13 აპრილი, http://www.state.gov/documents/organization/253137.pdf, გვ. 18; გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, დასკვნები მეხუთე პერიოდულ მოხსენებაზე ერაყის შესახებ, 2015 წლის 6 ნოემბერი, http://www.refworld.org/docid/5669387c4.html, პარ. 35; ამნესტი ინტერნეიშენალ, ერაყი: მოხსენება გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტს, *2015 წლის 9 ივნისი,* http://www.refworld.org/docid/5667dd314.htm, გვ. 10-12.

[109] ანგარიშების შესაბამისად, მოსამართლეები რეგულარულად თავს არიდებენ გამოსცენ ბრძანება წამების თაობაზე განცხადებების გამოძიებისთვის, რომელსაც მოპასუხე მხარე აყენებს სასამართლოში; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2015 წლის მოხსენებები მსოფლიოს ქვეყნებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ - ერაყი,* 2016 წლის 13 აპრილი, http://www.state.gov/documents/organization/253137.pdf, გვ. 16; ამნესტი ინტერნეიშენალ, *ამნესტი ინტერნეიშენალის მოხსენება 2015/16 - ერაყი,* 2016 წლის 27

მიუხედავად იმისა, რომ გაერომ და ადამიანის უფლებათა დამცველმა ორგანიზაციებმა მრავალჯერ მოუწოდეს გამოეცხადებინათ მორატორიუმი სიკვდილით დასჯის ყველა განაჩენისა და აღსრულების მიმართ, რაც სათანადო სასამართლო პროცესებისა და სამართლიანი სასამართლოს პრობლემებით იყო გამოწვეული - როგორც ცნობილია, სიკვდილით დასჯა კვლავ ინტენსიურად გამოიყენება და უმეტესი ასეთი განაჩენი ანტიტერორისტული კანონის საფუძველზე არის გამოტანილი.[110] გაეროს წამების საწინააღმდეგო კომისია *აღწერს: „გავრცელებულია პრაქტიკა, რომლის შესაბამისად რაიმე ორდერის გარეშე ხდება სავარაუდო ტერორისტების და სხვა განსაკუთრებით საშიში ეჭვმიტანილების დაკავება, მკაცრად იზოლირებულ პირობებში მოთავსება ან ხანგრძლივი პერიოდით დატუსაღება საიდუმლო ცენტრებში, არასრულწლოვანთა ჩათვლით, სადაც ისინი ექვემდებარებიან სასტიკ წამებას აღიარებითი ჩვენების მიღების მიზნით“*.[111] მაგალითად, 2016 წლის 21 აგვისტოს, იუსტიციის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ ჩამოხრჩობით სიკვდილით დასაჯეს 36 პირი, რომლებიც ტიკრიტის მახლობლად (სალაჰ ალ-დინის პროვინცია) 'სპაიკერის' სამხედრო ბანაკში 1700-მდე კადეტის მკვლელობისთვის იყვნენ მსჯავრდებულნი. ძირითადად მიუთითებენ, რომ სასამართლო პროცესის დროს - რომელიც სულ რამდენიმე საათი გაგრძელდა - სათანადოდ არ იყო დაცული სამართლიანი სასამართლოს სტანდარტები, ხოლო განაჩენი ეფუძნებოდა წამების გამოყენებით მიღებულ „აღიარებებს.“[112] სიკვდილით დასჯა აუცილებელი განაჩენია მთელი რიგი ქმედებებისთვის, რომლებიც ტერორისტულ აქტებად არის განსაზღვრული, ხოლო ანტიტერორისტული კანონის საფუძველზე მსჯავრდებულებს უფლება არ აქვთ ითხოვონ შეწყალება ან ამნისტია,

---

იანვარი, http://www.refworld.org/docid/56bd99386.html; გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, დასკვნები მეხუთე პერიოდულ მოხსენებაზე ერაყის შესახებ, 2015 წლის 6 ნოემბერი, http://www.refworld.org/docid/5669387c4.html, პარ. 29; UNAMI, *მოხსენება ერაყში სიკვდილით დასჯის შესახებ,* 2014 წლის ოქტომბერი, http://www.refworld.org/docid/5445189a4.html, გვ. 24, FN 146.

[110] "*სასამართლო პროცესები, განსაკუთრებით ბრალდებულების, რომლებსაც ბრალი წაყენებული აქვთ ანტიტერორისტული კანონის საფუძველზე და ზოგჯერ სიკვდილით დასჯა აქვთ მისჯილი, სისტემატურად ატარებდა უსამართლო ხასიათს, ხოლო მოსამართლენი ხშირად დასაშვებად მიიჩნევდნენ „აღიარებას“, რომლებიც წამების გამოყენებით იყო მიღებული მტკიცებულებად“;* ამნესტი ინტერნეიშენალ, *მოხსენება 2015/16 - ერაყი,* 2016 წლის 24 თებერვალი, http://www.refworld.org/docid/56d05b4a9.html. იხ. აგრეთვე, გაეროს უშიშროების საბჭო, *გენერალური მდივნის მოხსენება 2299 (2016) რეზოლუციის შესაბამისად,* 2016 წლის 25 ოქტომბერი; http://www.refworld.org/docid/5821ca0f4.html, პარ. 49; გაეროს ახალი ამბების ცენტრი, *გაეროს ადამიანის უფლებათა კომისარი შეშფოთებას გამოხატავს ერაყში სიკვდილით დასჯის დაჩქარებული პროცედურის გამო,* 2016 წლის 1 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/57a0385840c.html; ამნესტი ინტერნეიშენალ, *ერაყი: სიკვდილით დასჯის განაჩენის შოკისმომგვრელი ზრდა 2016 წელს - 'ტერორიზმის' საქმეებზე სიკვდილი მიუსაჯეს 90 ადამიანს,* 2016 წლის 18 თებერვალი, http://www.refworld.org/docid/56cc23b74.html.

[111] გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტი, *დასკვნები თავდაპირველ მოხსენებაზე ერაყის შესახებ,* 2015 წლის 7 სექტემბერი, http://www.refworld.org/docid/57a9c1a24.html, პარ. 16

[112] ამნესტი ინტერნეიშენალ, *ერაყი: სიკვდილით დასჯა ვერ აღმოფხვრის უსაფრთხოების წინაშე მდგარ რისკებს,* 2016 წლის 22 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/57bd533e4.html; გაეროს უშიშროების საბჭო, *გენერალური მდივნის მესამე მოხსენება 2233 (2015) რეზოლუციის მე-7 პარაგრაფის შესაბამისად,* 2016 წლის 27 აპრილი http://www.refworld.org/docid/5731a1a14.html, პარ. 51; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2015 წლის მოხსენებები მსოფლიოს ქვეყნებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ - ერაყი,* 2016 წლის 13 აპრილი, http://www.state.gov/documents/organization/253137.pdf, გვ. 19-20; UNAMI, *მოხსენება სამოქალაქო პირთა დაცვის შესახებ ერაყში შეიარაღებული კონფლიქტის დროს,* 2016 წლის 11 იანვარი, http://www.refworld.org/docid/56a09a304.html, სქოლიო 40; HRW, *ერაყი: კადეტების მასობრივი დახოცვის საქმეზე განაჩენის გაუქმება,* 2015 წლის 15 ივლისი, http://www.refworld.org/docid/55acfac74.html.

როგორც ეს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით არის გათვალსიწინებული.[113]

29. როგორც იტყობინებიან, 2014 წლიდან კვლავ გაიზარდა ძალადობის მასშტაბები სუნიტი არაბების წინააღმდეგ ბაღდადში და ერაყის სხვა რაიონებში, რომლებსაც მთავრობა აკონტროლებს, კერძოდ, არაბი სუნიტები დგანან სიკვდილის საფრთხის წინაშე, ხდება მათი სახლების ნგრევა და იძულებითი გასახლება,[114] მოტაცება/გაუჩინარება და სიკვდილით დასჯა სასამართლო პროცესის გარეშე.[115] როგორც იუწყებიან, ხდება სუნიტი სამოქალაქო პირების - იძულებით გადაადგილებულთა ჩათვლით - დევნა ერაყის უსაფრთხოების ძალებისა და სახალხო მობილიზაციის დაჯგუფებათა მხრიდან, რაც მიზნად ისახავს მათ მოკვლას და სახლების, მაღაზიებისა და მეჩეთების განადგურებას, რაც აშკარად არის შურისძიების ქმედებები ISIS-ის მიერ შიიტ მოსახლეობაზე განხორციელებული თავდასხმების საპასუხოდ.[116] 2014 წლიდან ბაღდადში სულ უფრო ხშირად ხდება პალესტინელ

---

[113] სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის (ICCPR) მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი მოითხოვს, რომ თითოეულ პირს, ვისაც სიკვდილი მიუსაჯეს, უფლება აქვს ითხოვოს შეწყალება ან განაჩენის შერბილება ან სასჯელის შეცვლა. იხ. *ერაყის რესპუბლიკის კონსტიტუცია,* 2005 წლის 15 ოქტომბერი, http://www.refworld.org/docid/454f50804.html, მუხლი 73(1).

[114] მაგალითად, 2016 წლის 21 ოქტომბერს ISIS-მიერ კირკუკზე განხორციელებული თავდასხმის საპასუხოდ სახლები დაანგრიეს ოთხ სოფელში, სადაც უმრავლესობა არაბი ცხოვრობდა (ქარა ტეპა, ვედ ჰუზაირანი, ქუტანსი დაქუშქაი), რის შედეგადაც იძულებით გადაადგილებული გახდა 1100 ოჯახი; UNHCR-ის ინფორმაცია, 2016 წლის ნოემბერი. იხ. აგრეთვე, აღნიშნულია ნიშნით *"X" - ერაყის ქურთთა ძალები ანადგურებენ სოფლებსა და სახლებს ISIS-თან კონფლიქტის გამო,* 2016 წლის 13 ნოემბერი, http://www.refworld.org/docid/582979404.html; ამნესტი ინტერნეიშენალ, *ერაყი: 'სად უნდა წავიდეთ?' ნგრევა და იძულებითი გადაადგილება კირკუკში,* 2016 წლის 7 ნოემბერი, http://www.refworld.org/docid/5820812db.html, გვ. 10-13.

[115] "ერაყში სასიკვდილო სპირალური ძალადობა მძვინვარებს მას შემდეგ, რაც *IS-მა ერთი წლის წინათ პრაქტიკულად გაძარცვა ქვეყნის დიდი ნაწილი. IS-ის შემზარავ დანაშაულებს თან სდევს მზარდი კონფესიათაშორისი თავდასხმები შიიტი რაზმების მხრიდან, რომლებიც IS-ზე შურისძიების მიზნით სუნიტ არაბებს დევნიან";* ამნესტი ინტერნეიშენალ, *კონფესიათაშორისი ძალადობის სასიკვდილო სპირალი-ერთი წელი ისლამური სახელმწიფოს ერაყში შეჭრიდან,* 2016 წლის 3 ნოემბერი, http://www.refworld.org/docid/557a90684.html. იხ. აგრეთვე, HRW, *ქურთისტანის რეგიონული მთავრობა: ქურთთა ძალები არაბებს კირკუკიდან ერეკებიან,* 2016 წლის 3 ნოემბერი, http://www.refworld.org/docid/581c95834.html; ამნესტი ინტერნეიშენალ, *იგპ ერაყელები, რომლებსაც სასტიკად ექცევიან უკანონო შეიარღებული დაჯგუფებების და სამთავრობო ძალების მებრძოლები,* 2016 წლის 18 ოქტომბერი, http://www.refworld.org/docid/5806051a4.html, გვ. 28-31; UNHCR, *აქტუალური COI (ინფორმაცია წარმოშობის ქვეყნის შესახებ), რათა მოხდეს ბაღდადში შიდა გადაადგილების ან განსახლების ალტერნატივის შესაძლებლობის შეფასება (IFA/IRA) სუნიტი არაბებისთვის, რომლებიც ISIS-ის მიერ კონტროლირებული ტერიტორიებიდან არიან,* 2016 წლის მაისი, http://www.refworld.org/docid/575537dd4.html, გვ. 4-10; გაეროს უშიშროების საბჭო, *გენერალური მდივნის მესამე მოხსენება 2233 (2015) რეზოლუციის მე-7 პარაგრაფის შესაბამისად,* 2016 წლის 27 აპრილი, http://www.refworld.org/docid/5731a1a14.html, პარ. 22.

[116] მაგალითად, 2016 წლის იანვარსა და თებერვალში, ქალაქ ალ-მუქდადიაში (დიალას პროვინცია) ISIS-ის მიერ შიიტებზე განხორციელებული თავდასხმის საპასუხოდ, როგორც იუწყებიან, შურისძიების თავდასხმები დაიწყო სუნიტებზე, მათ კლავდნენ, უწვავდნენ სახლებს, მაღაზიებსა და მეჩეთებს; გაეროს უშიშროების საბჭო, *გენერალური მდივნის მესამე მოხსენება 2233 (2015) რეზოლუციის მე-7 პარაგრაფის შესაბამისად,* 2016 წლის 27 აპრილი, http://www.refworld.org/docid/5731a1a14.html, პარ. 20; ამნესტი ინტერნეიშენალ, *ერაყი: უკანონო შეიარღებული დაჯგუფებების სამხედრო დანაშაულები მუქდადიაში ადასტურებს, რომ მთავრობა მუდმივად ვერ ახერხებს მათთვის პასუხის მოთხოვნას,* 2016 წლის 5 თებერვალი, http://www.refworld.org/docid/580606624.html; HRW, *ერაყი, შიიტი მეომრების მიერ ჩადენილი შესაძლო სამხედრო დანაშაული,* 2016 წლის 31 იანვარი, http://www.refworld.org/docid/56b11e5d12d7.html. 2015 წლის 26 იანვარს, გავრცელებული ინფორმაციის შესაბამისად, ეგრეთ წოდებული „ბარვანას ხოცვა-

ლტოლვილთა დევნა ეროვნულ და ISIS-თან სავარაუდო კავშირის საფუძველზე, შეურაცხყოფის, დაშინების, თვითნებური დაკავების და ხანგრძლივი პერიოდით დაპატიმრების ჩათვლით, ასევე, ფიზიკური ძალადობა, მოტაცება, გამოძალვა, მოკვლა, სახლების ტოტალური ჩხრეკა - როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო აქტორთა მხრიდან.[117]

30. არსებული ინფორმაციის შესაბამისად, მას შემდეგ, რაც ტერიტორიის ISIS-გან განთავისუფლება ხდება, იზრდება ზეწოლა იძულებით გადაადგილებულ პირებზე, განსაკუთრებით - სუნიტ არაბებზე, ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან, ხოლო ზოგჯერ მათ პირდაპირ აიძულებენ დაბრუნდნენ მათი წარმოშობის რაიონებში.[118] ანგარიშებში მითითებულია, რომ ზეწოლის მეთოდები, *inter alia,* მოიცავს ტერიტორიიდან გასვლის შეტყობინებებს ვადების მითითებით, შეურაცხყოფას, იძულებით გამოსახლებას, პირადობის დოკუმენტების ჩამორთმევას, დაკავებას იურიდიული დოკუმენტების არქონის გამო ან ანტიტერორისტული კანონის საფუძველზე, ასევე, სულ უფრო მეტ შემთხვევაში - სახლების დანგრევას და დაუყოვნებელ იძულებით დაბრუნებას მათი წარმოშობის რაიონებში, ან იძულებით გადაადგილებულ პირთა ბანაკებში იძულებით ჩასახლებას.[119] ასეთი დაბრუნებით იზრდება ხელმეორედ გადაადგილების რისკი.[120]

ჭლეტის“ დროს, როდესაც ერაყის უსაფრთხოების ძალებმა და უკანონო შეიარაღებული დაჯგუფებების მებრძოლებმა ბარვანაში (დიალას პროვინცია) თვითნებურად სიკვდილით დასაჯეს, სულ მცირე, 56 სუნიტი მუსლიმი, როგორც ამბობენ, წინა დღეებში ერაყის უსაფრთხოების ძალებისა და უკანონო შეიარღებული დაჯგუფებების მებრძოლების დახოცვის შურისძიების ნიშნად, იხ. ამნესტი ინტერნეიშენალ, *ერაყი: ბარვანას ხოცვა-ჟლეტა* - გამოძიება ვერ შედგა, ხოლო ოჯახები მართლმსაჯულებას ელოდებიან, *2015 წლის ივნისი,* http://www.refworld.org/docid/5667dc924.html; HRW, ერაყი: უკანონო შეიარღებული დაჯგუფებების მეომრები ძალადობის ესკალაციას ახდენენ, რაც შესაძლოა სამხედრო დანაშაულის ტოლფასი იყოს, 2015 წლის 15 თებერვალი, http://www.refworld.org/docid/54e48d334.html. იხ. აგრეთვე, MRGI, *გადაადგილების კრიზისი ერაყში,* 2016 წლის მარტი, http://www.refworld.org/docid/573592d24.html, გვ. 11, 13, 22.

[117] UNHCR-ის ინფორმაცია, 2016 წლის ნოემბერი. იხ. აგრეთვე, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2015 წლის მოხსენებები მსოფლიოს ქვეყნებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ - ერაყი,* 2016 წლის 13 აპრილი, http://www.state.gov/documents/organization/253137.pdf, გვ. 42; ალ კარამას ფონდი, *ერაყი: პალესტინელ ლტოლვილთა იძულებითი გაუჩინარება ბაღდადში 2015 წლის 8 ივლისიდან,* 2015 წლის 27 ნოემბერი, http://bit.ly/2frXpwB; Landinfo (ნორვეგიულ ენაზე), *Respons Irak: Palestinerne i Bagdad*, 2015 წლის ივნისი, http://landinfo.no/asset/3158/1/3158_1.pdf, გვ. 2-3.

[118] იგპ-თა მიმართ იძულებითი ღონისძიებების გამოყენების შესახებ ინფორმაცია გავრცელდა კირკუკიდან, ასევე, ბაბელიდან, ბაღდადიდან და ქერბალადან; UNHCR-ის ინფორმაცია, 2016 წლის ნოემბერი, იხ. აგრეთვე, UNHCR, *ყოველკვირეული განახლებული ინფორმაცია, მოსული, 2016 წლის 29 ოქტომბერი - 4 ნოემბერი,* 2016 წლის 4 ნოემბერი, http://bit.ly/2fsroVl; ალ-მონიტორი, *კარბალა კენჭს უყრის იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნებას,* 2016 წლის 22 ივლისი, http://bit.ly/2a0iQ50; UNHCR, *საინფორმაციო ბიულეტენი ერაყის შესახებ,* 2016 წლის სექტემბერი, http://bit.ly/2dNYG43; UNHCR, *ერაყი: განახლებული ინფორმაცია,* 2016 წლის 15 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/57b70b3fa.html, გვ. 2; UNHCR, *საინფორმაციო ბიულეტენი ერაყის შესახებ,* 2016 წლის 21 ივლისი, http://www.refworld.org/docid/579217304.html, გვ. 2; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2015 წლის მოხსენებები მსოფლიოს ქვეყნებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ - ერაყი,* 2016 წლის 13 აპრილი, http://www.state.gov/documents/organization/253137.pdf, გვ. 62; OCHA, *2016 - ჰუმანიტარულ საჭიროებათა მიმოხილვა,* 2015 წლის ნოემბერი, http://bit.ly/1RoAqvO, გვ. 16.

[119] მაგალითად, არსებული ინფორმაციის თანახმად, კირკუკში, იგპ არაბებს მუდამ აიძულებენ დაბრუნდნენ - როგორც ურბანული ტერიტორიებიდან, ისე იგპ-თა ბანაკებიდან. 2016 წლის სექტემბრის დასაწყისში კირკუკის ხელისუფლებამ დაბრუნების მასშტაბური კამპანია დაიწყო, რასაც, 2016 წლის ოქტომბრის ბოლოს, დოკუმენტების მასობრივი ჩამორთმევა და ასობით გადაადგილებული ოჯახის გასახლება მოჰყვა. 2016 წლის სექტემბერში, ხელისუფლების ორგანოთა მაღალ დონეებზე ჩატარდა

მხარდამჭერი ღონისძიებები, რის შედეგადაც ზოგიერი რაიონიდან (ფალუჯადან და სალაჰ ალ-დინის ზოგიერთი პროვინციიდან) დროებით შეწყდა იგპ-თა იძულებითი დაბრუნება, ხოლო ზოგ რაიონში მათ კვლავ აიძულებდნენ დაეტოვებინათ იგი. არსებული ინფორმაციის თანახმად, 2016 წლის 1 სექტემბრიდან 12 ოქტომბრამდე, 2600-ზე მეტი იგპ ოჯახი იძულებული იყო დაბრუნებულიყო დიალას, სალაჰ ალ-დინსი, ალ-ანბარის და ნინევის პროვინციებში, მათ შორის, ისეთ რაიონებში, როგორიცაა ჰაჯი ალი და ქაიარაჰი (ნინევის პროვინცია), რომლებიც სულ ცოტა ხნის წინათ გაათავისუფლეს ISIS-გან. 2016 წლის 21 ოქტომბერს კირკუკში იძულებით გადაადგილებულ პირებზე განხორციელებული თავდასხმის საპასუხოდ, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებმა, ყველა გადაადგილებულ პირს - ვინც ბანაკის გარეთ ცხოვრობდა, უბრძანეს დაეტოვებინათ საცხოვრებლები და თავიანთ მშობლიურ ადგილებზე დაბრუნებულიყვნენ. მათ, ვინც ამ ბრძანებას არ შეასრულებდნენ, იძულებითი გასახლება და მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი ფართის განადგურება ემუქრებოდა. 2016 წლის 22-დან 29 ოქტომბრამდე, ყველა იგპ-ს, ვინც ბანაკის გარეთ ცხოვრობდა, უპირველეს ყოვლისა მათ, ვინც უმეტესად ქურთებით დასახლებულ უბნებში ცხოვრობდა, უბრძანეს კირკუკი დაეტოვებინათ, რის შედეგადაც 6400 ადამიანზე მეტი გაემგზავრა. ანალოგიურად, კირკუკში, სადიასა და ხანაქინში (დიალას პროვინცია) უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევების ზრდის შემდეგ, 2016 წლის 24 ოქტომბერს, ხანაქინის მერმა გამოსცა ბრძანება ქალაქ ხანაქინის გარშემო სოფლებში მცხოვრები 10 000-მდე იძულებით გადაადგილებული პირის ან ბანაკებში გადაყვანის ან მათი წარმოშობის ადგილებზე დაბრუნების შესახებ. 2016 წლის 26 ოქტომბერს, ხანაქინის უშიშროების საბჭომ *მუხტარებს (თემების ლიდერები)* უბრძანა, შეედგინათ ყველა იგპ-ის სია, რომლებიც ხანაქინის გარშემო სოფლებში ცხოვრობდნენ. ბრძანებაში ნათქვამი იყო, რომ იძულებით გადაადგილებულ პირებს, რომლებმაც მშობლიურ კუთხეში დაბრუნების უფლება მიიღეს, ხანაქინის რაიონში ცხოვრების უფლება აღარ ჰქონდათ. ამ დოკუმენტზე მუშაობის მომენტისთვის, ბრძანება შესრულებული არ იყო; თუმცა 25 ოჯახი ბანაკში გადავიდა; UNHCR-ის ინფორმაცია, 2016 წლის ნოემბერი. იხ. აგრეთვე, HRW, აღნიშნულია ნიშნით *"X" - ერაყის ქურთთა ძალები ანადგურებენ სოფლებსა და სახლებს ISIS-თან კონფლიქტის გამო,* 2016 წლის 13 ნოემბერი, http://www.refworld.org/docid/582979404.html; ამნესტი ინტერნეიშენალ, *ერაყი: „სად უნდა წავიდეთ?" განადგურება და იძულებითი გადაადგილება კირკუკში,* 2016 წლის 7 ნოემბერი, http://www.refworld.org/docid/5820812db.html; HRW, *ქურთთა რეგიონული მთავრობა: ქურთთა ძალები არაბებს კირკუკიდან აძევებენ,* 2016 წლის 3 ნოემბერი, http://www.refworld.org/docid/581c95834.html; UNHCR, *ერაყი: ინფორმაცია სიტუაციის შესახებ,* 2016 წლის 26 ოქტომბერი, http://bit.ly/2e5C8er; OHCHR, *პრეს-ბრიფინგის ჩანაწერები ერაყისა და სამხრეთი სუდანის შესახებ,* 2016 წლის 25 ოქტომბერი, https://shar.es/1IqtVn. არსებული ინფორმაციის თანახმად, 2016 წლის 28 აგვისტოს, აინ ალ-ტამერში (ქერბალას პროვინცია) საქორწილო ცერემონიაზე ISIS-ის თავდასხმის შემდეგ, ანბარიდან წამოსულ დევნილებზე ზეწოლას ახორციელებდნენ, რათა ისინი მშობლიურ ადგილებზე დაბრუნებულიყვნენ. 2016 წლის შუა რიცხვებამდე აინ ალ-ტამერი და ქალაქი ქერბალა 265-მა იგპ ოჯახმა დატოვა, რადგან მათ დაკავებისა და საპასუხო თავდასხმების შიში ჰქონდათ. იგპ-თა დაუდგენელი რაოდენობა ბაბილონის ხელისუფლებამაც გააფრთხილა დაბრუნებულიყვნენ თავიანთი წარმოშობის რაიონებში; UNHCR-ის ინფორმაცია, 2016 წლის ნოემბერი. იხ. აგრეთვე, OCHA, *ჰუმანიტარული ბიულეტენი ერაყის შესახებ, 2016 წლის სექტემბერი,* 2016 წლის 15 ოქტომბერი, http://bit.ly/2e8Oyz7, გვ. 4; ერაყის ადამიანის უფლებათა ობსერვატორია, *ასაიშის ძალები ანბარიდან და სალაჰ ალ-დინიდან შემოსულ იძულებით გადაადგილებულ პირებს მოუწოდებენ დატოვონ კირკუკი,* 2016 წლის 11 ოქტომბერი, http://bit.ly/2ej3fOB; UNHCR, *ერაყი: ოპერატიული ინფორმაცია სიტუაციის შესახებ მოსულში,* 2016 წლის 11 ოქტომბერი, http://bit.ly/2dxaS5S; MRGI, *გადადგილებით გამოწვეული კრიზისი ერაყში,* 2016 წლის მარტი, http://www.refworld.org/docid/573592d24.html, გვ. 15.

[120] მაგალითად, კირკუკის ხელისუფლების ორგანოების მხრიდან ზეწოლისა და მოქმედებათა გააქტიურების შემდეგ (იძულებითი გამოსახლება, პირადობის მოწმობების ჩამორთმევა), რომლებიც ცდილობდნენ იგპ ეიძულებინათ დაბრუნებულიყვნენ თავიანთ მშობლიურ რაიონებში დიალას პროვინციაში, 322 ოჯახი დაბრუნდა თავისი წარმოშობის რაიონში ალ-იდჰაიმში (დიალას პროვინცია), სადაც მათ მოუწიათ ღია ცის ქვეშ ცხოვრება ან თავის შეფარება დაუსრულებელ ნაგებობებში, რადგან მათი სახლები დანგრეული იყო. ახალ ადგილზე მათ არა აქვთ ძირითადი სერვისების მიღების საშუალება, სურსათის, წყლის, ადეკვატური თავშესაფრის, სანიტარული პირობების და ჯანმრთელობის დაცვის ჩათვლით. მრავალ ოჯახს, გამოსახლების დროს, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები ჩამოართვეს, რამაც კიდევ უფრო გაამწვავა მათი მოწყვლადობა. ამასთანავე, არსებული ინფორმაციის შესაბამისად, ტერიტორიაზე მრავლადაა თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობები და ომის შედეგად დარჩენილი აუფეთქებელი ჭურვები; UNHCR-ის ინფორმაცია, 2016 წლის ნოემბერი. იხ. აგრეთვე, HRW, *ქურთისტანის რეგიონული მთავრობა: ქურთთა ძალები არაბებს კირკუკიდან ერეკებიან,* 2016 წლის 3

მსხვერპლი სამოქალაქო პირთა შორის

31. მიმდინარე კონფლიქტი და სამოქალაქო მოსახლეობის მიმართ ძალადობის სხვა აქტები მწვავე და ინტენსიური ბუნებისაა.[121] 2003 წელს განხორციელებული ინტერვენციის შემდეგ, ერაყში კონფლიქტით გამოწვეული ძალადობა არ შეწყვეტილა. მსხვერპლთა რაოდენობა განსაკუთრებით გაიზარდა 2006-2007 წლებში, კონფესიათაშორისი დაპირისპირების კულმინაციის დროს. 2010-2012 წლებში ქვეყანაში ძალადობის დონე შედარებით შემცირდა.[122] ყველა წყაროს მიხედვით, 2013 წლის შუა პერიოდში, სამოქალაქო მოსახლეობაში მსხვერპლი კვლავ გაიზარდა - წინა წლებთან შედარებით,[123] ხოლო 2014 და 2015 წლებში მსხვერპლის საერთო რაოდენობამ ყველაზე მაღალ ნიშნულს მიაღწია, 2006-2007 წლების კონფესიათაშორისი კონფლიქტის პიკის შემდეგ.[124] 2016 წელს მსხვერპლის მაჩვენებელი კვლავ მაღალი იყო.[125] გაეროს ერაყის

ნოემბერი, http://www.refworld.org/docid/581c95834.html; UNHCR, *ერაყი: განახლებული ინფორმაცია სიტუაციის შესახებ,* 2016 წლის 31 ოქტომბერი, http://bit.ly/2e5rILw.

[121] გაეროს უშიშროების საბჭო, *გენერალური მდივნის მე-4 მოხსენება 2233 (2015) რეზოლუციის მე-7 პარაგრაფის შესაბამისად,* 2016 წლის 5 ივლისი, http://www.refworld.org/docid/5784de404.html, პარ. 34.

[122] იხ., მაგალითად, ვებგვერდის 'Iraq Body Count' (IBC) მონაცემები, სადაც რეგისტრირებულია ძალადობრივი სიკვდილის შემთხვევები, რომლებიც გაშუქდა მასმედიის საშუალებებში და შემდგომ მოხდა მათი გადამოწმება, ასევე, ინფორმაცია საავადმყოფოებიდან, მორგიდან, არასამთავრობო ორგანიზაციათა და ოფიციალური დოკუმენტებიდან ან ჩანაწერებიდან: IBC, *მონაცემთა ბაზა,* ხელმისაწვდომი იყო 2016 წლის 13 ნოემბერს, https://www.iraqbodycount.org/database/.

[123] 2013 წელს, IBC-ის მონაცემთა ბაზაში დაღუპულთა შორის დაფიქსირებული იყო 9851 სამოქალაქო პირი, UNAMI-ის მონაცემებით - 7818, ხოლო ერაყის მთავრობის ინფორმაციით - 5298; IBC, *მონაცემთა ბაზა,* ხელმისაწვდომი იყო 2016 წლის 7 ნოემბერს, https://www.iraqbodycount.org/database/; UNAMI, *გაეროს მონაცემებით, მსხვერპლის თვალსაზრისით, 2013 წლის დეკემბერი 2008 წლიდან დაღუპულთა ყველაზე დიდი რაოდენობით გამოირჩეოდა ერაყში,* 2014 წლის 2 იანვარი, http://www.refworld.org/docid/58209b0b4.html; დაღუპულ ადამიანთა რაოდენობა ერაყის მთავრობის მაჩვენებლების მიხედვით; ინფორმაცია შეგროვებულია ფრანს-პრესის სააგენტოს (AFP) მიერ; ხელმისაწვდომი იყო 2016 წლის 7 ნოემბერს, http://bit.ly/22EFvbp. იხ. აგრეთვე, „მუსინგსი ერაყის შესახებ", *2013 წლის დასასრულს მსხვერპლის რაოდენობამ და ძალადობის დონემ იმატა.* 2014 წლის 8 იანვარი, http://bit.ly/1o8bC3E.

[124] ერაყში მსხვერპლის შესახებ მონაცემთა რამდენიმე ვარიანტი არსებობს, რომლებიც სხვადასხვა მეთოდით არის შექმნილი, რის გამოც საბოლოო შედეგები ერთმანეთისაგან საგულისხმოდ განსხვავდება. ბოლომდე ზუსტი არც ერთი მათგანი არ არის, და თუ გავითვალისწინებთ უსაფრთხოების სიტუაციის ფონზე სანდო მონაცემების შეგროვებასთან დაკავშირებულ სირთულეებს, ეს მაჩვენებლები „მინიმალურად" უნდა იქნეს მიჩნეული, რაზედაც ყველა წყარო მიუთითებს. 2015 წელს UNAMI-მა დააფიქსირა, რომ სამოქალაქო მოსახლეობაში დაღუპულთა „აბსოლუტური მინიმალური" რაოდენობა იყო 7515 ადამიანი, ხოლო დასახიჩრებულთა - 14800 (უნდა აღინიშნოს, რომ ანბარის პროვინციის შემთხვევაში ყველა თვის მონაცემი დაფიქსირებული არ არის). IBC-ის ინფორმაციის შესაბამისად, 2015 წელს 17500 სამოქალაქო პირი დაიღუპა, ხოლო "მუსინგი ერაყის შესახებ" გვამცნობს, რომ 2015 წლის განმავლობაში 17300 სამოქალაქო პირი დაიღუპა და დაახლოებით 18000 დაიჭრა. ერაყის მთავრობას 2015 წელს დაღუპულ სამოქალაქო პირთა შესახებ ინფორმაცია არ გამოუქვეყნებია; IBC, *მონაცემთა ბაზა,* ხელმისაწვდომი იყო 2015 წლის 13 ნოემბერს, https://www.iraqbodycount.org/database/; UNAMI, *გაეროს მონაცემები მსხვერპლის შესახებ 2015 წლის დეკემბერში,* 2016 წლის 24 თებერვალი, http://bit.ly/1TsK5rI; „მუსინგი ერაყის შესახებ", *2015 წელს ერაყში 51000-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა,* 2016 წლის 24 თებერვალი, http://bit.ly/1RxLAi2. ინფორმაცია ერაყის უსაფრთხოების ძალებსა და პოლიციას შორის მსხვერპლის რაოდენობის შესახებ, რომელიც მთავრობამ გამოაქვეყნა, იხ. წყაროში "მუსინგი ერაყის შესახებ", *ერაყის მთავრობის ანგარიში ახალი მსხვერპლის შესახებ,* 2015 წლის 23 დეკემბერი, http://bit.ly/1pJD1L3. 2014 წელს UNAMI-ის მიერ დაფიქსირებული იქნა სამოქალაქოთა დაღუპვის „აბსოლუტური მინიმუმი" – 12282 ადამიანი დაღუპული და 23 000-ზე მეტი დაჭრილი. IBC-მა დააფიქსირა 20200 სამოქალაქო პირის დაღუპვა, რაც 2013 წელში დაღუპულთა რაოდენობას ორჯერ აღემატებოდა, ხოლო ეს ციფრი 2012 წლის მონაცემზე დაახლოებით ორჯერ მეტია. ერაყის მთავრობის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის

დახმარების მისიის (UNAMI) მიერ წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ბაღდადის პროვინცია 2014, 2015 და 2016 წლებში კვლავ ყველაზე მეტად დაზარალებული ტერიტორია არის ყოველთვიური მსხვერპლის რაოდენობის თვალსაზრისით.[126] ბაღდადის შემდეგ მოდის (თუმცა არა ყოველთვის ერთი და იმავე თანმიმდევრობით) ალ-ანბარის, დიალას, ნინევას, კირკუკის, სალაჰ ალ-დინის და ბაბელის პროვინციები.[127] ვიდრე მოსულის დაბრუნებისთვის გამიზნული სამხედრო შეტევები დაიწყებოდა, ერაყში გაეროს ჰუმანიტარული კოორდინატორი აცხადებდა, რომ მოსულში ISIS-ის წინააღმდეგ სამხედრო კამპანია იქნებოდა „დამანგრეველი“ და რომ მოსალოდნელი იყო „მასიური მსხვერპლი სამოქალაქო მოსახლეობას შორის.“[128]

32. არსებული ინფორმაციის შესაბამისად, 2014 წლიდან მოყოლოებული, ძალადობის ესკალაციამ და მისმა თანმდევმა ჰუმანიტარულმა კრიზისმა დამატებითი მსხვერპლი მოიტანა, რაც სურსათზე, წყალზე და სამედიცინო დახმარებაზე ხელმისაწვდომობის არარსებობამ გამოიწვია.[129]

შესაბამისად, დაღუპულია 12500 სამოქალაქო პირი (პოლიციელთა გარეშე) და 18000-ზე მეტი არის დასახიჩრებული, რაც ყველაზე დიდი მონაცემია 2007 წლის შემდეგ. ბლოგი „მუსინგი ერაყის შესახებ“ კიდევ უფრო დიდ ციფრს აფიქსირებს - 17098 გარდაცვლილი და 26590 დასახიჩრებული; IBC-ის მონაცემთა ბაზა, 2016 წლის 13 ნოემბერი, https://www.iraqbodycount.org/database/; UNAMI, *გაეროს ინფორმაცია დეკემბერში მსხვერპლთა რაოდენობის შესახებ; 2014 წელი, 2008 წლის შემდეგ, ყველაზე დიდი მსხვერპლით გამოირჩეოდა ერაყში,* 2015 წლის 4 იანვარი, http://bit.ly/14stgGA; ერაყის მთავრობის მიერ გამოქვეყნებული მონაცემები მსხვერპლის შესახებ, შეგროვებულია AFP-ის მიერ, ხელმისაწვდომი იყო 2016 წლის 13 ნოემბერს, http://bit.ly/22EFvbp; „მუსინგი ერაყის შესახებ“, *2014 წელი მსხვერპლის უდიდესი რაოდენობით გამოირჩეოდა მთელი სამოქალაქო ომის პერიოდში,* 2015 წლის 6 იანვარი; „მუსინგი ერაყის შესახებ“, *ერაყში 2014 წლის მეორე ნახევარში დაღუპულთა და დაჭრილთა ამსახველი გრაფიკები,* 2015 წლის 6 იანვარი, http://bit.ly/1Rz971O

[125] UNAMI-ის შესაბამისად, „სულ მცირე, 5566 სამოქალაქო პირი დაიღუპა და 10392 დაიჭრა 2016 წლის იანვრიდან ოქტომბრამდე (უნდა აღინიშნოს, რომ ალ-ანბარის მონაცემები ყველა თვეს არ მოიცავს). IBC-მა დააფიქსირა 13700-ზე მეტი მსხვერპლი სამოქალაქოთა შორის 2016 წლის იანვრიდან ოქტომბრამდე (წინასწარი მონაცემები). „მუსინგი ერაყის შესახებ“ ამავე პერიოდში იუწყება 18000 მსხვერპლის შესახებ სამოქალაქო და არასამოქალაქო პირთა შორის; UNAMI, *გაეროს მონაცემები მსხვერპლის შესახებ 2016 წლის ოქტომბერში,* 2016 წლის 1 ნოემბერი, http://www.refworld.org/docid/58209b754.html; IBC-ის მონაცემთა ბაზა, ხელმისაწვდომი იყო 2016 წლის 13 ნოემბერს, https://www.iraqbodycount.org/database/. ყოველთვიური მსხვერპლის შესახებ მონაცემები, იხ. „მუსინგი ერაყის შესახებ“, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://musingsoniraq.blogspot.com/.

[126] ბაღდადის პროვინციაში დაღუპულთა რაოდენობა კვლავ მაღალი იყო 2014 წლის განმავლობაში (3702 დაღუპული და 8375 დაჭრილი), 2015 წელს (3727 დაღუპული და 9272 დაჭრილი) და 2016 წლის იანვარ-ოქტომბერში (2871 დაღუპული და 7725 დაჭრილი); იხ. UNAMI-ის ყოველთვიური მონაცემები მსხვერპლთა შესახებ, ხელმისაწვდომი იყო 2016 წლის 13 ნოემბერს, http://bit.ly/1NpHRqT.

[127] უნდა აღნიშნოს, რომ ანბარის პროვინციის შესახებ მონაცემები ყოველი თვისთვის ხელმისაწვდომი არ იყო; UNAMI, *სამოქალაქოთა მსხვერპლი,* http://bit.ly/1NpHRqT. „მუსინგი ერაყის შესახებ“ ასევე იმავე პროვინციებზე მიუთითებენ, სადაც მსხვერპლი განსაკუთრებით დიდია, თუმცა თანმიმდევრობა თვეების მიხედვით იცვლება. იხ. ყოველთვიური ანგარიშები უსაფრთხოების შესახებ, 2015-2016 წლების, „მუსინგი ერაყის შესახებ“, http://musingsoniraq.blogspot.com/.

[128] გაეროს წარმომადგენლობა ერაყში, *ჰუმანიტარული პარტნიორები აცხადებენ, რომ დრო იწურება: 284 მილიონი აშშ დოლარი არის სასწრაფოდ საჭირო მოსულის ჰუმანიტარული ოპერაციის მოსამზადებლად,* 2016 წლის 20 ივლისი, http://bit.ly/2dgUAfj. მოსულზე მიმდინარე შეტევის პარალელურად, IBC-მა დააფიქსირა მსხვერპლთა რაოდენობა, სადაც მითითებულია, რომ 2016 წლის ოქტომბერში 2300 სამოქალაქო პირი დაიღუპა, რაც 2015 და 2016 წლებში მსხვერპლის ყოველთვიურ მონაცემებზე მაღალია; IBC-ის მონაცემთა ბაზა, ხელმისაწვდომი იყო 2016 წლის 13 ნოემბერს, https://www.iraqbodycount.org/database/.

[129] UNAMI, *გაეროს მონაცემები მსხვერპლის შესახებ 2016 წლის სექტემბერში,* 2016 წლის 1 ოქტომბერი, http://bit.ly/2dB9ZKO.

მოქალაქეთა გადაადგილება ქვეყნის შიგნით და მის გარეთ

33. ბოლო ორი წლის განმავლობაში ერაყში სერიოზული კრიზისია, რაც გამოწვეულია მოსახლეობის მასშტაბური გადაადგილებით. დღეისათვის 3,18 მილიონზე მეტი ადამიანი - ანუ, ერაყის თითქმის ყოველი მეათე მოქალაქე - იძულებული იყო მიეტოვებინა თავისი სახლი. 2014 წლის იანვრიდან მოყოლებული, მასობრივი გადაადგილების რამდენიმე ტალღა დაფიქსირდა,[130] ძირითადად ალ-ანბარის, ნინევის, სალაჰ ალ-დინის, ასევე, დიალას, ბაღდადის, კირკუკისა და ბაბელის პროვინციებიდან.[131] ზოგ შემთხვევაში მთელი თემების გადაადგილება მოხდა.[132] 2006-2007 წლების კონფლიქტების პერიოდიდან ჯერ კიდევ გადადგილებულია 1,1 მილიონი ადამიანი.[133] ვინაიდან კონფლიქტის ეპიცენტრის ერაყის ერთი რაიონიდან მეორე რაიონში გადანაცვლება ხდებოდა, მრავალ ადამიანს გადაადგილება რამდენიმეჯერ მოუხდა.[134] ერაყი იძულებით გადაადგილებულ პირთა საერთო რაოდენობის მიხედვით მსოფლიოში მესამე ადგილზეა.[135] დღეისათვის იძულებით გადაადგილებული პირები ერაყის 106 რაიონში და 3735 დასახლებულ პუნქტში იმყოფებიან. მათ უმრავლესობას მასპინძლობს ალ-ანბარის, ბაღდადის, დოხუკის, ერბილისა და კირკუკის პროვინციები.[136] მიმდინარე სამხედრო შეტევები, რომლებიც მიზნად ისახავს ISIS-გან დანარჩენი ტერიტორიების გათავისუფლებას, მასშტაბურ ახალ გადაადგილებებს იწვევს. არსებული ინფორმაციის თანახმად, 2016 წლის მარტიდან ოქტომბრამდე, 300 000 ერაყელი გადაადგილდა, ძირითადად ალ-ანბარის, ნინევის, სალაჰ ალ-დინისა და კირკუკის პროვინციებიდან.[137]

34. მოსულის განთავისუფლების მიზნით მასზე სამხედრო შეტევამ შეიძლება, უარეს შემთხვევაში, ერთ მილიონზე მეტი ადამიანის გადაადგილება გამოიწვიოს.[138] არსებული

---

[130] მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM), *ერაყი - იძულებით გადაადგილებული პირები,* 2016 წლის 13 ნოემბერი, http://iraqdtm.iom.int/IDPsML.aspx.

[131] იძულებით გადაადგილებულთა 75 პროცენტი ორი პროვინციიდან არის გამოქცეული, კერძოდ, ალ-ანბარისა და ნინევის; მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, *გადაადგილების კონტროლის მატრიცა, 56-ე რაუნდი,* 2016 წლის 26 ოქტომბერი, http://bit.ly/2faF3mK, გვ. 4.

[132] OCHA, *2016 ჰუმანიტარული საჭიროების მიმოხილვა,* 2015 წლის ნოემბერი, http://bit.ly/1RoAqvO, გვ. 15.

[133] OCHA, *ერაყის ჰუმანიტარული რეაგირების გეგმა 2016,* 2015 წლის დეკემბერი, http://bit.ly/1U3LFAI, გვ. 6. 2014 წლამდე გადაადგილების ტენდეციების შესახებ იხ. გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, *სპეციალური მომხსენებლის ანგარიში იძულებით გადაადგილებულ პირთა ადამიანის უფლებათა შესახებ,* 2016 წლის 5 აპრილი, http://www.refworld.org/docid/575fb7e14.html, პარ. 6.

[134] UNHCR, *გადაადგილებით გამოწვეული კრიზისი ერაყში - UNHCR უარესისთვის ემზადება,* 2016 წლის 23 აგვისტო, http://bit.ly/2bgq0Rx; UNICEF, *ერაყში ძალადობა ბავშვებს ბავშვობას ართმევს,* 2016 წლის ივნისი, http://www.refworld.org/docid/577665304.html, გვ. 5; გაეროს უშიშროების საბჭო, *გენერალური მდივნის მეორე მოხსენება 2233 (2015) რეზოლუციის მე-7 პარაგრაფის შესაბამისად,* 2016 წლის 26 იანვარი, http://www.refworld.org/docid/56af0c454.html, პარ. 65.

[135] გაეროს უშიშროების საბჭო, *გენერალური მდივნის პირველი მოხსენება 2233 (2015) რეზოლუციის შესაბამისად,* 2015 წლის 26 ოქტომბერი, http://www.refworld.org/docid/563719d14.html, პარ. 79.

[136] ხუთმა პროვინციამ - ალ-ანბარის, ბაღდადის, გოჰუს, ერბილის და კირკუკის - ორ მილიონზე მეტი იგპ შეიფარა, ანუ, იგპ-თა საერთო რაოდენობის ორი მესამედი; IOM, *გადაადგილების კონტროლის მატრიცა, 57-ე რაუნდი,* 2016 წლის 27 ოქტომბერი, http://iraqdtm.iom.int/Downloads.aspx.

[137] მათ შორის, ბაიჯი და შირქატი (სალაჰ ალ-დინის პროვინცია), ქაიარაჰი (ნინევის პროვინცია), ფალუჯა, ჰიტი და ჰავიჯა (კირკუკის პროვინცია); IOM, *გადაადგილების კონტროლის მატრიცა, 56-ე რაუნდი - ოქტომბერი,* 2016 წლის 26 ოქტომბერი, 2016, http://bit.ly/2faF3mK, გვ. 7.

[138] UNHCR, *მოსულზე შეტევა ერაყში გადაადგილების ზრდას იწვევს,* 2016 წლის 21 სექტემბერი, http://bit.ly/2frRqre; OCHA, *მოსულის ჰუმანიტარული კრიზისი,* 2016 წლის 1 ნოემბერი, http://bit.ly/2fa0KCq.

ინფორმაციის თანახმად, შეტევის დაწყების დღიდან (2016 წლის 17 ოქტომბრიდან) ამ დოკუმენტის მომზადების დროისთვის, მოსულიდან და მისი მიმდებარე ტერიტორიებიდან 54 000-ზე მეტი ადამიანი გადაადგილდა, მათგან თითქმის ნახევარი ბავშვი იყო. ISIS-ის წინააღმდეგ მებრძოლი ძალების შემდგომი წინსვლის შედეგად მჭიდროდ დასახლებულ ურბანულ დასახლებებში და მათ შემოგარენში მოსახლეობის გადაადგილების ახალი ტალღა არის მოსალოდნელი. ახალ იგპ-თა დიდი უმრავლესობა ნინევის პროვინციაში იმყოფება.[139] არსებული შეფასებით, მოსულში და მის გარეუბნებში ჯერ კიდევ ხაფანგშია მოქცეული 1,5 მილიონი ადამიანი.[140]

35. გარდა ამისა, კონფლიქტი და ადამიანის უფლებათა დარღვევები ერაყელებს აიძულებს უსაფრთხოების და დაცვის გარანტიების საძიებლად საზღვარგარეთ გაიქცნენ. რეგიონში მოქმედი *UNHCR-ის* წარმომადგენლობები მიუთითებენ შემოსულ ერაყელთა მზარდ რაოდენობაზე, ასევე, დარეგისტრირებულ ერაყელთა რაოდენობაზე, რომლებიც 2014 წლის ზაფხულის შემდეგ უკვე იმყოფებიან მასპინძელ ქვეყნებში. 2016 წლის სექტემბრისთვის 240 ათასზე მეტი ერაყელი ლტოლვილი იმყოფებოდა თურქეთში, იორდანიაში, ლიბანში, სირიაში, ეგვიპტეში, ირანში და სპარსეთის ყურის არაბულ სახელმწიფოთა თანამშრომლობის საბჭოს ქვეყნებში.[141] ამასთანავე, არსებული გაანგარიშებით, 9 ათასამდე ერაყელს - რომლებიც ამჟამად ჩრდილო-აღმოსავლეთ სირიაში ცხოვრობენ ნევრუზის, როჯისა და ელ-ჰოლის ბანაკებში, ასევე ელ-ჰასაკას პროვინციაში - *UNHCR*-ში ჯერ ფორმალური რეგისტრაცია არ გაუვლიათ, მათ შორის, ხელმისაწვდომობის შეზღუდვის გამო, რაც უსაფრთხოებასთან არის დაკავშირებული.[142] 2014 წლიდან, წინა წლებთან შედარებით, ევროპაში სულ უფრო სწრაფად იზრდება ერაყელ თავშესაფრის მაძიებელთა განაცხადების რაოდენობა.[143]

---

[139] მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM), *ერაყი, გადაუდებელი მონიტორინგის შედეგები,* ხელმისაწვდომი იყო 2016 წლის 13 ნოემბერს, http://iraqdtm.iom.int/EmergencyTracking.aspx; OCHA, *ერაყი: ადამიანები, რომლებიც ამჟამად გადაადგილებულნი არიან მოსულში განხორციელებული სამხედრო ოპერაციების გამო (2016 წლის 12 ნოემბრისთვის),* 2016 წლის 12 ნოემბერი, http://bit.ly/2fOEP1N; UNHCR, *მოსულიდან იძულებით გადაადგილებულთა რაოდენობის ზრდის გამო UNHCR ზრდის დახმარების მასშტაბებს,* 2016 წლის 11 ნოემბერი, http://bit.ly/2eTOPYw; UNICEF, *UNICEF ოპერატიული ინფორმაცია მოსულში არსებულ სიტუაციაზე რეაგირების ღონისძიებათა შესახებ No.1,2016 წლის 17-31 ოქტომბერი,* 2016 წლის 31 ოქტომბერი, http://bit.ly/2fhZ3k8.

[140] ამნესტი ინტერნეიშენალ, *ერაყი: შიში სამოქალაქო პირთა უსაფრთხოების გამო, რომლებიც ჯვარედინ ცეცხლში არიან მოქცეულნი და რომლებსაც ისლამური სახელმწიფო ცოცხალ ფარად იყენებს,* 2016 წლის 27 ოქტომბერი, http://www.refworld.org/docid/581c92474.html; UN, *შეშფოთებას იწვევს 1,5 მილიონი ადამიანის ბედი, რომლებიც ISIL-ის მიერ კონტროლირებულ მოსულში არიან,* 2016 წლის 17 ოქტომბერი, http://bit.ly/2f527iC.

[141] 2016 წლის 31 ოქტომბრისთვის, რეგიონში რეგისტრირებული იყო 239077 ერაყელი, მათ შორის, 125368 - თურქეთში, 60133 - იორდანიაში, 24977 - სირიაში, 18445 - ლიბანში, 7199 - ეგვიპტეში, 2322- სპარსეთის ყურის არაბულ სახელმწიფოთა თანამშრომლობის საბჭოს ქვეყნებში და 633 - ირანში; UNHCR რეესტრის მონაცემები, 2016 წლის 31 ოქტომბერი.

[142] UNHCR-ის ინფორმაცია, 2016 წლის ნოემბერი.

[143] ევროკავშირის 28 წევრ სახელმწიფოში ერაყელ თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა ბოლო წლების განმავლობაში: 2013 წელს იყო 10 740 განმცხადებელი, 2014 წელს - 21 310, ხოლო 2015 წელს - 121 535. 2015 წელს ერაყი ევროკავშირის ფარგლებში რიგით მესამე ქვეყანა იყო, რომლის მოქალაქეებიც თავშესაფარს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში ეძებდნენ. 2016 წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში 69 300 ერაყელი თავშესაფრის მაძიებელმა შეიტანა განცხადება; ევროსტატი, *2016 წლის მეორე კვარტალში, იმ თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვი, რომლებმაც განაცხადი პირველად შეიტანეს, 306 000-ს აღწევს,* 2016 წლის 22 სექტემბერი, http://bit.ly/2cTzOUo; ევროსტატი, 2016 წლის პირველ კვარტალში, *იმ თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვი, რომლებმაც განაცხადი პირველად შეიტანეს, ოდნავ ნაკლებია 290 000-ზე,* 2016 წლის 16 ივნისი, http://bit.ly/1rt1zIe; ევროსტატი, *2015 წელს რეკორდული რაოდენობა - 1,2 მილიონი -*

იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნება და დაბრუნება საზღვარგარეთიდან

36. ახალი და გაჭიანურებული გადაადგილების ფონზე, სპონტანური დაბრუნება ხდება ISIS-გან განთავისუფლებული ტერიტორიებიდან, მიუხედავად იმისა, რომ უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნებისთვის შესაფერი პირობები არ არის.[144] არსებული ინფორმაციის შესაბამისად, 2016 წლის 27 ოქტომბრისთვის, ერთ მილიონზე მეტი ადამიანი დაუბრუნდა თავის მშობლიურ ადგილებს - ძირითადად სალაჰ ალ-დინის, ალ-ანბარის, ნინევის და დიალას პროვინციებში.[145]

37. არსებული ინფორმაციის შესაბამისად, ISIS-ის მებრძოლები, უკანდახევისას, განუწყვეტლივ ნაღმავენ ტერიტორიებს და ასაფეთქებელ ხაფანგებს ამონტაჟებენ სახლებში, საჯარო თავშეყრის ადგილებზე და გზებზე, რის შედეგადაც არის მსხვერპლი დაბრუნებულ პირთა შორის.[146] დაბრუნებულები ხშირად დგებიან ისეთი პრობლემების წინაშე, როგორიცაა, დანგრეული ან დაზიანებული სახლები, ან მათში ახალი მობინადრენი არიან შესახლებულნი.[147] დაბრუნების ადგილებში დაზიანებულია ან არ

დაფიქსირდა თავშესაფრის იმ მაძიებელთა შორის, რომლებმაც პირველად შეიტანეს განცხადი, 2016 წლის 4 მარტი, http://bit.ly/1oUlAGC; ევროსტატი, *სტატისტიკა თავშესაფრის მაძიებელთა შესახებ - ცხრილი 1: ევროპის კავშირში თავშესაფრის მაძიებელთა წარმოშობის ქვეყნები (არა-ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან), 2013 და 2014 წლებში,* ვებგვერდის ბოლო მოდიფიცირება მოხდა 2015 წლის 8 მაისს, http://bit.ly/1HAUHJn

[144] UNHCR არ მოუწოდებს და არ უწყობს ხელს იგპ-თა ნებაყოფლობით დაბრუნებას, რადგან მრავალ რაიონში დაბრუნებისთვის საჭირო პირობები არ არის. UNHCR მიიჩნევს, რომ იგპ-თა სპონტანური დაბრუნება უნდა იყოს ნებაყოფლობითი, უსაფრთხო, არადისკრიმინაციული და სტაბილური; UNHCR და მისი აღმასრულებელი პარტნიორები დახმარებას უწევენ სპონტანურად დაბრუნებულ გადაადგილებულ პირებს ნებისმიერ შემთხვევაში, სადაც ჰუმანიტარული წვდომა არსებობს; ასეთი დახმარების გაწევა არ გულისხმობს, რომ UNHCR არსებული პირობებს დაბრუნებისთვის დამაკმაყოფილებლად აფასებს.

[145] მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის გადაადგილების კონტროლის მატრიცაში დაბრუნებულად მიიჩნევა ყველა ადრე გადაადგილებული პირი, რომლებიც თავიანთი წარმოშობის რაიონში დაბრუნდნენ, იმის მიუხედავად, სად დაბრუნდნენ ისინი - თავიანთ ძველ საცხოვრებელში თუ სხვა ტიპის საცხოვრებელში; მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, *გადაადგილების კონტროლის მატრიცა - ერაყი, დაბრუნებულები, ხელმისაწვდომი იყო 2016 წლის 13 ნოემბერს,* http://iraqdtm.iom.int/ReturneeML.aspx; მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, *მილიონი ერაყელი შინ დაბრუნდა: მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის გადაადგილების კონტროლის მატრიცა,* 2016 წლის ოქტომბერი, http://bit.ly/2f4RYCU, გვ. 4.

[146] "თითქმის ყველა ტერიტორია, რომელიც მთავრობის კონტროლის ქვეშ დაბრუნდა, მოითხოვს ასაფეთქებელი მოწყობილობებისაგან განაღმვას, რათა ტერიტორია უსაფრთხო გახდეს დაბრუნებისთვის"; OCHA, *ჰუმანიტარულ საჭიროებათა მიმოხილვა,* 2015 წლის ნოემბერი, http://bit.ly/1RoAqvO, გვ. 10. იხ. აგრეთვე, UNHCR, *ერაყი: ოპერატიული ინფორმაცია,* 2016 წლის 27 აგვისტო, http://bit.ly/2dUNwdp, გვ. 1; UNHCR, *UNHCR-ის განცხადება ერაყის მთავრობის განცხადების პასუხად იმის შესახებ, რომ ფალუჯელ ოჯახებს შინ დაბრუნება შეუძლიათ 1 აგვისტოდან,* 2016 წლის 1 ივლისი, http://www.refworld.org/docid/58209bfc4.html; „მუსინგი ერაყის შესახებ", *რამადის ნაღმებისაგან გაწმენდა გვიანდება,* 2016 წლის 13 მაისი, http://bit.ly/2dZ2zxA; გაეროს უშიშროების საბჭო, *გენერალური მდივნის მესამე მოხსენება 2233 (2015) რეზოლუციის მე-7 პარაგრაფის შესაბამისად,* 2016 წლის 27 აპრილი, http://www.refworld.org/docid/5731a1a14.html, პარ. 62.

[147] მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, *მილიონი ერაყელი შინ დაბრუნდა: მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის გადაადგილების კონტროლის მატრიცა,* 2016 წლის ოქტომბერი, http://bit.ly/2f4RYCU, გვ. 19-20; Wall Street Journal, *ერაყელი ოჯახები ფალუჯაში თავიანთ განადგურებულ სახლებში ბრუნდებიან,* 2016 წლის 18 სექტემბერი, http://on.wsj.com/2cUtiwT. დაბრუნებულები, რომლებსაც არ შეუძლიათ დაბრუნდნენ თავიანთ ყოფილ საცხოვრებლებში, შეიძლება იძულებული გახდნენ იცხოვრონ ალტერნატიულ საცხოვრებლებში, მათ შორის, დაუსრულებელ ნაგებობებში, ნაქირავებ ბინებში ან არაფორმალურ დასახლებებში. 2016 წლის ოქტომბრისთვის მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ 11 000-ზე მეტი დაბრუნებული ოჯახი დაფიქსირა, ანუ - დაახლოებით 11 პროცენტი,

არსებობს საბაზისო ინფრასტრუქტურა, ნელა მიმდინარეობს ძირითადი სერვისების აღდგენა და არ არის შემოსავლის მიღების საშუალებები.[148] იგპ ბანაკების დაცვის მონიტორინგის შედეგები უჩვენებს, რომ იგპ-თა ოჯახების საგულისხმო რაოდენობა ამჯობინებს მანამ არ დაბრუნდეს მის მიერ დატოვებულ რაიონში, სანამ იქ არ იქნება აღდგენილი წყალმომარაგებისა და ელექტრომომარაგების სისტემები, სკოლები და სამედიცინო დაწესებულებები. იძულებით გადაადგილებული პირები ასევე გამოხატავდნენ თავიანთ შეშფოთებას უსაფრთხოების რისკებთან დაკავშირებით, რომლის წინაშეც ისინი დგებიან დაბრუნების დროს, ISIS-სგან[149] ან ერაყის უსაფრთხოების ძალებისაგან და მათთან დაკავშირებული სამთავრობო ფორმირებებისაგან მომდინარე საფრთხეების ჩათვლით.[150]

38. დაბრუნებულებმა აუცილებლად უნდა გაიარონ კონტროლის პროცედურა უსაფრთხოების თვალსაზრისით და მიიღონ დაბრუნების ნებართვა სხვადასხვა ადგილობრივი სუბიექტისგან, სამხედრო ძალების (რომლებიც ტერიტორიას აკონტროლებენ), ადგილობრივი ხელისუფლებისა და ტომების ჩათვლით.[151] ზოგ

რომლებიც თავიანთ საცხოვრებლებში ვერ დაბრუნდნენ. ეს ოჯახები იძულებულნი არიან სხვა ტიპის თავშესაფრებში დასახლდნენ, მათ შორის, ნაქირავებ ბინებში, სასტუმროებში, მასპინძელთა ოჯახებში, არაფორმალურ დასახლებებში, რელიგიურ შენობებში/სკოლებში, დაუსრულებელ ან მიტოვებულ ნაგებობებში და სხვა არაფორმალურ ობიექტებზე. ერბილისა და ანბარის პროვინციებში ყველა დაბრუნებული ოჯახი თავის ყოფილ საცხოვრებელში დასახლდა, ხოლო დიალას, სალაჰ ალ-დინის, ნინევისა და კირკუკის პროვინციებში მათ თავიანთ მუდმივ საცხოვრებლ ადგილამდე ვერ მიაღწიეს, ძირითადად მათი სახლების დანგრევის ან სერიოზული დაზიანების, მათში ნაღმების არსებობის, მათ სახლებში სხვა ოჯახების შესახლების ან მათ რაიონში უსაფრთხოების პრობლემების გამო; მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, *მილიონი ერაყელი შინ დაბრუნდა: მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის გადაადგილების კონტროლის მატრიცა,* 2016 წლის ოქტომბერი, http://bit.ly/2f4RYCU, გვ. 17-18. არსებული ადმინისტრაციული პროცედურები და სამართლებრივი პროცესები, როგორც იუწყებიან, არ არის საკმარისი ქონების რესტიტუციის ან კომპენსაციის საჩივრების დასაკმაყოფილებლად; OCHA, *ჰუმანტიარული საჭიროებების მიმოხილვა,* 2015 წლის ნოემბერი, http://bit.ly/1RoAqvO, გვ. 16.

[148] „მუსინგი ერაყის შესახებ“, *გადაადგილებულ პირთა მძიმე მდგომარეობა ერაყის ანბარის პროვინციაში,* 2016 წლის 11 აგვისტო, http://bit.ly/2denBL6; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, *იძულებით გადაადგილებულ პირთა ადამიანის უფლებათა საკითხში სპეციალური მომხსენებლის ანგარიში,* 2016 წლის 5 აპრილი, http://www.refworld.org/docid/575fb7e14.html, პარ. 69; გაერო - ჰაბიტატი, *იაპონიის მთავრობამ გაეროს ჰაბიტატის პროექტს ერაყში 15 მილიონი აშშ დოლარი გამოუყო,* 2016 წლის 2 მარტი, http://bit.ly/1pnzOjS; UNAMI, *მოხსენება სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ ერაყში შეიარაღებული კონფლიქტის დროს,* 2016 წლის 11 იანვარი, http://www.refworld.org/docid/56a09a304.html, გვ. 7.

[149] UNHCR-ის ინფორმაცია, 2016 წლის ნოემბერი. იხ. აგრეთვე, OCHA, *ჰუმანიტარული ბიულეტენი ერაყის შესახებ,* 2016 წლის 15 ოქტომბერი, http://bit.ly/2e8Oyz7, გვ. 3; UNHCR, *სიტუაცია ერაყში: ოპერატიული ინფორმაცია ერაყში სიტუაციის შესახებ,* 2016 წლის 22 სექტემბერი, http://bit.ly/2cUpjmC.

[150] UNHCR-ის ინფორმაცია, 2016 წლის ნოემბერი. იხ. აგრეთვე, ამნესტი ინტერნეიშენალ, *იგპ ერაყელები, რომლებსაც სასტიკად ექცევიან უკანონო შეიარღებული დაჯგუფებების და სამთავრობო ძალების მებრძოლები,* 2016 წლის 18 ოქტომბერი, http://www.refworld.org/docid/5806051a4.html, გვ. 17; MRGI, *გადაადგილებით გამოწვეული კრიზისი ერაყში,* 2016 წლის მარტი, http://www.refworld.org/docid/573592d24.html, გვ. 22, 23; UNAMI, *მოხსენება ერაყში შეიარაღებულ კონფლიქტებში სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ,* 2016 წლის 11 იანვარი, http://www.refworld.org/docid/56a09a304.html, გვ. 31; ალ-მონიტორი, *გადაადგილებული ერაყელები კვლავ შინ დაბრუნებას ელოდებიან,* 2015 წლის 24 ივნისი, http://almon.co/2ghm.

[151] ამნესტი ინტერნეიშენალ, *იგპ ერაყელები, რომლებსაც სასტიკად ექცევიან უკანონო შეიარაღებული დაჯგუფებების და სამთავრობო ძალების მებრძოლები,* 2016 წლის 18 ოქტომბერი, http://www.refworld.org/docid/5806051a4.html, გვ. 17-18. ასოშიეიტედ პრეს, *ერაყის ფალუჯას მაცხოვრებელთა მტკივნეული დაბრუნება ისლამური სახელმწიფოს მმართველობის შემდეგ,* 2016 წლის 26 სექტემბერი, http://dailym.ai/2d8Zxvm; „მუსინგი ერაყის შესახებ“, *გადაადგილების გაჭიანურებული კრიზისი ერაყში,* 2016 წლის 1 მარტი, http://bit.ly/2dNBhvN; UNAMI, *მოხსენება ერაყში შეიარაღებულ კონფლიქტებში*

ტერიტორიაზე დაბრუნების დაყოვნება ხდება ადგილობრივი სუბიექტების მიერ, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მოცემულ ტერიტორიაზე ჯერ უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სრული უსაფრთხოება, მოხდეს მისი განაღმვა და აღდგეს სერვისები.[152] თუმცა, არსებული ინფორმაციის თანახმად, დაბრუნებას ასევე ხელს უშლიან დისკრიმინაციული კრიტერიუმების საფუძველზე, იგპ-თა ეთნიკურ/რელიგიური კუთვნილების და/ან სავარაუდო პოლიტიკური შეხედულებების ნიშნით.[153]

39. ამავდროულად, როგორც იტყობინებიან, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები სულ უფრო აქტიურად უბიძგებენ იძულებით გადაადგილებულ პირებს, რომ დაბრუნდნენ თავიანთი წარმოშობის რაიონებში.[154] იძულებით გადაადგილებულ პირებს, რომლებიც არიან სახელმწიფო მოსამსახურეები ან უშიშროების სამსახურების მუშაკები, მითითებას აძლევენ, მუშაობა გააგრძელონ განთავისუფლებულ ტერიტორიებზე იმავე დაწესებულებებში, სადაც ადრე მუშაობდნენ.[155] ზოგი მათგანი დაბრუნების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს გადაადგილების ადგილზე არსებული მძიმე პირობების გამო, სადაც ისინი ძირითადად უკიდურესად არახელსაყრელ პირობებში არიან - აქვთ მხოლოდ დროებითი საცხოვრებელი, რომელიც ყოველთვის არ არის დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში, არ აქვთ საკმარისი ხელმისაწვდომობა სამედიცინო დახმარებაზე, სურსათსა და წყალმომარაგებაზე.[156] ალ-ანბარიდან

სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ, 2016 წლის 11 იანვარი, http://www.refworld.org/docid/56a09a304.html, გვ. 7; IRC, *იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნება დიალაში - 2015,* 2015 წლის 15 ოქტომბერი, http://bit.ly/2en7DNY.

[152] ამნესტი ინტერნეიშენალ, *იძულებითი გადაადგილება და ქონების განზრახ განადგურება ჩრდილოეთ ერაყში,* 2016 წლის 20 იანვარი, http://www.refworld.org/docid/56a0800f4.html, გვ. 6; ალ-მონიტორი, *ერაყელი იძულებით გადაადგილებული პირები კვლავ დაბრუნებას ელოდებიან,* 2015 წლის 24 ივნისი, http://almon.co/2ghm.

[153] იხ. ზემოთ, *„სამოქალაქო პირთა მიმართ მოპყრობა ადრე ISIS-ის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებზე“.*

[154] *“აგრეთვე გამოთქვამდნენ შეშფოთებას, რომ ზოგ შემთხვევაში მთავრობა ხელს უწყობდა გარკვეულ რაიონებში დაბრუნებას იქ უსაფრთხოებისა და დაცვის სიტუაციის დეტალური შესწავლის შესახებ. ამავდროულად არ ხდებოდა კონსულტაციებისა და თანხმობის კრიტერიუმების დაცვა“; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, სპეციალური მომხსენებლის მოხსენება ერაყში იძულებით გადაადგილებულ პირთა ადამიანის უფლებათა შესახებ,* 2016 წლის 5 აპრილი, http://www.refworld.org/docid/575fb7e14.html, პარ. 69. მაგალითად, 2016 წლის ოქტომბრის დასაწყისში, ქალაქ შირქატის (სალაჰ ალ-დინის პროვინცია) ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები, არსებული ინფორმაციის თანახმად, იძულებით გადაადგილებულ პირებს მოუწოდებდნენ შინ დაბრუნებულიყვნენ. ქალაქი ISIS-ს 2016 წლის სექტემბრის ბოლოს დაატოვებინეს, ხოლო ერაყის უსაფრთხოების ძალები კვლავ აგრძელებდნენ ღონისძიებებს ამ რაიონის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. არსებული ინფორმაციის შესაბამისად, 2016 წლის სექტემბრის დასაწყისში, ISIS-მა კვლავ იერიში მიიტანა ამ რაიონზე და სოფელი დაიკავა შირქატის სამხრეთით; *დაეში ტერიტორიებს იბრუნებს ერაყში, 2016 წლის 8 ოქტომბერი,* http://bit.ly/2dDoah2; UNHCR, *ერაყი: ოპერატიული ინფორმაცია მოსულში სიტუაციის შესახებ,* 2016 წლის 4 ოქტომბერი, http://bit.ly/2dxaS5S. იხ. აგრეთვე ზემოთ, პარ. 30.

[155] OHCHR, *ზეიდი მოუწოდებს ყურადღება მიაქციონ მსხვერპლის უფლებებს, ერაყში სამოქალაქო მოსახლეობის ტანჯვის „გამაოგნებელი“ მასშტაბების გათვალისწინებით,* 2016 წლის 11 ნოემბერი, https://shar.es/1Iy59i; EPIC, *ISHM: 2016 წლის 7-13 ოქტომბერი,* 2016 წლის 13 ოქტომბერი, http://www.epic-usa.org/ishm82/; UNHCR, *ერაყი: ოპერატიული ინფორმაცია,* 2016 წლის 26 ივლისი, http://bit.ly/2dY8o1v, გვ. 2.

[156] UNHCR, *ერაყი: ოპერატიული ინფორმაცია, 2016 წლის 6 სექტემბერი,* http://www.refworld.org/docid/57d00f944.html, გვ. 2; MRGI, *გადაადგილებით გამოწვეული კრიზისი ერაყში,* 2016 წლის მარტი, http://www.refworld.org/docid/573592d24.html, გვ. 5; OCHA, *2016 ჰუმანიტარული საჭიროებების მიმოხილვა,* 2015 წლის ნოემბერი, http://bit.ly/1RoAqvO, გვ. 16. იხ. ქვემოთ, „ჰუმანიტარული სიტუაცია“.

ბაღდადში დასახლებული იძულებით გადაადგილებული პირები ბრუნდებიან უსაფრთხოების სიტუაციის გამო, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მოხდა თავდასხმა ბაღდადის იგპ-თა ყველაზე დიდ - ალ სალამის ბანაკზე.[157]

40. 2015 წლის შუა პერიოდიდან იზრდება ერაყის მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებიც ევროპიდან ერაყში ბრუნდებიან, მათ შორის, ბაღდადის, ერბილის, სულეიმანიას, ბასრასა და ნაჯაფის პროვინციებში.[158] ერაყის მოქალაქეები, დაბრუნების მიზეზთა შორის მიუთითებენ: მიღების ადგილებში არსებულ მძიმე პირობებზე; თავშესაფრის უზრუნველყოფის გაჭიანურებულ პროცედურებზე და, შესაბამისად, საიმედო სამართლებრივი სტატუსის მიღების გაჭიანურებაზე; სერვისებზე ხელმისაწვდომობასთან და ოჯახების გაერთიანებასთან დაკავშირებულ სირთულეებზე; ინტეგრირების სირთულეებზე; თავშესაფრის ქვეყანაში თავდასხმების შიშზე; და ერაყში ოჯახის წევრებთან გაერთიანების სურვილზე.[159]

ჰუმანიტარული სიტუაცია

41. მიმდინარე კონფლიქტის, ჰუმანიტარულ დახმარებაზე შეზღუდული ხელმისაწვდომობის, სირთულეების დაძლევის მექანიზმების არარსებობის და ფინანსების დეფიციტის ფონზე, ერაყში სულ უფრო მწვავდება ჰუმანიტარული

---

[157]ასოშიეიტედ პრესი, *გაერო აცხადებს საფრთხის შესახებ, რომელიც ემუქრება IS-ის მიერ გადაადგილებულ ერაყელებს, რომლებიც შინ ბრუნდებიან,* 2016 წლის 28 ივლისი, http://bit.ly/2eoqFCc; UNHCR, *ერაყი: ოპერატიული ინფორმაცია,* 2016 წლის 14 ივლისი, http://bit.ly/2e3hIy5, გვ. 1; UNHCR, *ერაყი, ოპერატიული ინფორმაცია,* 2016 წლის 11 ივლისი, http://bit.ly/2dm0Cun. იხ. აგრეთვე ზემოთ, სქოლიო 95.

[158] 2016 წლის ინვრიდან ივნისამდე, 7087-მა ერაყელმა მიიღო დახმარება ერაყში დასაბრუნებლად ევროპის სხვადასხვა ქვეყნისგან, მიგრაციის საერთშორისო ორგანიზაციის „ნებაყოფლობითი დაბრუნებისა და რეინტეგრაციის დახმარების პროგრამის“ (AVRR) საფუძველზე. ამავე პროგრამის საფუძველზე 2015 წელს დახმარება მიიღო 3607-მა ერაყელმა, ხოლო 2014 წელს - 1280-მა; მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, *ნებაყოფლობითი დაბრუნებისა და რეინტეგრაციის დახმარების პროგრამის ბიულეტენი 2016/1 (იანვარი-ივნისი),* 2016 წლის სექტემბერი, http://bit.ly/2dlYSap, გვ. 2; მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, *ნებაყოფლობითი დაბრუნებისა და რეინტეგრაციის დახმარების პროგრამა 2015 - ძირითადი ასპექტები,* 2016 წლის იანვარი, http://bit.ly/2fQvCbS, გვ. 14, 68. სხვების დაბრუნება მოხდა მთავრობის მიერ დაფინანსებული პროგრამების ფარგლებში, ან საკუთარი სახსრებით დაბრუნდნენ; USA Today, *ერაყელი ლტოლვილები შინ ბრუნდებიან: 'ევროპამ ჩვენ არ მიგვიღო',* 2016 წლის 9 ივნისი, http://usat.ly/1t8Anj7; ABC, *ათასობით ერაყელი შინ ბრუნდება, რადგან მათ გაუცრუვდათ ევროპული ოცნება,* 2016 წლის 13 აპრილი, http://ab.co/2fQxLEr; როიტერი, *ზოგი ერაყელი, თავშესაფრის მიმართებით გერმანული ბიუროკრატიით გაწბილებული, შინ ბრუნდება,* 2016 წლის 28 იანვარი, http://reut.rs/23tJARj.

[159] USA Today, *ერაყელი ლტოლვილები შინ ბრუნდებიან: 'ევროპამ ჩვენ არ მიგვიღო',* 2016 წლის 9 ივნისი, http://usat.ly/1t8Anj7; ალ ჯაზირა, *იეზიდები ტოვებენ ევროპას და ომის ცეცხლში გახვეულ ერაყში ბრუნდებიან,* 2016 წლის 9 მაისი, http://aje.io/pfwq; ნაციონალი, *ოცნება დამსხვრეულია, ხოლო ჯიბე - ცარიელი, ერაყელი მიგრანტები ევროპიდან შინ ბრუნდებიან,* 2016 წლის 4 მაისი, http://bit.ly/2fdV8Ej; ABC, *ათასობით ერაყელი შინ ბრუნდება, რადგან მათ გაუცრუვდათ ევროპული ოცნება,* 2016 წლის 13 აპრილი, http://ab.co/2fQxLEr; Time, *ევროპით იმედგაცრუებული ათასობით ერაყელი შინ ბრუნდება,* 2016 წლის 31 მარტი, http://ti.me/1MEYSgD; ნიუ-იორკ თაიმსი, *ევროპით იმედგაცრუებული ათასობით ერაყელი შინ ბრუნდება,* 2016 წლის 4 თებერვალი, http://nyti.ms/1UOh5rt; ვაშინგტონ პოსტი, *ევროპით უკმაყოფილო ზოგი ერაყელი შინ ბრუნდება,* 2015 წლის 30 დეკემბერი, http://wpo.st/A3HC2. იხ. აგრეთვე, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, *მიგრაციის ტალღა ერაყიდან ევროპაში,* 2016 წლის თებერვალი, http://iomiraq.net/file/6110/download, გვ. 18, 21.

კრიზისი.[160] კონფლიქტის შედეგების, უწყვეტი გადაადგილების და სერვისების შეფერხების გამო მკვეთრად გაიზარდა ჰუმანიტარული საჭიროებები. დღეისათვის, არსებული შეფასებით, ჰუმანიტარული დახმარება ესაჭიროება 10 მილიონზე მეტ ადამიანს მთელი ერაყის მასშტაბით, ანუ, მოსახლეობის თითქმის ერთ მესამედს - იძულებით გადადგილებულ პირთა, დაბრუნებულთა, სირიელი და სხვა ქვეყნებიდან[161] შემოსულ ლტოლვილთა ჩათვლით, ასევე იმ პირთა, რომლებიც ISIS-ის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებზე ცხოვრობენ.[162] ეს მაჩვენებელი მკვეთრად კონტრასტულია იმ 7,3 მილიონ ადამიანთან შედარებით, რომლებიც დღეს იღებენ ჰუმანიტარულ დახმარებას.[163] ჰუმანიტარული კრიზისის მასშტაბისა და სირთულის გათვალისწინებით, 2014 წლის აგვისტოში გაერომ ერაყში „მესამე დონის საგანგებო სიტუაცია“ გამოაცხადა, რომლისთვისაც დამახასიათებელია კრიზისის უმაღლესი დონე. მას შემდეგ ეს დონე ყოველწლიურად კვლავ დგინდება.[164]

42. მოსულის აღების მიზნით განხორციელებული სამხედრო შეტევების შედეგად ისედაც კრიტიკული ჰუმანიტარული მდგომარეობის გაუარესება არის მოსალოდნელი. ჰუმანიტარული ორგანიზაციები, ფონდების მწვავე დეფიციტის ფონზე, ცდილობენ მოემზადონ კრიზისისთვის,[165] რომელიც სახიფათო დონეს აღწევს.[166] გაეროს შეფასებით,

---

[160] *“პირობების გაუარესების გამო ადამიანებს სულ უფრო უჭირთ პრობლემების დაძლევა. სულ მცირე, ორი მილიონი ადამიანი ხდება ხელმეორედ გადაადგილებული. ოჯახების დანაზოგები იწურება, იზრდება მოთხოვნა საარსებო საშუალებებზე, ხოლო სოციალური დაძაბულობა მატულობს. მიმღებ თემებში სწრაფად უარესდება ცხოვრების პირობები, რადგან ოჯახები, რომლებმაც დიდსულოვნება გამოიჩინეს და თავიანთი უსახლკაროდ დარჩენილი ნათესავები შეიფარეს, სწრაფად ღატაკდებიან“;* გაეროს უშიშროების საბჭო, *გენერალური მდივნის მეორე მოხსენება 2233 (2015) რეზოლუციის მე-7 პარაგრაფის შესაბამისად,* 2016 წლის 26 იანვარი, http://www.refworld.org/docid/56af0c454.html, პარ. 65. 2016 წლის 13 ნოემბრისთვის მიღებული იყო ფინანსირების 62%, რომელიც აუცილებელი იყო ერაყში ჰუმანიტარული რეაგირების გეგმის განხორციელებისთვის. ფინანსირების შესახებ განახლებული ინფორმაცია იხ. Financial Tracking Service, *ერაყში ჰუმანიტარული რეაგირების გეგმა - 2016,* ხელმისაწვდომი იყო 2016 წლის 13 ნოემბერს, https://ftsbeta.unocha.org/appeals/1117/summary. დაფინანსების ნაკლებობის გამო 226 ობიექტიდან, რომლებიც ჰუმანიტარული რეაგირების გეგმით იყო გათვალისწინებული, 2016 წელს თითქმის ნახევარი დაიხურა, ალბათ კიდევ 60 პროგრამა დაიხურება, თუკი უზრუნველყოფილი არ იქნება დამატებითი დაფინანსება, რაც ჰუმანიტარულ პარტნიორებს შესაძლებლობას მისცემს უზრუნველყონ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დახმარება ყველა ერაყელისთვის, ვისაც ეს სჭირდება; *ჰუმანიტარული კრიზისი მოსულში, 2016 წლის 9 ნოემბერი,* 2016 წლის 9 ნოემბერი, http://bit.ly/2fRVoNw, გვ. 2.

[161] ერაყმა 225 000 სირიელი ლტოლვილი მიიღო, ძირითადად ერაყის ქურთისტანში; UNHCR, *სირიელ ლტოლვილთა პრობლემაზე რეაგირების ზომები რეგიონში - ერაყი,* ბოლოს განახლდა 2016 წლის 30 სექტემბერს, http://data.unhcr.org/syrianrefugees/country.php?id=103. გარდა ამისა, 2016 წლის 30 სექტემბრისთვის ერაყი მასპინძლობდა 47 500 ლტოლვილს, ძირითადად - ირანელებს, პალესტინელებს და სუდანელებს; UNHCR-ის ინფორმაცია, 2016 წლის ნოემბერი.

[162] OCHA, *ერაყი - ძირითადი მონაცემები,* ხელმისაწვდომი იყო 2016 წლის 13 ნოემბერს, http://www.unocha.org/iraq.

[163] იქვე.

[164] UNAMI, *გაერო ‘მესამე დონის’ საგანგებო სიტუაციას აცხადებს ერაყთან მიმართებით, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ჰუმანიტარული რეაგირების უფრო ეფექტური ზომები,* 2014 წლის 19 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/53f323334.html

[165] The Independent, *გაერო „ნამდვილად არ არის მზად“ ნახევარი მილიონი ადამიანის პრობლემების გადასაჭრელად, რომელთა მოსულიდან გადაადგილება მოხდება ISIS-თან შეტაკების გამო,* 2016 წლის 6 ოქტომბერი, http://ind.pn/2dMstEL; IRIN, *ერაყის მოსული: ჰუმანიტარული ორგანიზაციები ან შეძლებენ დახმარებას, ან ხელმოცარული დარჩებიან,* 2016 წლის 27 სექტემბერი, http://www.refworld.org/docid/57eb79964.html; დოიჩე ველე, *მოსული: მოსალოდნელია მომდევნო ჰუმანიტარული კატასტროფა,* 2016 წლის 19 აგვისტო, http://dw.com/p/1Jlzf.

მოსალოდნელი სამხედრო ოპერაციების შედეგები შეიძლება შეეხოს 1,2-დან 2,5 მილიონამდე ადამიანს, რომელთაგან 700 ათასს გადაუდებელი ჰუმანიტარული დახმარება დასჭირდება, საცხოვრებლის, სურსათის, წყლისა და სამედიცინო დახმარების ჩათვლით.[167] მოსულში ჰუმანიტარული ოპერაცია გახდება *„ (...) განსაკუთრებული თავისი მასშტაბითა და სირთულით მთელ მსოფლიოში 2016 წლის განმავლობაში.“*[168] შეფასებების შესაბამისად, 2016 წლის ბოლოსთვის ერაყში ჰუმანიტარული დახმარება 12-13 მილიონ ადამიანს შეიძლება დასჭირდეს.[169]

43. განსაკუთრებით შემაშფოთებელია ჰუმანიტარული სიტუაცია ISIS-ის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებზე და კონფლიქტის რაიონებში, რადგან ამ რაიონების მოსახლეობას კვლავ შეზღუდული ხელმისაწვდომობა აქვს, ან სულ არ აქვს, საბაზისო სერვისებზე, სურსათზე და სხვა საქონელზე, ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციებს ამ მოსახლეობაზე წვდომა ფაქტობრივად არ აქვს.[170] კონფლიქტის მხარეებს ასევე ადანაშაულებენ იმაში, რომ ისინი სამოქალაქო რაიონებს უწესებენ ალყის მსგავს პირობებს და რომ განზრახ ხელს უშლიან სამოქალაქო მოსახლეობისათვის სურსათისა და ჰუმანიტარული დახმარების მიწოდებას.[171]

---

[166] 2016 წლის ივნისში, მოსულში განვითარებულ მოვლენებზე გადაუდებელ რეაგირებასთან დაკავშირებული დამატებითი ჰუმანიტარული საჭიროებების ფონზე, გაერომ სპეციალური მოწოდება გაავრცელა ფინანსირების თაობაზე. 2016 წლის 13 ნოემბრისთვის მიღებული იყო მოთხოვნილი ფონდების 64 პროცენტი. Financial Tracking Service, *Mosul Flash Appeal 2016*, ხელმისაწვდომი იყო 2016 წლის 13 ნოემბერს, https://ftsbeta.unocha.org/appeals/2880/summary. შეზღუდული ფინანსების გამო, მოსულის სიტუაციაზე რეაგირების ძირითადი კომპონენტები, როგორც იუწყებიან, ფინანსების მწვავე ნაკლებობას განიცდის, ადამიანთა გადაუდებელი განთავსების ბანაკების ჩათვლით; OCHA, *ჰუმანიტარული ბიულეტენი ერაყის შესახებ,* 2016 წლის 15 ოქტომბერი, http://bit.ly/2e8Oyz7, გვ. 3; OCHA, *Mosul Flash Appeal*, 2016 წლის 20 ივლისი, http://bit.ly/2d9dZTv.

[167] UNHCR, *მოსულზე შეტევის მოახლოების ფონზე UNHCR-ის დაგეგმვითი საქმიანობის გააქტიურება ხდება,* 2016 წლის 29 სექტემბერი, http://www.refworld.org/docid/57ee552f4.html; OCHA, *ჰუმანიტარული ბიულეტენი ერაყის შესახებ, 2016 წლის ივლისი - აგვისტო,* 2016 წლის 29 აგვისტო, http://bit.ly/2duUdAQ, გვ. 3.

[168] OCHA, *Mosul Flash Appeal*, 2016 წლის 20 ივლისი, http://bit.ly/2dNzbug, გვ. 2.

[169] გაეროს უშიშროების საბჭო, გაეროს გენერალური მდივნის მოხსენება *2299 (2016) რეზოლუციის შესაბამისად,* 2016 წლის 25 ოქტომბერი, http://www.refworld.org/docid/5821ca0f4.html, პარ. 56.

[170] *“ანბარისა და ნინევის პროვინციების უმეტეს ნაწილში ჰუმანიტარული ორგანიზაციების წვდომა კვლავ შეზღუდული ან შეუძლებელია. სხვა პროვინციებში წვდომა დამოკიდებულია კონფლიქტზე, რომლის სიმწვავის მიხედვით იცვლება ტერიტორიაზე წვდომის დონეც, ხოლო ზოგიერთი ტერიტორია შეიარაღებული დაჯგუფებების ხელშია“;* UNHCR, *საინფორმაციო ბროშურა ერაყის შესახებ,* 2016 წლის ოქტომბერი, http://bit.ly/2fs6qpz. *“ანბარის, ნინევას, სალაჰ ალ-დინისა და კირკუკის პროვინციებში, ასევე, სამხრეთ ერბილში, კვლავ გრძელდება საომარი დაპირისპირებები. უსაფრთხოების სიტუაცია ასევე არასტაბილურია ბაღდადსა და დიალაში, რაც აფერხებს ჰუმანიტარული დახმარების მიწოდებას“;* გაეროს უშიშროების საბჭო, *გენერალური მდივნის მესამე მოხსენება 2233 (2015) რეზოლუციის მე-7 პარაგრაფის შესაბამისად,* 2016 წლის 27 აპრილი, http://www.refworld.org/docid/5731a1a14.html, პარ. 55. იხ. აგრეთვე, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2015 მოხსენებები მსოფლიოს ქვეყნებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ - ერაყი,* 2016 წლის 13 აპრილი, http://www.state.gov/documents/organization/253137.pdf, გვ. 40; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, *სპეციალური მომხსენებლის ანგარიში ერაყში იძულებით გადაადგილებულ პირთა ადამიანის უფლებათა შესახებ,* 2016 წლის 5 აპრილი, http://www.refworld.org/docid/575fb7e14.html, პარ. 17, 23.

[171] შიმშილობასთან დაკავშირებული შემთხვევები დაფიქსირდა ISIS-ის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებზე; EPIC, *დავიწყებული ფრონტის ხაზი ჰავიჯაში,* 2016 წლის 30 სექტემბერი, http://bit.ly/2e43bIe; ერაყის ადამიანის უფლებათა ობსერვატორია, *ერაყის მთავრობა კვლავ სდუმს ჰავიჯას ჰუმანიტარული კრიზისის შესახებ,* 2016 წლის 19 სექტემბერი, http://bit.ly/2d9cDs9; UN News, *ერაყი: გაეროს სასურსათო დახმარება ქაიარის 30 000-მა მცხოვრებმა მიიღო, რომლებიც ორი წელი ბლოკადაში იყვნენ,*

44. არსებული ინფორმაციის თანახმად, გადაადგილების რაიონებში, ადგილობრივი ხელისუფლება და თემები უკიდურესად არიან გადატვირთულნი, ხოლო მიწოდებული სერვისების ხარისხი, რომლის დონე ჯერ კიდევ ბოლო კონფლიქტამდე ისედაც დაბალი იყო, კიდევ უფრო გაუარესდა, მათ შორის, სასმელი წყლით მომარაგება, სანიტარული პირობები, მყარი ნარჩენების გატანა, განათლება და ჯანმრთელობის დაცვა.[172] გავრცელებული ინფორმაციის შესაბამისად, სერვისების არასაკმარისი მიწოდება განსაკუთრებულ ზემოქმედებას ახდენს იძულებით გადაადგილებულ პირებზე, რომლებსაც ხშირად არ აქვთ შემოსავლის ჩვეულებრივი წყარო და მოწყვეტილნი არიან ტრადიციული სოციალური ან სხვა სახის დახმარების ქსელებისაგან.[173] უღარიბესი ოჯახები და შინამეურნეობები, რომლებსაც ქალები უძღვებიან, ხშირად განსაკუთრებული პრობლემების წინაშე დგანან ჩასახლების რაიონებში დასაქმების ან საარსებო სახსრების გამომუშავების შესაძლებლობათა თვალსაზრისით, და მრავალი მათგანი იძულებულია გადარჩენის ნეგატიური სტრატეგიები გამოიყენოს.[174]

2016 წლის 6 სექტემბერი, http://www.refworld.org/docid/57d0164b40e.html; HRW, *ერაყი: ბლოკადაში მოქცეული ფალუჯას მოსახლეობა შიმშილობს,* 2016 წლის 7 აპრილი, http://www.refworld.org/docid/57061b234.html; UNHCR, *ერაყი: ოპერატიული ინფორმაცია,* 2016 წლის 21 ივლისი, http://bit.ly/2dYlAkL, გვ. 2; UN News Centre, *გაეროს ლტოლვილთა სააგენტო ალყაშემორტყმული ფალუჯადან გამოქცეული ოჯახებისთვის დახმარების მიწოდებას იწყებს,* 2016 წლის 27 მაისი, http://www.refworld.org/docid/574bea4140b.html; Wall Street Journal, *ერაყი: ISIS-ის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების ბლოკადის გამო მოსახლეობა შიმშილობს,* 2016 წლის 31 იანვარი, http://on.wsj.com/1SRW1Cw.

[172] "*მრავალი მათგანი მწვავე სიდუხჭირეში ცხოვრობს, ცხოვრობენ დაუსრულებელ შენობებში, მორიგეობით აფარებენ თავს მეჩეთებს. ბევრი ვერ პოულობს რეგულარულ სამუშაოს, სიძვირის გამო ხშირად არ იკვებება და დიდი ძალისხმევის გაწევა სჭრიდება ბინის ქირისა და ბავშვების სწავლის საფასურის გადასახდელად";* UNHCR, *მოსულზე შეტევა ერაყში იძულებითი გადაადგილების ზრდას იწვევს,* 2016 წლის 21 სექტემბერი, http://www.refworld.org/docid/57e2b29219.html. "*ასი ათასობით ადამიანი, მათ შორის, ყველა ეთნიკური და რელიგიური თემის წარმომადგენელი, უკიდურესად მძიმე პირობებში ცხოვრობს, ზოგჯერ ძალადობის ან შემდგომი გადაადგილების საფრთხის ქვეშ. საცხოვრებელზე მხოლოდ შეზღუდული და ხშირად არასაკმარისი წვდომა აქვთ, ასევე, სამედიცინო მომსახურებაზე, სურსათსა და წყალზე. გარკვეული საგანმანათლებლო ინიციატივები არსებობს, მაგრამ იძულებით გადაადგილებულ ბავშვებს მხოლოდ დაწყებითი განათლების მიღების საშუალება აქვთ, რისი უზრუნველყოფაც ამგვარ თემებში არის შესაძლებელი. მრავალ იძულებით გადაადგილებულ პირს პრაქტიკულად ფინანსური სახსრები არა აქვს და უკიდურესად შეზღუდული პერსპექტივა გააჩნიათ დასაქმებისა და საარსებო წყაროს პოვნის თვალსაზრისით";* *გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, სპეციალური მომხსენებლის მოხსენება ერაყში იძულებით გადაადგილებულ პირთა ადამიანის უფლებათა შესახებ,* 2016 წლის 5 აპრილი, http://www.refworld.org/docid/575fb7e14.html, პარ. 23.

[173] "სამუშაო ადგილები ხშირად საკმარისი არ არის ზოგადად მოსახლეობისთვის, რის გამოც, იძულებით გადაადგილებულ პირებს დასაქმების ან შემოსავლიანი საქმიანობის წარმოების არანაირი პერსპექტივა არ აქვთ. ზოგ შემთხვევაში ისინი პოულობენ მოკლევადიან ან დღიურ სამუშაოს. მათ, ვისაც ფინანსური რესურსები აქვთ, შეუძლიათ შეზღუდული მასშტაბის შემოსავლიანი საქმიანობა დაიწყონ. თუმცა უმრავლესობა სამუშაოს ვერ პოულობს, ხოლო მათი დანაზოგები სწრაფად იწურება"; *გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, სპეციალური მომხსენებლის ანგარიში ერაყში იძულებით გადაადგილებულ პირთა ადამიანის უფლებათა შესახებ,* 2016 წლის 5 აპრილი, http://www.refworld.org/docid/575fb7e14.html, პარ. 29. *«ხანგრძლივი პერიოდით გადაადგილებაში მყოფი ადამიანებისთვის სტაბილური სამუშაოს პოვნა კვლავ საკმაოდ შეზღუდულია. (...)ქვეყნის გადაადგილებულ შინამეურნეობათა მხოლოდ 36 პროცენტს აქვს მუდმივი შემოსავალი და შეუძლიათ დაიკმაყოფილონ საბაზისო მოთხოვნები, ხოლო დაახლოებით 2 მილიონ ადამიანს მუდმივი შემოსავლის სახით რაიმე მხარდაჭერა არ აქვს. გარდა ამისა, ერაყში ყველა გადაადგილებული შინამეურნეობის საგანგაშო რაოდენობას - 85 პროცენტს - ვალი აქვს";* OCHA, *ერაყის ჰუმანიტარული რეაგირების გეგმა 2016,* 2015 წლსი დეკემბერი, http://bit.ly/1U3LFAI, გვ. 29, 30.

174 *მოწყვლად ოჯახებს სწრაფად ეწურებათ პროდუქტიული აქტივები, რომლებიც აუცილებელია მათი შინამეურნეობების ყოველდღიური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, რადგან მათ გადადგილების რაიონებში ძალზე შეზღუდული შესაძლებლობები აქვთ საარსებო საშუალებების მოსაპოვებლად, ბევრი*

45. ჰუმანიტარული პარტნიორებისთვის საკმაოდ რთულია ახალი სამოქალაქო მოსახლეობის/დევნილებისთვის თავშესაფრის უზრუნველყოფა, რადგან იგპ-თა არსებულ ბანაკებში განთავსების შესაძლებლობა პრაქტიკულად ამოწურულია, ხოლო დამატებითი ბანაკების შესაქმნელად საჭიროა ფინანსებისა და სათანადო ტერიტორიის გამოყოფა.[175] ამ დოკუმენტის მომზადების მომენტისთვის გადაადგილების მასშტაბები შეზღუდული იყო, კერძოდ, ახალ იგპ-თა 50%-ზე მეტი თავშესაფარს ბანაკებში ეძებს, ხოლო დანარჩენებმა მასპინძელ თემებში თავი შეაფარეს კერძო სახლებს ან ავარიულ შენობებს.[176] მოსულიდან მოსახლეობის მასიური გადაადგილების შემთხვევაში, არსებულ ბანაკებში ვერ განთავსდება ყველა ოჯახი, რომელსაც თავშესაფარი სჭრიდება, რის გამოც აუცილებელი გახდება მათი გადაყვანა წინასწარ განსაზღვრულ „საგანგებო რეაგირების ცენტრებში“, სადაც ადეკვატური საცხოვრებელი და საბაზისო სერვისები არ არის.[177]

46. კონფლიქტის, გადაადგილებისა და დოკუმენტების ჩამორთმევის შედეგად, ბევრი იძულებით გადაადგილებული პირი აუცილებელი დოკუმენტების გარეშე არის დარჩენილი. ამის გამო მათ საშუალება არა აქვთ მიიღონ საბაზისო სერვისები, შეზღუდული აქვთ გადაადგილების თავისუფლება, შედარებით უსაფრთხო რაიონებში შესვლის საშუალება და, ასევე, გაზრდილია უკანონო დაკავების რისკი.[178]

მათგანი გადარჩენის უარყოფით ფორმებს იყენებს, მაგალითად, ამცირებს კვებას, იღებს ვალებს, ხოლო, უარეს შემთხვევაში - იყენებს ბავშვის შრომას, პროსტიტუციას, ყიდის ორგანოებს და მათხოვრობს“; MRGI, *გადაადგილებით გამოწვეული კრიზისი ერაყში,* 2016 წლის მარტი, http://www.refworld.org/docid/573592d24.html, გვ. 5. იხ. აგრეთვე, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, *სპეციალური მომხსენებლის ანგარიში იძულებით გადაადგილებულ პირთა ადამიანის უფლებათა შესახებ,* 2016 წლის 5 აპრილი, http://www.refworld.org/docid/575fb7e14.html, პარ. 29.

[175] OCHA, *ჰუმანიტარული ბიულეტენი ერაყის შესახებ, 2016 წლის სექტემბერი,* 2016 წლის 15 ოქტომბერი, http://bit.ly/2e8Oyz7, გვ. 1-2; როიტერი, *შეზღუდული ფინანსური სახსრები სერიოზული საფრთხის წინაშე აყენებს გაეროს მოსულზე შეტევასთან დაკავშირებით,* 2016 წლის 13 ოქტომბერი, http://reut.rs/2e0hFqt; The Daily Beast, *მილიონი ლტოლვილის ფონზე მოსულში გამარჯვებამ შეიძლება დამარცხების სახე მიიღოს,* 2016 წლის 10 ოქტომბერი, http://thebea.st/2d6dvIQ; ალ-ჯაზირა, *‘მასობრივი კრიზისი: მოსალოდნელია, რომ მოსულს 1,5 მილიონი ადამიანი დატოვებს’,* 2016 წლის 29 სექტემბერი, http://aje.io/he64; UNHCR, *მოსულზე შეტევა ერაყში იძულებითი გადაადგილების ზრდას გამოიწვევს,* 2016 წლის 21 სექტემბერი, http://www.refworld.org/docid/57e2b29219.html; გარდიანი, *მცირედი ამოსუნთქვა მოსულის ბრძოლებიდან გამოქცეული ერაყელებისთვის,* 2016 წლის 3 აგვისტო, http://bit.ly/2dVlcEa; NRC/IDMC, *უსაფრთხოების ძიებაში ერაყში,* 2016 წლის ივლისი, http://www.refworld.org/docid/582098104.html, გვ. 12.

[176] OCHA, *ჰუმანიტარული კრიზისი მოსულში,* 2016 წლის 1 ნოემბერი, http://bit.ly/2fa0KCq, გვ. 1; OCHA, *Mosul Flash Appeal*, 2016 წლის 20 ივლისი, http://bit.ly/2d9dZTv, გვ. 2.

[177] უარეს შემთხვევაში, 700 000 ადამიანს შეიძლება დასჭირდეს სასწრაფო თავშესაფარი. ამ დოკუმენტზე მუშაობის მომენტისთვის, ბანაკებში განთავსებული იყო 20 000 ახალი იგპ. შვიდ ბანაკში არის საშუალება კიდევ 40 000 იგპ-ის დაბინავებისთვის, ხოლო დამატებითი 450 000 იგპ-სთვის თავშესაფარი შენდება ან დაგეგმვის პროცესშია; OCHA, *ჰუმანიტარული კრიზისი მოსულში, 2016 წლის 9 ნოემბერი,* http://bit.ly/2fRVoNw. იხ. აგრეთვე, OCHA, *ჰუმანიტარული ბიულეტენი ერაყის შესახებ, 2016 წლის სექტემბერი,* 2016 წლის 15 ოქტომბერი, http://bit.ly/2e8Oyz7, გვ. 3; The Daily Beast, *მილიონი ლტოლვილის ფონზე მოსულში გამარჯვებამ შეიძლება დამარცხების სახე მიიღოს,* 2016 წლის 10 ოქტომბერი, http://thebea.st/2d6dvIQ; Al Jazeera, *‘მასობრივი კრიზისი: მოსალოდნელია, რომ მოსულს 1,5 მილიონი ადამიანი დატოვებს’,* 2016 წლის 29 სექტემბერი, http://aje.io/he64.

[178] „ერაყში სამოქალაქო დოკუმენტების გაცემა და განახლება სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ადგილობრივ განყოფილებებში ხდება, წარმოშობის ადგილის მიხედვით, სადაც ინახება დოკუმენტების ორიგინალები - დღეისათვის მრავალი იგპ-სთვის ასეთი პერსპექტივა არარეალურია. მოსახლეობის მასშტაბური გადაადგილების საპასუხოდ, რომელიც 2014 წლის შემდეგ გრძელდება, ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ალტერნატიული ობიექტები გაიხსნა, საიდენტიფიკაციო ბარათების ვადის გაგრძელების მიზნით (მაგრამ არა რაიმე სხვა ტიპის დოკუმენტების); თუმცა მათი

UNHCR-ის პოზიცია დაბრუნებასთან დაკავშირებით

47. შექმნილ გარემოებათა ფონზე, *UNHCR* მოუწოდებს სახელმწიფოებს თავი შეიკავონ ერაყელთა იძულებითი დაბრუნებისაგან, თუ ისინი არიან ერაყის იმ რაიონებიდან, სადაც სამხედრო ოპერაციები მიმდინარეობს; ISIS-სგან განთავისუფლებული ტერიტორიებიდან, სადაც სიტუაცია ჯერ კიდევ არასტაბილურია; ან ტერიტორიებიდან, რომლებიც ჯერ კიდევ ISIS-ის ხელშია. არ უნდა მოხდეს იმ პირთა დაბრუნება რომლებსაც უარი უთხრეს საერთაშორისო დაცვის მინიჭებაზე, დაბრუნება არ უნდა განხორციელდეს იმ რაიონებში, საიდანაც ისინი ჩამოვიდნენ, ასევე, ქვეყნის რომელიმე სხვა კუთხეში. ამ რაიონების მკვიდრ ერაყელთა უმრავლესობა პრაქტიკულად აკმაყოფილებს ლტოლვილის სტატუსის კრიტერიუმებს, რომლებიც 1951 წლის კონვენციით არის დადგენილი.[179] თუ დადგინდება, რომ პირი 1951 წლის კონვენციით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებს, მაშინ ლტოლვილის სტატუსის განმსაზღვრელი უფრო ფართო კრიტერიუმების გამოყენება უნდა მოხდეს, რომლებიც შესაბამისი რეგიონული დოკუმენტებით[180] არის დადგენილი, ან მათ მიმართ

გეოგრაფიული არეალი შეზღუდულია და მრავალი იგპ, ამის შედეგად, სამოქალაქო მდგომარეობის შესახებ დოკუმენტებს ვერ იღებს. დაკარგული დოკუმენტების აღდგენას ხანგრძლივი და ძვირი ადმინისტრაციული პროცედურები სჭირდება, კერძოდ, ადმინისტრაციული მოსაკრებელი და მგზავრობის ხარჯები. დოკუმენტზე ხელმისაწვდომობა შეიძლება დამოკიდებული იყოს სამოქალაქო სარჩელების წარმატებაზე (მაგალითად, ქორწინების რეგისტრაცია, განქორწინება, გარდაცვალების მოწმობების გაცემა)

"*სამართლებრივ დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობა, როგორც ჩანს, ერაყში ერთ-ერთი ურთულესი პრობლემაა იძულებით გადაადგილებული პირებისთვის. სათანადო დოკუმენტების გარეშე მათ შეიძლება ვერ მიიღონ სახელმწიფო სერვისები და ჰუმანიტარული დახმარება. (...) დოკუმენტების გარეშე დარჩენილი გადაადგილებული პირები ხშირად მიიჩნევიან უკანონო რეზიდენტებად და ზოგჯერ მათ რამდენიმე დღით აპატიმრებენ კიდეც, ვიდრე არ ჩატარდება მათი სანდოობის შემოწმების პროცედურა. ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია ერაყის ქურთისტანისა და კირკუკის პროვინციისთვის";* MRGI, *გადაადგილებით გამოწვეული კრიზისი ერაყში,* იხ. აგრეთვე, UNHCR, *ყოველკვირეული ინფორმაცია მოსულის დაცვის შესახებ, 2016 წლის 29 ოქტომბერი - 4 ნოემბერი,* 2016 წლის 4 ნოემბერი, http://bit.ly/2fsroVl; UNHCR, *აქტუალური COI (ინფორმაცია წარმოშობის ქვეყნის შესახებ), რათა მოხდეს ბაღდადში შიდა გადაადგილების ან განსახლების ალტერნატივის შესაძლებლობის შეფასება (IFA/IRA) სუნიტი არაბებისთვის, რომლებიც ISIS-ის მიერ კონტროლირებული ტერიტორიებიდან არიან,* 2016 წლის მაისი, http://www.refworld.org/docid/575537dd4.html, გვ. 27-28; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, *სპეციალური მომხსენებლის ანგარიში იძულებით გადაადგილებულ პირთა ადამიანის უფლებათა შესახებ,* 2016 წლის 5 აპრილი, http://www.refworld.org/docid/575fb7e14.html, პარ. 14, 54; OCHA, *ერაყი: ჰუმანიტარული რეაგირების გეგმა 2016,* 2015 წლის დეკემბერი, http://bit.ly/1U3LFAI, გვ. 7, 16; OCHA, *2016 ჰუმანიტარულ საჭიროებათა მიმოხილვა,* 2015 წლის ნოემბერი, http://bit.ly/1RoAqvO, გვ. 7; Humanitarian Practice Network (HPN), *იდენტიფიცირების კრიზისი? დოკუმენტები გადაადგილებული ერაყელებისთვის,* 2015 წლის ოქტომბერი, http://bit.ly/1QJpxZ9.

[179] 1951 წლის კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ („1951 წლის კონვენცია"), 1951 წლის 28 ივლისი, გაეროს ხელშეკრულებათა კრებული, ტომი 189, გვ. 137, http://www.refworld.org/docid/3be01b964.html] და 1967 წლის ოქმი [ოქმი ლტოლვილის სტატუსის შესახებ, 1967 წლის 31 იანვარი]. ერაყელები ქვეყნის იმ რაიონებიდან, რომლებიც UNHCR-ის პოზიციას არ ექვემდებარება მოქალაქეთა დაბრუნების თვალსაზრისით, რა თქმა უნდა შეიძლება აკმაყოფილებდნენ 1951 წლის კონვენციით დადგენილ კრიტერიუმებს.

[180] იმის მიხედვით, თუ რომელ ქვეყანას მიმართავს საერთაშორისო დაცვის მისაღებად ერაყელი განმცხადებელი, მათზე შეიძლება გავრცელდეს გარკვეული რეგიონული სამართლებრივი აქტის დებულებები; იხ. *კონვენცია აფრიკაში ლტოლვილთა პრობლემის კონკრეტული ასპექტების შესახებ ("OAU Convention"),* 1969 წლის 10 სექტემბერი, 1001 U.N.T.S. 45, http://www.unhcr.org/refworld/docid/3ae6b36018.html; *კართაგენის დეკლარაცია ლტოლვილთა შესახებ, კოლოქვიუმი ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვის შესახებ ცენტრალურ ამერიკაში, მექსიკასა და*

გამოყენებული უნდა იქნეს დაცვის დამატებითი ფორმები.[181] კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, შესაძლებელია საჭირო იქნეს გამორიცხვის დებულებათა განხილვა.[182]

48. როდესაც გადაწყვეტილების მიმღებ პირებს შესაძლებლად მიაჩნიათ შიდა გადაადგილების ან განსახლების ალტერნატივა, მტკიცების ტვირთი გადაწყვეტილების მიმღებზეა, ის არის ვალდებული განსაზღვროს გადაადგილების კონკრეტული ტერიტორია და დაადასტუროს, რომ მოცემული ტერიტორია აკმაყოფილებს რელევანტურობისა და გონივრულობის ტესტს.[183] შექმნილ სიტუაციაში მოსახლეობის მასშტაბური იძულებითი გადაადგილების, სერიოზული ჰუმანიტარული კრიზისის, თემთაშორისი დაძაბულობის ზრდის, ქვეყნის თითქმის ყველა კუთხეში შესვლასა და ცხოვრებაზე დაწესებული შეზღუდვების ფონზე, ასევე, იძულებით გადადგილებულ პირებზე ზეწოლის გათვალისწინებით, რომელიც მიზნად ისახავს მათ მოუმზადებელ დაბრუნებას მათი წარმოშობის რაიონებში ISIS-სგან მათი განთავისუფლების შემდეგ, UNHCR მიზანშეწონილად არ მიიჩნევს, რომ სახელმწიფოებმა უარი უთხრან ერაყელებს საერთაშორისო დაცვის მინიჭებაზე შიდა გადაადგილების ან განსახლების ალტერნატივის გამოყენების საფუძვლით. შიდა გადაადგილების ან განსახლების ალტერნატივა სათანადოდ შეიძლება მიჩნეული იქნეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, თუ ადამიანს შეუძლია კანონიერად გადავიდეს და დასახლდეს შეთავაზებულ რაიონში,[184] თუ იგი ამ რაიონში ხელმეორედ არ აღმოჩნდება

პანამაში, 1984 წლის 22 ნოემბერი, http://www.refworld.org/docid/3ae6b36ec.html. მართალია, კართაგენის დეკლარაცია მიეკუთვნება სამართლებრივად არასავალდებულო რეგიონულ დოკუმენტს, მასში მოცემულმა ლტოლვილის განსაზღვრებამ რეგიონში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა, მათ შორის იმიტომაც, რომ იგი 14 სახელმწიფოს კანონებსა და სახელმწიფო პრაქტიკაში არის ჩართული. კართაგენის დეკლარაციაში მოცემული ლტოლვილის განსაზღვრების განმარტება იხ. UNHCR, *დასკვნები 1984 წლის კართაგენის დეკლარაციაში ტერმინის „ლტოლვილი“ ფართო განმარტების შესახებ: მრგვალი მაგიდა, 2013 წლის 15-16 ოქტომბერი, მონტევიდეო, ურუგვაი,* 2014 წლის 7 ივლისი, http://www.refworld.org/docid/53c52e7d4.html.

[181] ერაყის ამ კუთხიდან წამოსულ თავშესაფრის მაძიებლებზე - რომლებიც საერთაშორისო დაცვას ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოებში ეძებენ და რომლებიც შესაძლოა ლტოლვილთა კატეგორიას არ მიეკუთვნებოდნენ - შესაძლოა გავრცელდეს ევროპის კავშირის საკვალიფიკაციო დირექტივის მე-15 მუხლი, როგორც პირებზე, რომლებსაც დამატებითი დაცვა სჭირდებათ [ევროპის კავშირი, *ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2011/95/EU მესამე ქვეყნის მოქალაქეების ან მოქალაქეობის არმქონე პირთა საერთაშორისო დაცვის ბენეფიციარებად აღიარების, ლტოლვილების ან დამატებითი დაცვის მიღების უფლების მქონე პირთა ერთიანი სტატუსის, და მინიჭებული დაცვის შინაარსის შესახებ (გადასინჯული), („საკვალიფიკაციო დირექტივა“)* 2011 წლის 13 დეკემბერი, http://www.refworld.org/docid/4f06fa5e2.html].

[182] UNHCR, *სახელმძღვანელო პრინციპები საერთაშორისო დაცვის შესახებ No. 5:გამორიცხვის დებულებების გამოყენება: 1951 წლის კონვენციის 1F მუხლი ლტოლვილთა სტატუსის* შესახებ , 2003 წლის 4 სექტემბერი, HCR/GIP/03/05, http://www.unhcr.org/refworld/docid/3f5857684.html.

[183] UNHCR, *სახელმძღვანელო პრინციპები საერთაშორისო დაცვის შესახებ No. 4: "შიდა გადაადგილება ან განსახლების ალტერნატივა"* 2003 წლის 23 ივლისი, HCR/GIP/03/04, http://www.unhcr.org/refworld/docid/3f2791a44.html, პარ. 33-35.

[184] მოთხოვნის შემთხვევაში სპონსორის არარსებობა, და/ან დოკუმენტების არქონა დიდი ალბათობით იწვევს დაკავებას და/ან ზეწოლას იმ რაიონში დაბრუნებისთვის, სადაც ადრე ადგილი ჰქონდა დევნას. რაიონი, სადაც პირი შეიძლება დაექვემდებაროს ზეწოლას ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან ისეთ რაიონში დაბრუნების მიზნით, რომელიც ადრე ისლამური სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ იყო, შიდა გადაადგილებისთვის შესაფერ ალტერნატივას არ წარმოადგენს. იხ. ზემოთ, პარ. 30.

სერიოზული ზიანის რისკის ქვეშ,[185] და თუ მას აქვს მტკიცე ნათესაური კავშირები შესაბამის რაიონში, ხოლო მის ნათესავებს სურთ და შეუძლიათ დახმარება გაუწიონ მას.[186] ქვეყნის მრავალ კუთხეში რთული ჰუმანიტარული პირობების ფონზე, განსაკუთრებით იმ რაიონებში, სადაც იგპ-თა დიდი რაოდენობაა კონცენტრირებული, ნათესავები, რომლებიც თავად არიან იძულებით გადაადგილებულნი, როგორც წესი, ასეთი დახმარების გაწევის უნარის მქონედ მიჩნეული ვერ იქნებიან.[187]

---

[185] იხ. " *მოპყრობა სამოქალაქო პირთა მიმართ, რომლებიც არიან რეგიონებიდან, რომლებიც ადრე იყო ან ამჟამად არის ISIS-ის ხელში, რომლებიც არის ცენტრალური ხელისუფლების ან ქურთისტანის რეგიონული მთავრობის მიერ კონტროლირებული".* *იხ. აგრეთვე,* UNHCR, *რელევანტური COI, რათა მოხდეს ბაღდადში შიდა გადაადგილების ან განსახლების ალტერნატივის შესაძლებლობის შეფასება (IFA/IRA) სუნიტი არაბებისთვის, რომლებიც არიან ISIS-ის მიერ კონტროლირებული ტერიტორიებიდან,* 2016 წლის მაისი, http://www.refworld.org/docid/575537dd4.html, პარ. 11-15.

[186] შიდა გადაადგილების ალტერნატივის შეფასებისას - განსაკუთრებით იმ რაიონებში, სადაც დიდი რაოდენობით იგპ არის ჩასახლებული - გათვალისწინებული უნდა იქნეს ეკონომიკური შეზღუდვები და მზარდი სიღარიბე, რომლებიც ზემოქმედებას ახდენს ერაყის მოსახლეობის ფართო ფენებზე. გასათვალისწინებელია ასევე ისეთი ფაქტორები, როგორიცაა კონკურენცია საარსებო წყაროზე, საცხოვრებელზე და საჯარო სერვისებზე ხელმისაწვდომობისთვის. იხ. ზემოთ „ჰუმანიტარული სიტუაცია".

[187] დეტალური მითითებები შიდა გადაადგილების ან განსახლების ალტერნატივასთან დაკავშირებით, რელევანტურობისა და მიზანშეწონილობის ანალიზი, იხ. *სახელმძღვანელო პრინციპები საერთაშორისო დაცვის შესახებ No. 4: "შიდა გადაადგილება ან განსახლების ალტერნატივა" ლტოლვილის სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის 1A(2) მუხლის და 1967 წლის ოქმის კონტექსტში,* 2003 წლის 23 ივლისი, HCR/GIP/03/04, http://www.unhcr.org/refworld/docid/3f2791a44.html.